პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—89.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34,
ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 3 ივლისი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 152 (2195)

დღიური

- თურქეთ - საბერძნეთის მოლაპარაკების ჩაშლა.
- პურის ფაბრიკების მუშათა გაფიცვა ბერლინში.
- საფრანგეთის სამხედრო ბიუჯეტის გადიდება.
- პროტესტი ტერორის წინააღმდეგ საბერძნეთში.
- ნორვეგიის აღმშენებელ მუშების ბრძოლა.
- იტალია - ესტონეთის სავაჭრო შეთანხმება.
- დიდი კატასტროფა როშ: ლამოლიერის მაღაროში (საფრანგეთი).—დაიღუპა 51 კაცი.
- სიმშილობა ანატოლიაში.

1928 წლის ივლისის 3-ს საღამოს 7 საათზე ქ. თბილისში სასახლის წითელ დარბაზში

გაიხსნება

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა საბჭოების ცენტ. აღმასრულებელი კომიტეტის

მე-4 სესია

სესიის დღის წესრიგი:

1. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა უფლებების და მოვალეობების გაფართოების შესახებ.
2. განხილვა და დამტკიცება საკანონმდებლო აქტებისა, რომელიც პრეზიდიუმის მიერ მიღებული იყო სესიიდან სესიამდე.
3. ორგანიზაციული საკითხები.
4. მიმდინარე საკითხები.

ს.ს. ცაკის მდივნის მაგიერ ი. ვარძიელი.

საღამოს 6 საათზე შესდგება

ცაკის კომფრაქციის სხდომა

კომუნისტი

გრძელდება ხელისმოწერა ივლისისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

მასიური მუშაობის დეფექტები

მასიური მუშაობა ჩვენი აღმშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი მომენტთაგანია. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები არა ერთხელ მიაქცევდენ ადგილობრივ ორგანიზაციების ყურადღებას მასიური მუშაობის გაჯანსაღება-გაცხოველების საკითხებზე, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჯერ-ჯერობით საქმეს დიდი წარმატება არ ეტყობა.

მშრომელი მასები იზრდება კულტურულად და პოლიტიკურად, იცვლება ჩვენი ყოველდღიური მუშაობის ამოცანები. თავის თავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში მასიური მუშაობის ის ფორმები და შინაარსი, რომელსაც ჩვენ მივმართავდით რამდენიმე წლის წინად, დღეს უკვე ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. საქართველოს კომპარტიის ცეკას უკანასკნელ პლენუმის დადგენილებაში ამის შესახებ ნათქვამია შემდეგი:

„მასიური მუშაობის შინაარსი ხშირად ვერ აკმაყოფილებს მასების მოთხოვნილებათა ზრდას და ყოველთვის არ შეეფერება პარტიის წინაშე მდგომ ამოცანებს, რის გამოც მუშათა კლასის გაძლიერებული აქტივობა ჯერ არ არის საკმაოდ გამოყენებული მასების დასარაზმავად პარტიისა და პროფკავშირების ირგვლივ".

იმისათვის, რომ გამოსწორებულ იქნას მასიური მუშაობის დეფექტები, პირველყოვლისა საჭიროა ყურადღება მიექცეს მუშაობის მთავარ არხებს. ასეთებია: პარტიული ორგანიზაციები, პროფესიონალურ კავშირები, საბჭოები, კოოპერაცია და სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი გაერთიანებანი. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მასიურ მუშაობის მიღწევებისა და დეფექტების შესახებ, უმთავრესად სწორედ ეს ორგანიზაციები უნდა ვიქონიოთ მხედველობაში. საკითხი სდგას იმის შესახებ, რა გააკეთა თვითეულ ამ ორგანიზაციამ მასიური მუშაობის, შინაპარტიულ, შინაპროფკავშირულ, კოოპერატიულ დემოკრატიის განმტკიცებისათვის. მასიური მუშაობა ეს იგივე პროლეტარული დემოკრატიაა, რომლის ურყევად და სისწორით გატარებისაკენაც მოუწოდებს პარტია ადგილობრივ ორგანოებს.

იმისათვის, რომ მასიური მუშაობა სათანადოთ გაიშალოს ჩვენს ორგანიზაციებში, უწინარეს ყოვლისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენი მასიური გაერთიანების ორგანიზაციულ მშენებლობის საკითხებს. აქ კი მთავარია ხელმძღვანელ ორგანოების არჩევნების პრაქტიკის შეცვლა. შემჩნეულია, რომ მთელ რიგ მასიურ ორგანიზაციებში რამდენიმე წლების განმავლობაში თითქმის უცვლელად რჩება ხელმძღვანელ ორგანოების ერთი და იგივე შემადგენლობა, ეს ასუსტებს მასის აქტივობას და ქმნის ბიუროკრატიული გადაგვარების, მასისაგან მოწყვეტის საშიშროებას. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჩვენ უნდა შევქმნათ მასიურ ორგანიზაციებში ისეთი მდგომარეობა, როცა ამომრჩევლებს სრული შესაძლებლობა ექნებათ შესცვალონ თავისი ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობა, თუ კი ამას ისინი საჭიროდ დაინახავენ.

საქართველოს კომპარტიის ცეკას იმავე ივნისის პლენუმის რეზოლიუციაში, იქ, სადაც ლაპარაკია პროფკავშირის მუშაობაზე მასისაგან ჩამოშორებულ ხელმძღვანელთა შესახებ ვკითხულობთ შემდეგს:

„პლენუმი წინადადებას აძლევს პარტორგანიზაციებს გადაჭრით ჩამოაშორონ, პროფკავშირული მუშაობის ხელმძღვანელებს ბიუროკრატიული ელემენტები, რომელთაც დაჰკარგეს მასებისათვის ალღოს აღების უნარი და კავშირი გასწყვიტეს მასებთან. ამ მიზნით უნდა მოხდეს სათანადო ორგანოების გადარჩევა".

ცეკას მიერ ნაჩვენებ გადამჭრელ ზომას უნდა მივმართოთ ჩვენ ყველა ორგანიზაციებში, სადაც ხელმძღვანელი კადრების ნაწილი ჩამოშორდა მასის ცხოვრებას და ბიუროკრატიულ გადაგვარების გზას დაადგა.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მასიური მუშაობის გაჯანსაღებისათვის საზოგადო კრებების გაცხოველებას. აქ ერთი მეორესთანაა დაკავშირებული დღის წესრიგის მოხერხებულად შედგენა, მომხსენებლის შერჩევა, კრების მოსაწვევ დროისა და ადგილის დანიშვნა, კრების ხელმძღვანელობა და სხვა, ერთი შეხედვით წვრილმანი, მაგრამ საზოგადო კრების ნორმალურად ჩატარებისათვის უაღრესად საყურადღებო საკითხები. დღემდე ამას ნაკლები ყურადღება ექცევა, ჩვენ კიდევ ვერ ვისწავლეთ საზოგადო კრებების ისე ჩატარება, რომ ისინი აქტიურად იზიდავდნენ მასას და საზოგადოებრივ აღზრდის ნამდვილ სკოლას წარმოადგენდნენ. ამასთან მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადო კრებებზე რეზოლიუციების გამოტანის საკითხს. საჭიროა უარყოფილ იქნას ერთხელვე დაკანონებული ტრაფარეტი, როცა საზოგადო კრებაზე გამოაქვთ წინასწარ შედგენილი დეტალური რეზოლიუცია. ეს ადუნებს დამსწრეთა აქტივობას და ხელს უწყობს მთელ რიგ პრაქტიკულ წინადადების მიფუჩეჩებას, რომელთაც უთუოდ ექნება ადგილი, თუ რეზოლიუციის გამომუშავებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ დამსწრენი.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მასიურ მუშაობაში მუშა და გლეხ კორესპონდენტთა მოძრაობას. იმისათვის, რომ ეს მოძრაობა უფრო განვითარდეს, ადგილობრივი ორგანიზაციები არ უნდა კმაყოფილდებოდენ მარტო დაპირებებით მუშა და გლეხ კორესპონდენტთა დახმარების შესახებ. საჭიროა დაპირებებს პრაქტიკული ნაბიჯებიც მოჰყვეს. ამისათვის კი ყოვლად დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი ის ფაქტი, როცა ცენტრალურ ან ადგილობრივ გაზეთებში მოთავსებულ კორესპონდენციას სათანადო ორგანოები უყურადღებოთ სტოვებენ, ან როცა კმაყოფილდებიან ბიუროკრატიული პასუხის გაცემით.

დიდათ აბრკოლებს მასიურ მუშაობის განვითარებას მშრომელთა ეროვნულ შემადგენლობისათვის სათანადო ანგარიშის გაუწევლობა. დღემდე მასიური მუშაობა უმთავრესად სწარმოებს მასის ძირითად ეროვნულ შემადგენლობის ენაზე. ყველა იმისათვის, რომ ეროვნებათა მშრომელი აქტიურად იქნან ჩაბმული მასიურ მუშაობაში, საჭიროა ის სწარმოებდეს მასებისათვის გასაგებ ენაზე. თუ დღემდე ამ მომენტს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა, მომავალში ამას ადგილი აღარ უნდა დარჩეს.

დასასრულ, მასიურ მუშაობაზე პარტიულ ხელმძღვანელობის გაწევის შესახებ. თავისთავად ცხადია, მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი პროლეტარული დემოკრატიის სწორად გატარებაზე, თუ დაცული იქნება პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობა მასიურ ორგანიზაციებზე. ამისათვის კი სრულიად საჭირო არაა პარტორგანოების უშუალო ჩარევა მასიურ ორგანიზაციების ფუნქციებში, როგორც ეს ზოგჯერ ეხლაც ხდება. პარტხელმძღვანელობის მთავარ რეგულიატორს ამ შემთხვევაში წარმოადგენს სათანადო ორგანიზაციების კომუნისტური ფრაქციები. მთავარი ყურადღებაც კომფრაქციათა მუშაობის გაძლიერებას უნდა მიექცეს. პარტხელმძღვანელობის სხვა „მეთოდები" სასწრაფოდ უნდა აღიკვეთოს.

ახლა, როცა თვითკრიტიკის ლოზუნგი საბჭოთა საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, მასიური მუშაობის გაჯანსაღების საკითხი მეტ სიმწვავეს და პრაქტიკულ მნიშვნელობას ღებულობს. პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირის, კოოპერაციის და სხვა მასიურ ორგანიზაციებმა ახლავე სათანადო პრაქტიკული დასკვნები უნდა გააკეთონ.

იაპონიამ უარი სთქვა მანჯურიის ცნობაზე ჩინეთის ნაწილად

იაპონია მოითხოვს ჩინეთისაგან ანტიიაპონური მოძრაობით მიყენებული ზარალის ანაზღაურებას

„უშიშროების" კომიტეტის სესიაზე დაიწყო გერმანიის წინადადებების განხილვა

იაპონია და ჩინეთი

იაპონელები მანჯურიაში

ხარბინი, 1 ივლისი. უკანასკნელ დროს იაპონელი კორესპონდენტები მანჯურიის სხვადასხვა პუნქტებში აწარმოებენ ენერგიულ კამპანიას, რათა მოამზადონ იაპონიის შეიარაღებულ ძალების შესვლა ჩრდილოეთ მანჯურიაში.

„ნიპონ დემპო"-ს ხარბინელმა კორესპონდენტმა გადასცა გაზეთებს ცნობა, თითქოს ხარბინში იმდენად გაძლიერდა ანტი-იაპონური განწყობილება, რომ ჩინელები უარს ამბობენ მიაქირავონ იაპონელებს ბინები, ხოლო რიკშებს არ გადაჰყავთ იაპონელები.

შემდეგ კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ მოსალოდნელია ძალადობა ციციკარის ჯარების მხრივ, რომლებიც მანჯურიაში ბრუნდებიან, და რომლებიც კორესპონდენტის სიტყვით, მტრულად არიან განწყობილი იაპონელების მიმართ. კორესპონდენტი იაპონელებისათვის განსაკუთრებით საშიშარ რაიონად სთვლის ტაონან-ციციკარის რკინის-გზის რაიონს.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა იმავე სააგენტოს მუკდენელ კორესპონდენტის მიერ გადმოცემული აშკარად განგებ შეთხზული დეპეშა იმის შესახებ, რომ იასუდას შერეულ ბრიგადას მიეცა ბრძანება დაიცვას ხაზი მუკდენის ჩრდილოეთით. (ადს)

შეთანხმება რკინისგზების გაყვანის შესახებ მანჯურიაში

ტოკიო, 1 ივლისი. „ხოცი"-ს პეკინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჯერ კიდევ 20 მაისს ჩან-ძო-ლინმა და მანჯურიის რკ. გზების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ხუთი სარკინისგზო ხაზის გაყვანის შესახებ მანჯურიაში.

ხელშეკრულების ხელმოწერის დროს გადაწყდა, რომ ცნობა შეთანხმების დადების შესახებ არ გამოქვეყნებულიყო სამი თვის განმავლობაში. (ადს)

ცზინანის ინციდენტი

ტოკიო, 1 ივლისი. „სიმბუნ რენგოს" დეპეშათა სააგენტოს ცნობით, იაპონიის მთავრობამ გადასწყვიტა დაიწყოს მოლაპარაკება ნანკინის მთავრობასთან ცზინანის ინციდენტის მოგვარების შესახებ „პირველ შესაძლებლობისთანავე".

სააგენტოს სიტყვით, მთავრობამ გადასწყვიტა მოითხოვოს ნანკინის მთავრობისაგან ფორმალური ბოდიშის მოხდა და მთელი იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც იაპონელ მოქალაქეებს მიაყენა ანტი-იაპონურმა მოძრაობამ ჩინეთში.

იაპონიის მთავრობამ უარყო ნანკინის მთავრობის მოთხოვნილება შანდუნის პროვინციიდან იაპონიის ჯარების გაყვანის შესახებ; უარყო აგრეთვე მოთხოვნილება ნანკინის მთავრობის ფორმალურად ცნობის და მანჯურიის ჩინეთის ნაწილად ცნობის შესახებ. (ადს)

პროტესტი იაპონიის ჯარების სიმხეცის წინააღმდეგ

შანხაი, 1 ივლისი. ჩინეთის სავაჭრო ინტერესების წარმომადგენელმა ჟენევაში სია-ძი-ფინმა ერთა ლიგის საბჭოს სამდივნოს გადასცა პროტესტი იაპონიის ჯარების სიმხეცის წინააღმდეგ ძინანში. (ადს)

პეკინისათვის სახელის გამოცვლა

შანხაი, 1 ივლისი. ნანკინის მთავრობამ უცხოელთა იმ გაზეთებში, რომლებიც ჩინეთში გამოდის, გამოაქვეყნა ცნობა, რომ ჩჟილის პროვინციას ამიერიდან ეწოდება ხობეი და პეკინს —ბეიპინი. (ადს).

გაფიცვა შანხაიში გრძელდება

შანხაი, 1 ივლისი. გაფიცვა შანხაის აბრეშუმის სართავ წარმოებებში დამთავრებულია მხოლოდ ნაწილობრივ.

11.000-ზე მეტი კაცი ისევ გაფიცულია. (ადს)

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება

პესიმისტური განწყობილება კოვნოში

კოვნო, 1 ივლისი. შესდგა წინასწარი სხდომა იმ ქვეკომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს ზარალის ანაზღაურების საკითხი. პოლონეთის დელეგაციამ გადასცა ახსნა-განმარტება იმ პრეტენზიების შესახებ, რომლებიც პოლონეთმა წარადგინა. საკითხი პოლონეთის მოთხოვნილებათა შესახებ განხილული იქნება შემდეგ სხდომაზე. ოფიციალური ცნობა ამ სხდომის შესახებ არ გამოქვეყნებულა.

კოვნოს პოლიტიკურ წრეებში პესიმისტურად უყურებენ მოლაპარაკებას და აღნიშნავენ, რომ ლიტვა ვერ დაეთანხმება პოლონეთის პრეტენზიებს იმასთან დაკავშირებით, თითქოს ლიტვამ დაარღვია ნეიტრალიტეტი. ლიტვას მიაჩნია, რომ ნეიტრალიტეტის დარღვევას სრულებით არ ჰქონია ადგილი.

კოვნოს პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ის საკითხები, რომლებიც კოვნოში შეკრებილ კომისიის კომპეტენციაში შედიან, გადატანილი იქნებიან პოლონეთ-ლიტვის დელეგაციის პლენარულ სხდომაზე კენიგსბერგში. (ადს)

საფრანგეთის დამატებითი ბიუჯეტი

პარიზი, 1 ივლისი. საფრანგეთის მთავრობამ დეპუტატთა პალატის საფინანსო კომისიაში წარადგინა დამატებითი ბიუჯეტი იმ განსაკუთრებულ ხარჯებისა, რომლებიც უნდა დაერთოს 1927 წლის საერთო ბიუჯეტს.

ამრიგად, გასული წლის ბიუჯეტის საგასავლო მუხლები იზრდება 178.288.498 ფრანკით, აქედან 119.655.095 ფრანკი მოდის სამხედრო სამინისტროს კრედიტების გადიდებაზე უმთავრესად მაროკოში გაწეულ სამხედრო ხარჯების დასაფარავად.

საფინანსო კომისიამ მოსთხოვა სამხედრო კომისიის მომხსენებელს განმარტება, თუ რატომ იზრდება სამხედრო ხარჯები მაროკოში, მაშინ, როდესაც ოფიციალური ცნობები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მაროკო დამშვიდებულია, მომხსენებელმა განაცხადა, რომ **სამხედრო ძალები მაროკოში რამოდენიმედ გაძლიერებულია „საპოლიციო ხასიათის ოპერაციების ჩასატარებლად შუა ატლასში".** (ადს)

საბერძნეთ-თურქეთის მოლაპარაკება ჩაიშალა

ათინა, 1 ივლისი. მთავრობის გაზეთ „ელევტერონ ვიმა" აცხადებს, რომ **„თურქეთ-საბერძნეთის მოლაპარაკება** იმ საკითხების გარშემო, რომლებიც ამ ქვეყნების ურთიერთობას ეხება და რომლებიც მოუგვარებელი დარჩა, შეჩერებულ იქნა ან, უფრო სწორად, **უშედეგოდ დამთავრდა".**

ამასთან დაკავშირებით, გაზეთი სწერს:

„თურქეთის ტაქტიკა შეუძლებლად ხდიდა ყოველგვარ შეთანხმებას. ეხლა შერეული კომისია ისევ შეუდგება ამ საკითხების განხილვას. მდგომარეობა გაურკვეველი დარჩება ახალ სიურპრიზებამდე. ანგორა მოითხოვს იძულებითი ზომების მიღებას. საბერძნეთის ხალხს რჩება ისეთი შთაბეჭდილება, თითქო თურქეთთან არავითარი შეთანხმება არ შეიძლება". (ადს)

„უშიშროების" კომიტეტში

გერმანიის წინადადებათა განხილვა

ჟენევა, 1 ივლისი. შესდგა უშიშროების კომიტეტის მესამე სხდომა. დღის წესრიგში აღნიშნული იყო გერმანიის წინადადებათა განხილვა. კომიტეტმა მოასწრო მხოლოდ გერმანიის წინადადებათა ორი პირველი მუხლის განხილვა.

როგორც კამათის დროს გამოირკვა, ინგლისი შიშობს, რომ გერმანიის წინადადებები გააფართოვებენ ცალკე ქვეყნების არსებულ ვალდებულებებს ერთა ლიგის მიმართ და გაადიდებენ ერთა ლიგის საბჭოს კომპეტენციას.

საფრანგეთის წარმომადგენელი პოლ ბონკური და პოლონეთის წარმომადგენელი სოკალი, პირიქით, სცდილობდენ ისეთი ახსნა-განმარტება მიეცათ გერმანიის წინადადებისათვის, რომ რაც შეიძლება გაეფართოვებიათ მისი შინაარსი. ისინი წინადადებას იძლეოდენ, იმ შემთხვევაში, თუ ომის საფრთხე წამოიჭრება, ერთა ლიგის საბჭოს მიეცეს არა მარტო კონტროლის, არამედ სანქციის უფლებაც.

გერმანიის წარმომადგენელი **სიმსონი** სცდილობდა თავისი წინადადებები შეზღუდული შინაარსით გაეტარებია.

კამათი გერმანიის წინადადების გარშემო 2 ივლისამდე გაგრძელდება.

პილსუდსკი თავისი გადადგომის მიზეზების შესახებ

ვარშავა, 1 ივლისი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„პილსუდსკიმ „გლოს პრავდი"-ს რედაქტორთან საუბარში განმარტა ის მიზეზები, რომლებმაც აიძულა ის გადამდგარიყო თავისი პოსტიდან. ექიმების აზრით მარშალს შეეძლო დარჩენილიყო თავის პოსტზე, მაგრამ მან გადასწყვიტა გადამდგარიყო, რადგან კონსტიტუციამ პრემიერის მოვალეობა ძლიერ მომქანცველი გახადა. პრემიერი,— პილსუდსკის სიტყვით,— იძულებულია გადასჭრას აუარებელი წვრილმანი საკითხები, რომლებიც იწვევენ დაუსრულებელ კონფლიქტებს პარლამენტთან. პრემიერის ყოვლისშემძლეობა— მოჩვენებითია.

პილსუდსკიმ სასტიკად გააკრიტიკა სეიმის მუშაობის მეთოდები და აღნიშნა, რომ აუარებელი დრო იხარჯება უნაყოფო ლაყბობაზე და ეს იმ დროს, როცა სამინისტროები დატვირთულია მუშაობით.

შემდეგ პილსუდსკიმ აღნიშნა, რომ მიუხედავად საპარლამენტო რეჟიმის ნაკლულოვანებათა, მან მოიწვია სეიმი და ატარებდა უფრო კონსტიტუციონურ ხაზს, ვიდრე სეიმი. ჩემს წინაშე,— განაცხადა პილსუდსკიმ,— იყო ორი არჩევანი: უარის თქმა სეიმთან თანამშრომლობაზე, ან გადადგომა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან. მე ვარჩიე უკანასკნელი.

მარშალმა დაუმატა, რომ ის მზად იქნება კრიტიკულ მომენტში გადავიდეს პრეზიდენტის სრულ განკარგულებაში, კვლავ იკისროს პასუხისმგებლობა და დაიკავოს პრემიერის პოსტი".

პროექტი საერთაშორისო კონვენციის

რუს და სომეხ ემიგრანტების შესახებ

ჟენევა, 1 ივლისი. ჟენევაში დასრულდა შრომის საერთაშორისო ბიუროს მიერ მოწვეული მთავრობათაშორისი კონფერენცია რუს და სომეხ ემიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. კონფერენციამ მიიღო საერთაშორისო კონვენციის პროექტი.

პროექტის თანახმად, ერთა ლიგის მიერ ლტოლვილთა საქმეების გამო დანიშნულ კომისარს უფლება ეძლევა იმ ქვეყნებში, სადაც ლტოლვილების დიდი რაოდენობა ცხოვრობს, დანიშნოს თავისი წარმომადგენლები, რომლებიც კონსულების მოვალეობას შეასრულებენ ამ პირთა მიმართ, რომლებიც „მოკლებული არიან სახელმწიფოებრივ კუთვნილებას".

პოლონეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროექტი მიუღებელია პოლონეთისათვის, რადგან არღვევს რიგის ხელშეკრულებას და წინადადება შეიტანა, რათა ლტოლვილთა ორგანიზაციის პრინციპად მიღებულ იქნეს არა ის, თუ რომელ სახელმწიფოს ქვეშევრდომი იყო ესა თუ ის ლტოლვილი, არამედ ნაციონალური პრინციპი. პოლონეთის წარმომადგენელი თავისი აზრის დასასაბუთებლად დაეყრდნო შულგინის მიმართვას ერთა ლიგისადმი და განაცხადა, რომ ამ პრინციპის მიღება საშუალებას მისცემდა უკრაინელებს შეექმნათ ოფიციოზური ხასიათის ცალკე ემიგრანტული ორგანიზაციები.

კონფერენციამ უარჰყო პოლონეთის წინადადება.

ნორვეგიელ მშენებელთა ბრძოლა

ოსლო, 2 ივლისი. ნორვეგიელ მშენებელთა ბრძოლა გრძელდება. **მუშათა ფრონტი მტკიცდება, ხოლო მწარმოებელთა ფრონტი სუსტდება.** გასულ კვირაში ზოგიერთმა მწარმოებლებმა დაიწყეს მოლაპარაკება მშენებელთა კავშირთან.

ხელისუფლება ისევ მიმართავს რეპრესიებს. ოსლოს ქალაქის სასამართლომ დაამტკიცა საპოლიციო სასამართლოს მიერ ნორვეგიის მუშათა პარტიის 4 დეპუტატისათვის გამოტანილი განაჩენი. გაფიცულთათვის დახმარების გაწევის გამო ბრალდებულებს მისჯილი აქვთ ფულადი ჯარიმა 500 კრონის რაოდენობით. (ადს)

გაფიცვა საბერძნეთში

პროტესტი საბერძნეთის ხელისუფლების სიმკაცრის წინააღმდეგ

ათინა, 1 ივლისი. რემედასის საბერძნეთის სექციამ მიმართა თეთრი ტერორის მსხვერპლთა დამცველ კომიტეტს ბალკანეთში, საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „იუმანიტე"-ს ავსტრიის ინტელიგენტთა კავშირს და მოქალაქისა და ადამიანის უფლებათა დამცველ ლიგას პროტესტით იმის წინააღმდეგ, რომ საბერძნეთის ხელისუფლება მკაცრად ეპყრობა გაფიცულებს.

კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირმა მიმართა ჯარისკაცებს მოწოდებით, რომელშიაც მოუწოდებს მათ არ ესროლონ გაფიცულებს და არ გამოვიდნენ შტრეიკბრეხერების როლში. (ადს)

ავსტრიის კოოპერატ. ორგანიზაციების კონგრესი

ვენა, 2 ივლისი. დამთავრდა ავსტრიის კოოპერატიული ორგანიზაციების კონგრესი.

საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენელმა „ვუკოსპილკა"-ს თავმჯდომარის მოადგილე ცელარიუსმა თავის მისასალმებელ სიტყვაში გააცნო კონგრესს ის მიღწევები, რომლებიც აქვს საბჭოთა კოოპერაციას უკანასკნელ წლებში, და დასასრულ **მოუწოდა ავსტრიელ კოოპერატორებს დაიცვან საერთაშორისო კოოპერატიული მოძრაობის მთლიანობა.**

ცელარიუსის სიტყვას კონგრესი დიდი თანაგრძნობით შეხვდა. (ადს)

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ხუთი წლისთავი

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის დამტკიცების დღიდან გავიდა ხუთი წელი. თუმცა ეს თარიღი სავსებით არ ხვდება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის კავშირის შექმნის მომენტს, მაგრამ მაინც მხოლოდ კონსტიტუციის დამტკიცების დღეს ჩამოაყალიბეს რუსეთის ყოფილ იმპერიის ტერიტორიაზე დასახლებულმა ხალხებმა თავისი შრომის კავშირი სათანადო უფლებრივი ნორმებით და თავისი ახალი სახელმწიფოებრივი ყოფა-ცხოვრება.

საბჭოთა სახელმწიფოებრივობის შინაარსი ულრმესი სოციალური აზრის მატარებელია: ის წარმოადგენს გადამწყვეტ წინასწარ პირობას ადამიანის სრული განთავისუფლებისათვის მონობისაგან; საბჭოთა სახელმწიფოებრივობის პირობებში პროლეტარიატი გლეხობასთან შეკავშირებით პირველად ხელმძღვანელობს სახელმწიფოს, როგორც დიქტატორი.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის განმასხვავებელი თვისებაა მშრომელ მასების დაცვა ექსპლოატატორებისაგან. ბურჟუაზიულ კონსტიტუციებში, პირიქით, წითელი ზოლით არის გავლებული კაპიტალიზმის დაცვა პროლეტარიატისაგან და ფორმალური თანასწორობის ბატონობა ბურჟუაზიული ჩაგვრის, კაპიტალის უღლის და დაქირავებულ მონობის შენარჩუნების პირობებში.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ექვსი მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკაა, რომელთა შორის უმრავლესობას წინად არ ჰქონდა თავისი სახელმწიფოებრივობა. მაშასადამე, მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის დროს პირველად მიიღეს გარკვეული სახელმწიფოებრივი სახე ამ რესპუბლიკებში მცხოვრებ ერებმა. ამით განხორციელებულ იქნა ერთა თვითგამორკვევის პრინციპი, ამით დაკმაყოფილებულ იქნა საბჭ. კავშირის მრავალეროვნებიან მოსახლეობის საარსებო მოთხოვნილება.

მაგრამ პროლეტარიატი, როგორც ცხოვრების გარდამქმნელი კლასი, არ შეასრულებდა თავის რევოლიუციონურ ამოცანებს, ის რომ შეჩერებულიყო ამ მიღწევებზე. ჯერ თვით საბჭ. რესპუბ. კავშირის დაარსება დღის წესრიგში აყენებს მრავალ ახალ საკითხს, რომელთა გადაჭრამ უნდა დააჩქაროს სოციალისტური საზოგადოების შექმნა.

პროლეტარიატის ძირითადი ლოზუნგია: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" ეს ლოზუნგი, პირველ ყოვლისა, ხაზს უსვამს პროლეტარიატის ინტერნაციონალურ ბუნებას და მის წინაშე მდგარ ამოცანებს. პროლეტარიატი უნდა იყვეს ინტერნაციონალური არა მარტო მაშინ, როცა მას არა აქვს საკუთარი სამშობლო, როცა ის არის ბურჟუაზიულ სამშობლოს ტყვე და მონა, არამედ მაშინაც,—კიდევ უფრო, ვინემ წინად,—როცა ის ქმნის საკუთარ სამშობლოს.

აიხ, პროლეტარიატს აქვს ეხლა თავისი სამშობლო მას ეწოდება—სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი.

ვამტკიცებთ და ვანვითარებთ რა საბჭოთა ნაციონალურ სახელმწიფოებრივობას, ჩვენ ამასთანავე ერთად შეუსვენებლივ უნდა ვიმუშაოთ, რომ აღვზარდოთ ისინი, როგორც საბჭოთა კავშირის—საერთო სოციალისტურ სამშობლოს მოქალაქენი.

მაგრამ—გვეტყვიან ჩვენ—განა თვითეული რესპუბლიკის მოქალაქე არ სთვლის თავის თავს საბჭოთა კავშირის მოქალაქედ? ჩვენ ამაში ეჭვი არ გვეპარება. მართალია, რომ თვითეული თავის თავს სთვლის არა მარტო თავისი ნაციონალური რესპუბლიკის მოქალაქედ, არამედ აგრეთვე საბჭოთა კავშირის მოქალაქედაც. მიუხედავათ ამისა, ყველაფერი ეს კიდევ არ არის საკმარისი. საბჭოთა კავშირი თავის მოქალაქეთაგან მოითხოვს გაცილებით უფრო მეტ ინტიმიურობას, ვინემ რომელიმე ბურჟუაზიული სახელმწიფო. აი რატომ უნდა ვიზრუნოთ ყველა ჩვენს ერებს შორის საკავშირო მოქალაქეობრივობის შეგნების განსამტკიცებლად.

უკრაინა, უზბეკისტანი და სხვ.—ხომ წარსული სახელწოდებანია. ეროვნებანი, რომელნიც იბრძოდენ ამ სახელწოდებათა აღსადგენად, მათ უკავშირებენ თავის წარსულ ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ. მაგრამ საბჭოთა კავშირის შექმნით იწყება ახალი ისტორიული ხანა, როცა ჩვენ ვიბრძვით უფრო ფართე და უფრო ძნელ ამოცანებისათვის, ვინემ ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცება.

ჩვენ ვმუშაობთ იმისთვის, რომ საბჭოთა კავშირი გადავაქციოთ თანასწორუფლებიან ეროვნებათა კომუნისტურ ოჯახად, რათა ამით ერთხელ და სამუდამოდ მოვსპოთ ისეთი წყობილების შექმნის შესაძლებლობა როცა უფრო ძლიერი ერები გაბატონებული არიან უფრო სუსტებზე. ამ მიზნის განხორციელებისაკენ მივყევართ მხოლოდ ერთ გზას—საბჭოთა კავშირის განვითარებასა და განმტკიცებას.

კონსტიტუციის განმტკიცების დღე არის საბჭოთა კავშირის არსებობის ფორმალური დასაწყისი. ამ დღეს თვითეულმა მოქალაქემ, ე. ი. თვითეულმა მუშამ და გლეხმა უნდა მოიგონოს თავისი მოვალეობანი საკავშირო სამშობლოს მიმართ. ეს სამშობლო ახლობელი და ძვირფასი უნდა იყვეს თვითეულ მშრომელისათვის. საბჭოთა კავშირის მოქალაქედ ყოფნა არის უდიდესი ბედნიერება, ვინაიდან მასთან დაკავშირებულია კაცობრიობის მომავალი.

მ. კალინინი.

მოსკოვი, 1 ივლისი.

ავსტრია-უნგრეთის პოლიციის თანამშრომლობა

დაპატიმრებანი ბუდაპესტში

ვენა, 1 ივლისი. უნგრეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ ორგანოს „ნეპსავა"-ს ცნობით, **ბუდაპეშტში უკანასკნელ ორ დღეში მოხდა მასიური** დაპატიმრებანი. გაზეთი სწერს, თითქოს ამ დაპატიმრებებს საფუძვლად დაედო ის მასალა, რომელიც კუნს აღმოაჩნდა. პოლიცია ჯერ-ჯერობით არ აქვეყნებს დაპატიმრებულთა გვარებს.

საღამოს გაზეთი **„ნეიე ვინერ აბენდბლატ"**-ი აცხადებს, რომ უნგრეთის პოლიტიკური პოლიციის უფროსს შვეინიცერს, რომელიც კუნის დაპატიმრების შემდეგ ვენაში ჩავიდა, გასცნობოდა იმ დოკუმენტებს, რომლებიც აღმოაჩნდა კუნს. ამ დოკუმენტებიდან მან ვითომ ბევრი ცნობა ამოიღო უნგრეთის კომპარტიის არალეგალური ორგანიზაციების შესახებ. (ადს)

იტალია-ესტონეთის შეთანხმება

რომი, 1 ივლისი. იტალიამ და ესტონეთმა ხელი მოაწერეს დროებით სავაჭრო შეთანხმებას, რომლის მიზანია ეკონომიური ურთიერთობის მოწესრიგება ორივე სახელმწიფოს შორის. შეთანხმებას საფუძვლად უდევს უდიდესი უპირატესობის მინიჭების პრინციპი.

გაფიცვა ბერლინის პურის ფაბრიკებში

ბერლინი, 1 ივლისი. გრძელდება გაფიცვა პურის უდიდეს ფაბრიკებში. მეწარმეები კატეგორიულ უარს ამბობენ მუშების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ. (ადს)

ნობილეს თანამგზავრების და ამუნდსენის გადასარჩენად

„იტალია"-ს დამხმარე კომიტეტში

მოსკოვი, 2 ივლისი. „იტალია"-ს დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კამენევმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომლებთან საუბარში განაცხადა:

„ჩვენმა კომიტეტმა წამოაყენა წინადადება, რომ შეთანხმებული ყოფილიყო ყველა ის ძალები და საშუალებანი, რომლებიც მიმართულია დაღუპვის პირას მყოფ „იტალია"-ს ეკიპაჟის დასახმარებლად. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტმა ასეთი წინადადებით მიმართა ყველა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ „იტალია"-ს გადარჩენის საქმეში, კომიტეტს არავისგან არავითარი პასუხი არ მიუღია.

ნობილეს დამხმარე ექსპედიციებში მონაწილეთა რიცხვი აღწევს 1.500 კაცს. შედეგები კი ჯერ-ჯერობით სრულიად უმნიშვნელოა. ამუნდსენის დაღუპვაც იმის შედეგია, რომ შეთანხმებული არ იყო სხვადასხვა ექსპედიციების მოქმედება. საერთო მოუწესრიგებლობა და შეუთანხმებლობა იმას იწვევს, რომ ყველა თავის შეხედულების მიხედვით მოქმედებს. ყველა იმეორებს ერთსა და იმავე შეცდომებს.

ყოველივე ეს — დაამთავრა ამხ. კამენევმა — წარმოადგენს იმის საუკეთესო ილიუსტრაციას, თუ რამდენად მართალი იყო ჩვენი კომიტეტი, როდესაც მოითხოვდა ყველა სახელმწიფოთა მოქმედების შეთანხმებას". (ადს)

მოსკოვი, 2 ივლისი. 29 ივნისს „იტალია"-ს დამხმარე კომიტეტის ბრძანებით მფრინავი ბაბუშკინი გაფრინდა იმ ადგილისაკენ, სადაც ავარია განიცადა დირიჟაბლმა „იტალია"-მ. ჯერ-ჯერობით არ არის ცნობები გაფრენის შედეგების შესახებ. (ადს)

მოსკოვი, 2 ივლისი. „იტალია"-ს დამხმარე კომიტეტში ფიქრობენ, რომ „კრასინი"-ი 2 ივლისს მიაღწევს იმ ადგილს, სადაც ავარია განიცადა ნობილეს დირიჟაბლმა. (ადს)

„იტალია"-ს ეკიპაჟის დასახმარებლად

რომი, 1 ივლისი. ნობილეს ექსპედიციის მცურავი ბაზიდან მიღებული დეპეშის მიხედვით, მეტეოროლოგიური პირობები არქტიკაში 30 ივნისს ხელსაყრელი არ იყო ფრენისათვის. ვალიერის ცნობით, მისი ჯგუფის სადგომის მახლობლად შესაძლებელია აეროპლანების დაშვება. გადაწყდა, რომ თუ მეტეოროლოგიურმა პირობებმა, ხელი არ შეუშალა გადაფრენას, ვალიერის ჯგუფის გადასარჩენად გაფრინდება „იტალიის" ორი დიდი ჰიდროაეროპლანი, ერთი შვეციის და ერთი ფინეთის აეროპლანი. (ადს)

ყინულისმჭრელი „მალიგინი".

მოსკოვი, 1 ივლისი. 29 ივნისს ბაბუშკინი გაფრინდა იმ რაიონში, სადაც ავარია განიცადა „იტალია"-მ. ბაბუშკინმა თან წაიღო ერთი კვირის საყოფი სურსათი, თბილი ტანსაცმელი, იარაღი და საწვავი მასალა. გზაში აეროპლანის დაშვება სათადარიგო ბაზასთან კარლოსის კუნძულზე და შეივსებს საწვავი მასალის მარაგს „მალიგინ"-ზე დასაბრუნებლად. ბაბუშკინის გარდა აეროპლანით მფრინავენ მექანიკოსი გროშევი და რადიო-ტელეგრაფისტი ფომინიხი.

„მალიგინ"-მა რადიო - ტელეგრაფით მიიღო ცნობა იმის შესახებ, თუ სად იმყოფება ვალიერის ჯგუფი: ყინული, რომელზედაც არის ამ ჯგუფის სადგომი, წყალმა ორი დღის განმავლობაში 15 მილით დააშორა ძველ ადგილს. ჯგუფი ეხლა იმყოფება ცხრა მილის მანძილზე ლი-სმიტის კონცხიდან. ნობილეს ექსპედიციის წევრების მეორე ჯგუფი, როგორც სჩანს, კიდევ უფრო სამხრეთით იმყოფება, 20 მილის მანძილზე პირველიდან. (ადს)

„ლატამა"-ს შესახებ არაფერი არ ისმის

რომი, 1 ივლისი. სტეფანის სააგენტო იუწყება:

„იტალიელი მფრინავი რავაცცონი, რომელიც ამჟამად ტრომსში იმყოფება, 28 და 29 ივნისს აეროპლან „მარინა"-თი გაფრინდა საფრანგეთის აეროპლან „ლატამ"-ისა და მფრინავ გილბოს, ამუნდსენისა და დიტრიხსენის საძებრად. რავაცცონიმ დაკარგულ აეროპლანის ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინა". (ადს).

ვალიერის ჯგუფის დასახმარებლად

რომი, 1 ივლისი. სტეფანის სააგენტო იუწყება: „იტალიის ორი ჰიდრო აეროპლანი, რომლებსაც მფრინავები მადალენა და პენძე მართავდენ, და შვეციის სამმოტორიანი ჰიდრო აეროპლანი 1 ივლისს გაფრინდნენ იმ ადგილისაკენ, სადაც ვალიერის იტალიის (ოფიცერი რომელიც ნობილემ თავის მოადგილედ დანიშნა) ჯგუფია სურსათ-სანოვაგის მისაწოდებლად, ლი-სმიტის კონცხის რაიონში მფრინავები სქელი ნისლის გამო იძულებული გახდენ ხელი აეღოთ საჰაერო დაზვერვაზე. აეროპლანები დაბრუნდნენ ვირგომეში. მფრინავებმა სთქვეს, რომ ძლიერი აღმოსავლეთის ქარის ჩრდილოეთით გაჩნდა მრავალი ყინულისაგან თავისუფალი გასავალი. მფრინავები ფიქრობენ, რომ ეს გარემოება გაუადვილებს „კრასინს" მივიდეს ახლოს ვალიერის ჯგუფთან. (ადს).

„კრასინი"-ს რადიო

ყინულის მჭრელი „კრასინი". 2 ივლისი, 30 ივნისს დღისით ყინულის მჭრელი გასცდა კუნძულ მეფენს. ყინულის მჭრელი მიიმართება ყინულებს შორის, რომელთა სისქე ალაგ-ალაგ 2 მეტრს უდრის.

მოსკოვი, 2 ივლისი. „იტალიის" დამხმარე კომიტეტის ცნობით, ყინულის მჭრელმა „კრასინმა" უნდა მიაღწიოს „იტალიის" ავარიის ადგილს. 2 ივლისს დილით „კრასინი" იმყოფებოდა ჩრდილოეთის კონცხის აღმოსავლეთით 9 მილის მანძილზე. იგი დიდის გაჭირვებით იკაფავს გზას ყინულებში. ყინულის მჭრელი 15-20 ჯერ იყო ერთსა და იმავე ადგილას და ერთი საათის განმავლობაში სულ გემის 2 კორპუსის მანძილი გაიარა.

კომიტეტისაგან მიღებულ „კრასინის" სხვა მოხსენებებში ნათქვამია, რომ ყინულის პირობები იმედს იძლევა, რომ მიაღწევს ნობილეს თანამგზავრთა ბანაკს.

1 ივლისს, როდესაც „კრასინი" მიდიოდა ზირგობეის მახლობლად, მან ნობილესაგან მიიღო რადიო, რომელშიაც ნობილე განცვიფრებას გამოსთქვამდა, რომ „კრასინმა" მას არ შეუარა. ამხ. სამოილოვიჩმა უპასუხა, რომ იგი დროს ვერ დაჰკარგავს და ნაბრძანები აქვს პირდაპირ წავიდეს. 2 საათის შემდეგ კიდევ მიიღო ნობილესაგან რადიო, რომელშიაც ის სურვილს გამოსთქვამს, რომ ნახოს „კრასინი" და მისცეს მას მითითებანი. ამხ. სამოილოვიჩმა სთხოვა „ჩიტა დი მილანოს", რომ მისდგომოდა ყინულის მჭრელს, მაგრამ ეს შეუძლებელი გამოდგა. „კრასინი" წინ წავიდა და მუდამ მეგობრული რადიო-კავშირი ჰქონდა ნობილესთან. გემი „ბრაგანცა", „კრასინიდან" მოსჩანდა სამხრეთ-აღმოსავლეთით 15 მილის მანძილზე. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ხელფასის ახალი მომატების შესახებ

რამდენი მუშა იქნება გადაყვანილი 7 საათის სამუშაო დღეზე

მოსკოვი, 2 ივლისი. ამ დღეებში აქ შესდგა პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ კომიტეტების თათბირი, რომელზედაც მომავალ სამეურნეო წლის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელი. როგორც მომხსენებელმა განაცხადა, სახალხო მეურნეობის საბჭოს გადაწყვეტილებით მომავალ წლიდან უნდა გატარებულ იქნას ხელფასის ახალი მომატება 6 პროცენტის რაოდენობით.

პროფესიონალური კავშირების წარმომადგენელნი მოითხოვდნენ ხელფასის გადიდებას 8 პროცენტით. გადაწყდა ხელფასის გადიდების ნორმა გამომუშავებულ იქნას თვითეულ ცალკე შემთხვევაში სამეურნეო ორგანიზაციისა და პროფესიონალური კავშირის შეთანხმებით.

გარდა ამისა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილი აქვს მომავალ წლიდან გადაიყვანოს 7 საათის სამუშაო დღეზე მუშათა საერთო შემადგენლობის 10 პროცენტი. პროფესიონალური კავშირების ცენტრალურ კომიტეტის თათბირმა ეს პროცენტი საკმაოდ არ სცნო. თათბირმა გადასცა თავისი დადგენილება სახალხო კომისართა საბჭოს იმის შესახებ, რომ მომავალ წლიდან შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილ იქნას საბჭოთა კავშირის მუშათა საერთო რიცხვის 20 პროცენტი.

მატოციკლეტების გადარბენა მოსკოვი—თბილისი

მოსკოვი, 2 ივლისი. ავტომობილისა და საგზაო მშენებლობის საზოგადოება, ავტოგზა შეუდგა მოტოციკლეტების გადარბენის ორგანიზაციას. გადარბენა დაიწყება მიმდინარე წლის 22 ივლისს. მონაწილეობას მიიღებს 26 სხვადასხვა მარკის მანქანა.

გადარბენის მონაწილენი ერთი დღით დაისვენებენ ხარკოვში და ორი კვირით თბილისში. გადარბენის დროთ დაწესებულია ერთი თვე.

გადარბენის მიზანია სხვადასხვა მარკის მანქანის ღირსების გამორკვევა და მოსკოვ-თბილისის საგზაო რუკას გამომუშავება.

კრედიტები მევენახეობას

მოსკოვი, 2 ივლისი. გაიხსნა ღვინის მწარმოებელთა კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირი.

გაზეთი „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ი სპეციალურ ფელეტონს უძღვნის თათბირს. წერილში აღნიშნულია, რომ, მართალია მევენახეობა აღორძინების გზაზეა შემდგარი, მაგრამ აღორძინების ტემპი მეტად ნელია. მევენახეობა-მეღვინეობის საქმეს დიდათ აფერხებს საკუთარი კაპიტალის სიმცირე. გაზეთის სიტყვით, საჭიროა მეტი საკრედიტო დახმარება მიეცეს მევენახეობა-მეღვინეობის გაერთიანებებს.

ამიერ-კავკასიის მწერლები კონსტიტუციის დღეს

მოსკოვი, 2 ივლისი. საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ხუთი წლის თავზე „იზვესტია"-მ გამოუშვა სპეციალური ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია წერილები სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკების მიღწევის შესახებ. მხატვრულ ნაწარმოებებს შორის მოთავსებულია სანდრო ეულის და აკოფ აკოფიანის ლექსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო აკადემიის მერვე გამოშვება

ამხ. ვოროშილოვის წერილი

მოსკოვი, 2 ივლისი. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია მერვეჯერ უშვებს თავის კედლებიდან მეთაურებს, რომელთაც მიიღეს უმაღლესი სამხედრო განათლება.

ჩვენს პირობებში მეთაურს უფრო მეტად, ვინემ ოდესმე, მოეთხოვება ფართო საერთო და სამხედრო მომზადება და მეტი პოლიტიკური შეგნება. წითელ არმიელის აღზრდა და გაწრთვნა რთული ამოცანაა, ვინაიდან ახალგაზრდა წითელ არმიელთა კულტურული და პოლიტიკური დონე შესამჩნევად გაიზარდა.

უახლოეს პერიოდში ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წითელ არმიელის აღზრდა, რომელიც გაატარებს ჩვენს პოლიტიკას სოფლად. თავის თავად ცხადია, რომ წითელ არმიელის აღზრდის ამოცანა შეიძლება წარმატებით გადაჭრილ იქნეს მხოლოდ მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის შეთანხმებული, სოლიდარული მუშაობის პირობებში.

ეჭვს გარეშეა, რომ წითელ აკადემიკოსთა ახალ ფალანგას ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს მეთაურთა მთელი შემადგენლობა და, პირველ რიგში, მუშურ-გლეხური წითელ არმიის პოლიტ მუშაკები.

წითელი არმია მოუთმენლად მოელის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულთა დაბრუნებას მის რიგებში.

საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციონური საბჭო ესალმება სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულებს და უსურვებს მათ ნაყოფიერ მუშაობას ძლევამოსილ პროლეტარიატის არმიის რიგებში. (ადს)

მოსკოვი, 2 ივლისი. 2 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში მოხდა მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის მსმენელთა საზეიმო გამოშვება. კურს დამთავრებულ მეთაურებს მიესალმნენ საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარე ამხ. კალინინი, საბჭოთა კავშირის სამხედრო - რევოლუციონური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. უნშლიხტი, საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლუციონური საბჭოს წევრები ამხ. პოსტნიკოვი, ბარანოვი და წითელი არმიის შტაბის უფროსი ამხ. შაპოშნიკოვი. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკებას ჩაშლა მოელის

ვარშავა, 2 ივლისი. ბოლო დღეებში პოლონეთის პრესა, მეტადრე ოფიციოზური ორგანო „ეპოქა", აქვეყნებს ცნობებს პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკების მოსალოდნელი ჩაშლის შესახებ, როგორც ვარშავაში, ისე კოვნოში. პრესის ცნობით, მოლაპარაკების ჩაშლის მიზეზი იქნება, კერძოდ, თავდაუსხმელობის შესახებ პოლონეთ-ლიტვის ხელშეკრულების ლიტვის კანონპროექტი. (ადს).

პატეკი ვარშავაში

ვარშავა, 2 ივლისი. ვარშავაში მოვიდა პოლონეთის მოსკოველი ელჩი პატეკი.

„ექსპრეს პორანი" ელჩის მოსვლას სთვლის „პოლონეთ-საბჭოთა ხელშეკრულების" შესახებ მოლაპარაკების ახალ ეტაპად". (ადს).

„ლეიპციგერ ფოლკსცეიტუნგი" შახტის პროცესის შესახებ

ბერლინი, 2 ივლისი. წინააღმდეგ „ფორვერტსის" სისტემატიური სისინისა, მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ლეიპციგერ ფოლკსცეიტუნგი" მკაცრად შეიცხავს გერმანიის ბურჟუაზიული პრესის დამოკიდებულებას შახტის პროცესისადმი. გაზეთი აღნიშნავს საქმის გარჩევის საჯარო ხასიათს და სწერს: „გერმანიის იუსტიციისათვის ძალიან კარგი იქნებოდა, რომ მუშათა კლასის უფართოეს წრეებს საშუალება ჰქონდეთ, რათა ყოველთვის თვალყური ადევნონ სასამართლოში საქმის გარჩევას. როგორც სხვა სახელმწიფოებს მიაჩნიათ, რომ უფლება აქვთ თავი დაიცვან სიკვდილით დასჯის საშუალებით მკვლელებისა და მოღალატეებისაგან, ისე საბჭოთა კავშირში მოქმედი სამართალი იყენებს ამ ზომას საბჭოთა ხელისუფლების მტრების წინააღმდეგ. (ადს).

„ფორვერტსი" შახტის პროცესის შესახებ

ბერლინი, 2 ივლისი. „ფორვერტსმა" მოწინავე წერილი მოათავსა შახტის პროცესის შესახებ; წერილი უაღრესად მკაცრი კილოთი ილაშქრებს პროკურატურის იმ მოთხოვნის წინააღმდეგ, რომ გამოტანილ იქნას სიკვდილით დასჯის განაჩენები. გაზეთი იმეორებს ბურჟუაზიული პრესის ჩვეულებრივ საბუთებს, რომლებსაც მიზნად აქვთ სახელი გაუტეხონ პროცესს.

ხანძარი რუტჩენკოს მაღაროში

სტალინო, 2 ივლისი. 28 ივნისს რუტჩენკოს მაღაროს ახალ სარაიონო ელექტროს სადგურზე გაჩნდა დიდი ხანძარი. მიცემული ნიშნის შემდეგ, მეხანძრეთა რაზმის მოსვლამდე, მოცვივდნენ მუშები; ხანძარი ჩაქრობილ იქნა. ხანძრის მიზეზი და ზარალი ირკვევა. ოლქის პროფსაბჭომ მუშებს მადლობა გადაუხადა ხანძრის ჩაქრობად გაწეული თავდადებული მუშაობისათვის. სადგურის პირობები ისეთია, რომ მთელი ოლქის ნახშირის ამოღების საქმეს ჩაშლა მოელოდა. (ადს).

„დრაპო რუჟის" კონფისკაცია

პარიზი, 2 ივლისი. ბრიუსელიდან მიღებული ცნობებით, წარსულ ხუთშაბათს ბელგიის კომპარტიის ორგანოს „დრაპო რუჟის" რედაქციაში და გაზეთების კიოსკებში „დრაპო რუჟის" მორიგი ნომრის კონფისკაცია მოახდინეს მოწინავე წერილის გამო. შემდეგ ნომერში იგივე წერილი ხელახლა იქნა მოთავსებული კომუნისტი დეპუტატის ჟაკამოტის ხელმოწერით. რედაქციაში და კანტორაში ჩხრეკა მოხდა. რედაქცია პასუხისგებაშია მიცემული იმ მუხლის ძალით, რომელიც ითვალისწინებს პატიმრობას 3 წლის ვადამდე და ფულის ჯარიმას 30.000 ფრანკამდე (ადს).

პილსუდსკის ხელში რჩება საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობა

ვარშავა, 2 ივლისი. გაზეთი „გლოს პრავდის" (პილსუდსკის ორგანოა), ცნობით, პილსუდსკიმ თუმცა პრემიერობაზე უარი განაცხადა, მაგრამ პოლონეთის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობას მაინც იტოვებს. (ადს).

უფლილი სოჭელი მუშაკების პროცესი

დონის-როსტოვი, 2 ივლისი. დამთავრდა უფლილი სოჭელი მუშაკების პროცესი. სასამართლოში გამოირკვა, სოჭის პარტიული და საბჭოთა აპარატის ზედაფენის იშვიათი სურათი. პარტიული ხასიათის დემონსტრატიული ზეგავლენისა და კრიტიკის სრული უქონლობის პირობებში ფართოდ განვითარდა ლოთობა, ნათლიმამობა, გარყვნილება, ძალადობა და სამეურნეო უთავბოლობა.

ოლქის სასამართლომ მიუსაჯა ზანჩენკოს 10 წლის პატიმრობა სასტიკი იზოლიაციით, საოლქო კომიტეტის მდივანს ზაროვოვს 10 წლის პატიმრობა, სახალხო განათლების სარაიონო განყოფილების გამგეს გერსავს—5 წლისა და კომკავშირის მდივანს მოადგილეს თოდუროვს 4 წლის პატიმრობა. დანარჩენებს იგივე სასჯელი ნაკლების ვადით. (ადს).

შიმშილობა ანატოლიაში

ანგორა, 1 ივლისი. კონიის, იოზგადის, კესარიის, ქირშეჰირის და აქსარის ვილაეტების უმეტეს ნაწილში და სხვა ვილაეტების ცალკე ადგილებში იზრდება შიმშილობის საფრთხე. შიმშილობის მიზეზია—მკაცრი ზამთარი და ხანგრძლივი გვალვა. გლეხები ჩალის ფასად ჰყიდიან მუშა საქონელს, ინვენტარს და გარბიან ქალაქებში. ზოგიერთ რაიონებში გლეხები ბალახით იკვებებიან.

მინისტრთა საბჭოს საგანგებო სხდომამ დაადგინა, სასწრაფოდ მიავლინოს შინაგან საქმეთა მინისტრი დაზარალებულ რაიონებში დახმარების აღმოსაჩენად. (ადს).

51 კაცის დაღუპვა

პარიზი, 1 ივლისი. სენ-ეტიენში ჩამონგრა მაღარო როშ ლა-მოლიერ. ჩამონგრევამ გამოიწვია შეკუმშული ჰაერის მილოდების შეწყვეტა. გვირაბში შეჭრილ შხამიანი გაზებით მოიწამლენ მუშები. 30 კაცი გადაარჩინეს, 51 კაცი დაიღუპა.

საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრმა ტარდიემ ინახულა კატასტროფის ადგილი. ინჟინერების ცნობით, კატასტროფა შემდეგ პირობებში მოხდა: ზედამხედველმა შენიშნა ცეცხლი და შესაფერი გამაფრთხილებელი ნიშანი მისცა. ჩამონგრევის გამო შეწყდა შეკუმშული ჰაერის მიწოდება და შხამიანი გაზები გავრცელდა გვირაბებში. როგორც კი დაიწყო მუშაობა მუშების გადასარჩენად, მოხდა მეორე ჩამონგრევა და შხამიანი გაზები გავრცელდა მანამდე დაცულ გვირაბებშიც.

შახტის კონტრ-რევოლიუციონერების გასამართლება

დამცველთა სიტყვები

30 ივნისის დილის სხდომა

დამცველ. კომოდოვის სიტყვა

კომოდოვის აზრით, ბრალდებამ ვერ დაამტკიცა, რომ სტოიანოვსკი შეგნებული დამნაშავე იყოს, ამიტომ იგი მოითხოვს ბრალდებულის გამართლებას.

დამცველს ოდინცოვს დანაშაულობად უფრო ის მიაჩნია, რომ მან დამალა ბოროტმოქმედება, ვიდრე ის, რომ მონაწილეობას იღებდა საზიანო მოქმედებაში. დამცველის აზრით, ოდინცოვს, რაც შეიძლება მინიმალური სასჯელი უნდა მიესაჯოს.

ლიუბის კავშირი არა ჰქონია დამზიანებელთა არც ერთ იმ ხუთ ჯგუფთან, რომლებიც შეიერთიანოვკაში აღმოჩნდენ. ლიუბი დიდი ხნით არ უნდა ჩაჯდეს სატუსაღოში.

მეშკოვს თავისი მუშაობის ხაზით საზიანო მოქმედება არ გაუწევია. მეშკოვის შესახებ ჩვენ ვიცით მხოლოდ წერილების მიღება და სხვა ბრალდებულთა ჩვენება, ვითომ მას მონაწილეობა მიეღოს სახელმწიფო ღალატის ხასიათის მოქმედებაში. ამიტომ დამცველი ვერ შეურიგდება მის დახვრეტას, მით უმეტეს, რომ მეშკოვი ძრიად კვალიფიციური ინჟინერია 28 წლის სტაჟით.

შადლუნის მიმართ ყველაზე მძიმე ბრალდება ის კი არ არის, რომ იგი ორგანიზაციის წევრი იყო, არამედ ის დანაშაული, რომელიც სასამართლომ გაიხილა დახურულ სხდომაზე. დამცველის აზრით, შადლუნის ეს დანაშაული სამოსამართლო გამოძიების მასალით არ დამტკიცებულა.

მართალი იყო სახელმწიფო ბრალმდებელი, —ამბობს დასასრულ კომოდოვი, — როდესაც იგი ბევრ ბრალდებულს მიმართავდა, რომ თავიანთი მუშაობით, თავიანთი ცოდნით და გამოცდილებით ხელი შეუწყონ იმის აღდგენას, რაც მათ ნაწილობრივ დაანგრიეს. დამცველი სთხოვს სასამართლოს, გაიხსენოს ეს მოსაზრება, როდესაც ბრალდებულთა ბედს გადასწყვეტს.

დამცველი როზენბლიუმი თავის სიტყვაში არჩევს ბრალდებულებს: ნეკრასოვისა, კალინინისა და სტოიანოვსკის მოქმედებას და დაასკვნის, რომ ისინი უნდა გამართლებულ იქმნენ.

დამცველი სმირნოვის სიტყვა

სმირნოვი იცავს მატოვსა და ბრატანოვსკის. მან აღნიშნა, რომ ორივე ბრალდებული დანაშაულში ჩაითრიეს.

სმირნოვმა ჩამოსთვალა ის მოქმედებანი, რომლებიც ბრალად ედებათ ბრატანოვსკისა და მატოვს. ის ცდილობდა შეენელებინა და შეემცირებინა ამ დანაშაულობათა მნიშვნელობა. დამცველს შესაძლებლად მიაჩნია, ბრალდებულებს დახვრეტის ნაცვლად პატიმრობა მიესაჯოთ.

დამცველ რიაზანსკის სიტყვა

რიაზანსკი იცავს ბაშკინს, ბოიარშინოვს და იმენიტოვს. ბაშკინისა და ბოიარშინოვის მიმართ პროკურატურა მოითხოვს უმაღლეს სასჯელს.

დამცველი აღნიშნავს, რომ ბაშკინმა მთლიანად აღიარა თავისი დანაშაული. დამცველს შესაძლებლად მიაჩნია მისთვის უფრო მსუბუქი განაჩენის გამოტანა, ვიდრე ამას ბრალმდებელი მოითხოვს.

დამცველ აღიარებს, რომ ბოიარშინოვმა შეცდომა ჩაიდინა: მან ვერ გაითვალისწინა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, როდესაც კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის არსებობა გაიგო; ამიტომ მან განსაზღვრული სასჯელი უნდა მოიხადოს, მაგრამ ბოიარშინოვის ეს შეცდომა საკითხს ვერ დააყენებს ისეთი მკაცრი სასჯელის შესახებ, როგორიცაა დახვრეტა.

დამცველი სასამართლოს სთხოვს სამართლიანობას იმენიტოვის მიმართ, რომლის დანაშაულობა მას არ სწამს.

30 ივნისის საღამოს სხდომა

დამცველ ლევენბერგის სიტყვა

სასამართლოს საღამოს სხდომაზე გამოვიდა დამცველი ლევენბერგი.

დამცველი დაასკვნის, რომ არ არსებობს იმის საბუთი, ვითომ კუზმას მოქმედებას საზიანო ხასიათი ჰქონოდეს, მის მოქმედებაში დამცველი ხედავს მხოლოდ შემოქმედების წყურვილს. მისი აზრით, სასამართლოს დარბაზიდან კუზმა გამართლებული უნდა გავიდეს.

დამცველი ეხება მეორე ბრალდებულს ალექსანდრე ნეკრასოვს და ამბობს: მე საბუთს ვერ ვხედავ, რომ ნეკრასოვს უმაღლესი სასჯელი მიესაჯოსო.

ნაშივოჩნიკოვის შესახებ დამცველი ფიქრობს, რომ მან სასტიკი იზოლიაცია არ დაიმსახურება. ბელენკოსათვის თხოულობს პირობით სასჯელს, პოტიომკინი კი გამართლებულ უნდა იქნას.

ლევენბერგი უფრო დაწვრილებით ჩერდება ბრალდებულ დეიტერზე. დამცველის აზრით, უდავოა, რომ დეიტერს უმაღლესი სასჯელი არ დაუმსახურებია.

დამცველ დობრიანინის სიტყვა

მოსკოვი, 2 ივლისი. 30 ივნისს შახტის პროცესის საღამოს სხდომა დამთავრდა ინჟინერ კრუჟანოვსკის, ტეხნიკოსის ვასილიევის, ფაიერმანის და გორლეცკის დამცველის დობრიანინის სიტყვით. დამცველის აზრით, საეჭვოა, რომ კრუჟანოვსკი, აქტიური დამზიანებელი ყოფილიყო. აქედან არ გამომდინარეობს ის, რომ კრუჟანოვსკის მიმართ არ არსებობს სოციალური დაცვის სხვა ზომა, გარდა დახვრეტისა.

პროკურორის მოთხოვნილებას ტეხნიკოსის ვასილიევის დახვრეტის შესახებ დამცველი დაუსაბუთებლად სთვლის, რამდენადაც არ არის დამტკიცებული, რომ ვასილიევი ღებულობდა ფულს დამზიანებელთა ორგანიზაციიდან და აწარმოებდა საზიანო მუშაობას.

რაც შეეხება ფაიერმანს და გორლეცკის, რომლებისათვის პროკურორი მოითხოვდა პირობით სასჯელს, დამცველის აზრით შეიძლება მათი განთავისუფლება.

დამცველ პლიატის სიტყვა

კვირას 1 ივლისს პროცესის დილის სხდომა დაიწყო ბრალდებულ ხუდნენკოს, ელისავეტოვის, ოვჩარიკის და ვალიკოვსკის დამცველის პლიატის სიტყვით. ამ ბრალდებულთა მიმართ პროკურორი მოითხოვდა იზოლიაციას სხვადასხვა ვადით, დამცველი აცხადებს რომ ხუდნენკო სრულიად უდანაშაულოა, ვინაიდან არ არის დამტკიცებული, რომ ის აწარმოებდა საზიანო მუშაობას. ელისავეტოვსკი, დამცველის აზრით, საბრალმდებლო სკამზე ზის მხოლოდ იმიტომ, რომ მან ცილი დასწამეს ხუდნენკოს და ბოგდნოს. კონკრეტული მაგნიზობა ვალიკოვსკის არ ედება ბრალად.

ოვჩარიკი, დამცველის აზრით, საბრალმდებლო სკამზე მოხვდა მხოლოდ ბაშკინის ჩვენების გამო. დამცველი სთვლის, რომ ბაშკინის ჩვენება არ დამტკიცდა. არ არის დამტკიცებული აგრეთვე ბრალდება, რომელიც ოვჩარიკს წინააღმდეგ წამოაყენა ბრალდებულმა ბოიარინოვმა, რომელმაც ბოლოს აღიარა სასამართლოს წინაშე, რომ მან ცილი დასწამა ოვჩარიკს. შემდეგ დამცველი ითხოვს ვალიკოვსკის სრულ გამართლებას.

დამცველ კოროლენკოს სიტყვა

კოროლენკო იცავს ემელიან და ანდრია კოლოდუბებს, კუვალდინს, კაზარინოვს (ანდრია კოლოდუბის და კაზარინოვის მიმართ პროკურორი მოითხოვდა სოციალური დაცვის უმაღლეს ზომას). დამცველის აზრით, ემელიან კოლოდუბის მონაწილეობა ორგანიზაციაში არ არის დამტკიცებული. იგი სთხოვს სასამართლოს, რაც შეიძლება ლმობიერად მოეპყრას მას. შემდეგ დამცველი ეხება რა იმ მასალას, რომელიც ახასიათებს მის საზიანო მუშაობას, მიდის იმ დასკვნამდე, რომ საქმეში არ არის კონკრეტული ცნობები, რომლებიც მიუთითებდეს ანდრია კოლოდუბი შეიძლება აქტიურ დამზიანებლად ჩაითვალოს. ის არ შეიძლება ყოფილიყო დამზიანებელთა ორგანიზაციაში, მაგრამ მას შეეძლო სცოდნოდა ამ ორგანიზაციის მუშაობა —ამ შესაძლებლობას დამცველი არ უარყოფს. დამცველს იმედი აქვს, რომ სასამართლო ანდრია კოლოდუბს არ მიუსჯის დახვრეტას. მექანიკოსის კუვალდინის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებას დამცველი დაუმტკიცებლად სთვლის. დამცველის აზრით, არ შეიძლება კაზარინოვის მოქცევა არც დამზიანებელთა, არც ორგანიზატორთა და არც ხელმძღვანელთა ჯგუფში. მართალია, ის იყო დონუგოლის უცხოეთის განყოფილების გამგე, მაგრამ, როგორც ასეთი, ის არ თამაშობდა ხელმძღვანელ როლს ორგანიზაციაში. კაზარინოვი, დამცველის აზრით, იყო სხვა დამზიანებელთა ბრძანებების პასიური შემსრულებელი. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ სასჯელის უმაღლესი ზომა კაზარინოვის მიმართ არ იქნება სამართლიანი.

დამცველ ვალიანტოვიჩის სიტყვა

ვალიანტოვიჩი იცავს ოთხ ბრალდებულს—იუსევიჩს, გორლეცკის, ანტონოვს და ჩინოკოლს. იუსევიჩის უდანაშაულობა (იუსევიჩის მიმართ ბრალდება მოითხოვს სასჯელის უმაღლეს ზომას) დამცველს გამოჰყავს იმ საბუთების ანალიზიდან, რომლებიც ამტკიცებენ იუსევიჩის მუშაობას კონტრ - რევოლიუციონურ ორგანიზაციაში: ეს საბუთებია ბრალდებული მატოვის ჩვენება, აგრეთვე თვით იუსევიჩის მიერ მიცემული ჩვენება, რომელზედაც მან შემდეგში უარი განაცხადა. დამცველი ამტკიცებს, რომ მატოვის ჩვენებას იუსევიჩის შესახებ, როგორც დამამტკიცებელ საბუთს, არ შეიძლება მიეცეს რაიმე მნიშვნელობა, ვინაიდან ის შეიცავს სამ ერთი მეორის საწინააღმდეგო მომენტს. დამცველი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს აგრეთვე იუსევიჩის ჩვენებას, რომელიც მან შემდეგში უარჰყო. ეს ჩვენება იუსევიჩმა მისცა წინასწარ გამოძიების დროს მატოვთან პირისპირ შეხვედრის დროს, რამდენიმე საათის შემდეგ მან ეს ჩვენება უარყო. ამ ჩვენებას ბრალდებული ხსნის იუსევიჩის ავადმყოფური მდგომარეობით, რასაც ადასტურებს დოკუმენტი, რომელიც იუსევიჩის საქმეში მოიპოვება.

დამცველი შუამდგომლობს იუსევიჩის გამართლების შესახებ.

გორლეცკი, — აღნიშნავს დამცველი, — ბრალმდებელმა კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციის მეთაურად გამოჰყავს. დამცველი ამტკიცებს, რომ გორლეცკის მუშაობა ორგანიზაციაში მტკიცდება მხოლოდ ბრალდებულ ბერეზოვსკის სრულიად უსაფუძვლო ცილისწამებით. დამცველი ანალიზს უკეთებს გორლეცკის საზიანო მუშაობის დამამტკიცებელ საბუთებს, ამავე დროს ეხება ბრალდებულ ჩინოკოლის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს. ეს ანალიზი არწმუნებს დამცველს, რომ არც გორლეცკის და არც ჩინოკოლს არ უწარმოებიათ რაიმე საზიანო მუშაობა. დამცველი მოითხოვს მათ გამართლებას. ანტონოვის წინააღმდეგ წამოყენებული საბრალმდებლო მუხლების ანალიზს დამცველი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ანტონოვის მუშაობა დამზიანებელთა ორგანიზაციაში არ არის დამტკიცებული.

დამცველ დოლმატოვსკის სიტყვა

დოლმატოვსკი იცავს გერმანიის ქვეშევრდომს ბრალდებულ ბადშტიბერს.

ბრალდებულს წაყენებული აქვს ოთხი ბრალდება. აგიტაცია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, უვარგისი მანქანების მოწოდება, ბოროტმოქმედებათა დაფარვა და ქრთამის მიცემა. დამცველის აზრით, სასამართლოს მიერ მოხდენილ გამოძიებიდან ჩანს, რომ პირველი სამი მომენტი აუცილებლად უნდა მოიხსნას.

ბადშტიბერის მიერ ბრალდებულ ნიკიშინისათვის ქრთამის მიცემას არ უარყოფს არც ბადშტიბერი და არც ნიკიშინი. ბადშტიბერმა საბჭოთა სამართლის თვალსაზრისით ქრთამი მისცა თანამდებობის პირს. დამცველი აცხადებს, რომ თანამდებობის პირისათვის ქრთამის მიცემა საბჭოთა სამართლის მიხედვით გერმანელისთვის გაუგებარია, ვინაიდან გერმანიაში სხვანაირი შეხედულება არსებობს ამ საკითხზე. ამიტომ დამცველი შესაძლოდ სთვლის სთხოვოს სასამართლოს უფრო ლმობიერად მოეპყრას ბადშტიბერს, გერმანიის ქვეშევრდომს, დამცველს შესაძლოდ მიაჩნია, ბადშტიბერის დანაშაული შეეფარდოს სისხლის სამართლის კოდექსის მეორე მუხლს. ამ მუხლის თანახმად, ბოროტმოქმედება, რომელმაც დაჰკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, არ იწვევს სოციალური თავდაცვის ზომას.

1 ივლისის საღამოს სხდომა

1 ივლისის საღამოს სხდომაზე დამთავრდა დამცველთა სიტყვები.

პროფ. ვორმსის სიტყვა

გერმანიის ქვეშევრდომ მონტერ მეიერის (რომლის მიმართ წაყენებულ ბრალდებებზე პროკურატურამ უარი სთქვა) და ინჟინერ სკორუტოს დამცველი პროფესორი ვორმსი აღნიშნავს, რომ, მისი აზრით, სკორუტოს (რომლის მიმართ სდგას საკითხი სასჯელის უმაღლესი ზომის შესახებ) სასამართლომ არ უნდა შეუფარდოს მუხლი სახელმწიფო ღალატის შესახებ.

დამცველი დამტკიცებულად სთვლის, რომ ბრალდებულს ჰქონია უშუალო კავშირი პოლიტიკურ ინსტანციებთან. ეს, რასაკვირველია, არ ამცირებს სკორუტოს მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას, მაგრამ შესაძლოდ ხდის უმაღლეს სასჯელიდან უფრო მსუბუქ სასჯელზე გადასვლას.

დამცველ ოცეპის სიტყვა

ოცეპი იცავს გერმანიის ქვეშევრდომს ინჟინერ ოტოს და ინჟინერ რაბინოვიჩს.

დამცველი თხოულობს ოტოს გამართლებას.

რაც შეეხება რაბინოვიჩს, ოცეპი ჩერდება გავრილოუშენკოს ჩვენებაზე, რომელმაც პირველმა დაასახელა რაბინოვიჩის გვარი, როგორც მოსკოვის ცენტრის წევრისა. დამცველს საეჭვოდ მიაჩნია ჩვენება, გავრილოუშენკოსი, რომელმაც თავი მოიკლა იმ დაკითხვის მეორე დღეს, რომლის დროსაც მან რაბინოვიჩი დაასახელა. გავრილოუშენკოს ფსიხიური ნორმალობის საკითხი დაისვა ჯერ კიდევ სამოსამართლო გამოძიების დროს. საქმეში ჩართული მისი ჩვენება ბევრ წინააღმდეგობას შეიცავს. დამცველი ანალიზს უკეთებს აგრეთვე მატოვის, კაზარინოვის და ბრატანოვსკის ჩვენებებს, სადაც ლაპარაკია რაბინოვიჩის შესახებ. ოცეპი მათაც არ ენდობა და ამბობს, არავითარი გარანტია არ არსებობს, რომ ისინი სიმართლეს ამბობდნენ. ოცეპს სიმართლედ არ მიაჩნია აგრეთვე ჩვენება მოწმე მუხინის, რომელიც სასამართლოში მიცემულია სხვა საქმის გამო. დამცველის აზრით, კეთილსინდისიერმა ანალიზმა აუცილებლად უნდა მიგვიყვანოს იმ დასკვნამდე, რომ რაბინოვიჩი დამნაშავე არაა.

პარტიული ცხოვრება

სომხეთის კომპარტიის ცეკას პლენუმი

ერევანი 2 ივლისი. 30 ივნისს გაიხსნა სომხეთის კ. პ. (ბ) ცეკას პლენუმი, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ გამოვიდა ამხ. ხაიკაზ კოსტანიანი.

ამხ. კოსტანიანმა გაკვრით აღნიშნა მიღწევები და შემდეგ გადავიდა მუშაობის ნაკლოვანებათა დახასიათებაზე.

„სამეურნეო პოლიტიკაში ჩვენ დაუშვით დიდი შეცდომები—ამბობს ამხ. კოსტანიანი და მაგალითისათვის მოჰყავს დეფექტები, რომელსაც ადგილი ჰქონდა სომხეთის სპილენძის მრეწველობაში. ცეკას მიერ გაგზავნილი იყო სპეციალური კომისია მიღებული ცნობების შესამოწმებლად. კომისიის დასკვნა გვიჩვენებს, რომ სომხეთის სპილენძის დამმუშავებელი მრეწველობა ვერ არის მაინცდამაინც კარგ მდგომარეობაში. როცა გაზ. „ხორურდაინ აიასტან"-მა აღნიშნა ალავერდისა და შახტის ამბების მსგავსება, ბევრი ამხანაგი აღშფოთებას გამოსთქვამდა ამ შედარების გამო, ეხლა კი ჩვენ ვხედავთ, რომ ალავერდის საქმეში ბლომადაა ისეთი ელემენტი, რომელიც ამ საქმეს აახლოვებს შახტის შეთქმულებასთან.

შემდეგ ამხ. კოსტანიანი ეხება კარჩევანის არხის გაყვანის საკითხს, ამ არხის გაყვანა წინასწარი გამოანგარიშებით უნდა დამჯდარიყო 74.000 მან., მაგრამ ხარჯები თანდათანობით 1 მილიონამდე ავიდა.

„ეს ნაკლოვანებები—განაგრძობს ამხ. კოსტანიანი,—უნდა აღმოფხვრილ იქნას თვითკრიტიკისა და საწარმოო თათბირების ჩაბმით სამეურნეო მუშაობაში".

ამხ. კოსტანიანის მოხსენების ირგვლივ გაშლილ კამათში, რომელიც გრძელდებოდა 4 სხდომაზე, გამოვიდა 50 ორატორი. (ადს).

ა-კ. სამეურნეო მშენებლობის შესახებ

ერევანი, 22 ივნისი. ერევნის პარტაქტივმა 20 ივნისს მოისმინა ამხ. ს. ტერ-გაბრიელიანის მოხსენება ა-კავკასიის სამეურნეო აღმშენებლობის მორიგი ამოცანების შესახებ.

ჩვენი ფედერაციის სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესები — ნათქვამია რეზოლიუციაში, — მოითხოვენ მთლიანი სამეურნეო გეგმის პოზიციის განმტკიცებას და მეურნეობის კოლექტიური, სოციალისტური ფორმების გაძლიერებას როგორც ქალაქში, ისე სოფლად.

აქტივი ესალმება საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ამიერ-კავკასიის სმ.უ. საბჭოს შექმნით უზრუნველყოფენ გეგმიანობის გატარებას ა-კავკასიის სამეურნეო აღმშენებლობის დარგში.

სპეციალისტების მიმართ პლენუმს სწორად მიაჩნია საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას აპრილის პლენუმის გადაწყვეტილება.

აქტივი საჭიროდ სთვლის პოპულიარული გახადოს ფართო მასებში ეს გადაწყვეტილება, როგორც პრესის საშუალებით, ისე უჯრედებზე სპეციალური დამუშავების გზით.

სოფლის უჯრედების მორიგი ამოცანა

ამჟამად სოფლის პარტიული ორგანიზაციების წინაშე სდგას მეტად მნიშვნელოვანი და გადაუდებელი ამოცანა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ობიექტების აღრიცხვა. ეს მუშაობა უკვე დაიწყო და უახლოეს დროში უნდა დამთავრდეს. ამ მუშაობის შესრულების დროს თემკომებისა და სოფლის უჯრედების წინაშე უწინარეს ყოვლისა დაისმება სოფლის კულაკურ და შეძლებულ ნაწილისადმი დამოკიდებულებისა და საშუალო და ღარიბ გლეხობაში მუშაობის საკითხი.

ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ამჟამად უახლოვდებით მე-15 პარტიული ყრილობის მიერ სოფლად მუშაობის შესახებ მოცემულ დირექტივის პრაქტიკულად შესრულებას.

1928-29 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემაში შეტანილია არსებითი ცვლილებები, როგორც მცირე შეძლების გლეხების გადასახადისაგან განთავისუფლების მხრივ, ისე დასაბეგრ ობიექტების მაქსიმალური გამოაშკარავებისა და მათი პროგრესიულ-საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის მხრივ.

სხვა ცვლილებებთან ერთად განსაკუთრებული ყურადღების ღირსია უფრო შეძლებულ კულაკებისა და იმ ელემენტების ინდივიდუალური დაბეგვრა, რომლებიც მიმართავენ მუშა-ხელის სისტემატიურ დაქირავებას.

ინდივიდუალური დაბეგვრის გატარებისა და პარტიის იმ დირექტივების შესრულების დროს, რომელიც შეეხება „სოფლის უფრო შეძლებული ფენების გაზრდილ შემოსავლის დაბეგვრას" და კულაკური ელემენტების ზრდის შეზღუდვას,—საჭიროა საშუალო გლეხობასთან კავშირის განმტკიცება.

ამიტომ ადგილობრივი ამხანაგები გულდასმით უნდა გაეცნონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემაში შეტანილ ყველა ცვლილებებს და ცენტრიდან გაგზავნილ დირექტივებს და გამოიჩინონ დიდი სიფრთხილე, ვინაიდან ყოველგვარმა შეცდომამ ამ საქმეში, შეიძლება საწინააღმდეგო შედეგი გამოიღოს.

შარშან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩატარების დროს, საგიტაციო და მოსამზადებელი მუშაობა (საკითხის დამუშავება უჯრედებში, ღარიბთა კრებებზე და სოფლის ყრილობებზე) საკმაოდ წარმატებით შევასრულეთ, მაგრამ როცა „შავ" მუშაობას —ობიექტების გამოაშკარავება—აღრიცხვასა და გლეხების კარ-მიდამოს დათვალიერებას შეუდგით,—მთელ რიგ რაიონებში არ აღმოჩნდა საჭირო ხალხი და 2—3 ამხანაგს მოუხდა მთელი მუშაობის შესრულება. წელს ასეთი მოვლენა არავითარ შემთხვევაში აღარ უნდა განმეორდეს. ობიექტების აღრიცხვასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ მუშაობაში აუცილებლად უნდა ჩავაბათ სოფლისა და თემის მთელი აქტივი, ამ მუშაობის ირგვლივ უნდა დავირაზმოთ მთელი საზოგადოებრივი აზრი და ამავე მიზნისთვის უნდა გამოვიყენოთ ღარიბთა ჯგუფების კრებები.

ეს მუშაობა უსათუოდ სერიოზული და რთულია, მაგრამ სწორი ხელმძღვანელობით და ჩვენი ძალების მობილიზაციით მას სავსებით შევასრულებთ.

ზოგიერთ რაიონში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წინააღმდეგ კულაკების ფარულ და აშკარა გამოსვლებისაგან, ასეთ ვთქვათ „კულაკურ აგიტაციისაგან", ჩვენ არა ვართ დაზღვეული. ყოველ ასეთ გამოსვლას ჩვენ უნდა დაუპირისპიროთ პარტიის გარშემო შემჭიდროებულ ღარიბ და საშუალო გლეხების ორგანიზებული გამოსვლა.

მ. ზოდელავა.

კლასიური ხაზის დამახინჯების წინააღმდეგ სოფლად

სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანა, რომელიც სდგას სოფლის უჯრედების წინაშე, მოითხოვს სწორი და ნათელი კლასობრივი ხაზის გატარებას სოფლის სხვადასხვა ფენების მიმართ. თავის თავად ცხადია, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტა არ არის ადვილი საქმე, მით უმეტეს საქართველოს სინამდვილეში, სადაც დიდ დაბრკოლებად გველობება წინ ჩვენი კულტურული ჩამორჩენილობა და სიღარიბე. ამას ემატება კიდევ ის გარემოება, რომ სოფლად არ მოგვეპოვება გამოწვრთნილი მუშაკების საკმაო კადრი.

შეუძლია თუ არა სოფლის პარტორგანიზაციას გადალახოს ეს დაბრკოლებები?

ეჭვს გარეშეა, რომ მთლიანად ორგანიზაციას შესწევს საამისო ძალა და უნარი. მაგრამ საფიქრებელია, რომ ზოგიერთი ადგილები, ცალკე უჯრედები, ცალკე კომუნისტები ვერ შესძლებენ პარტიის მიერ დასახულ ამოცანების გატარებას ცხოვრებაში.

თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როდესაც რომელიმე უჯრედის წევრთა განსაზღვრული ჯგუფი გადაგვარების გზაზე დგება, ექცევა კულაკური გავლენის ქვეშ და მისი მეურნეობა იღებს კულაკურ სახეს. ასეთი კომუნისტების მისწრაფება ეწინააღმდეგება პარტიის ინტერესებს და ცხადია ხელს უშლის სწორი კლასობრივი ხაზის გატარებას სოფლად.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ სოფ. ერმხლის (წალკის თემი) უჯრედის საქმიანობა, რომელიც გადაგვარებულ კომუნისტების მისწრაფების ცოცხალ მაგალითს წარმოადგენს.

ამ უჯრედში ერთმა ჯგუფმა თავის ხელში იგდო ხელმძღვანელობა და ყოველგვარ საშუალებას ხმარობდა პირადი გამდიდრებისათვის. ეს ჯგუფი მთელ მუშაობას მიმართავდა კულაკური ფენების სასარგებლოდ. მას ღარიბ და აქტიურ საშუალო გლეხებისა და მოჯამაგირეებისათვის პარტიის კარი მაგრად ჰქონდა გამოკეტილი. უჯრედის დანარჩენი წევრები ხედავდენ ამ უმსგავსო მოქმედებას, მაგრამ არ შესწევდათ საკმარისი გამბედაობა და ბოლშევიკური სიმტკიცე, რომ ფარდა აეხადათ გადაგვარებულთა შავი საქმეებისათვის.

ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ ჩვენი სოფლის პარტუჯრედებში შეიძლება ფეხი მოიკიდონ ანტი-პარტიულმა ელემენტებმა, რომლებიც შეეცდებიან პარტიულ ხაზის დამახინჯებას და მისი გატარების შეფერხებას.

ასეთი მოვლენების აღმოფხვრის მიზნით, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ცალკე კომუნისტების ცდას განავითარონ საკუთარი მეურნეობა ინდივიდუალური გზით.

სოფლის პარტუჯრედებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში, შეისწავლონ მეურნეობის კოლექტიური ფორმები და გააფართოვონ სათანადო პროპაგანდა გლეხთა ღარიბ და საშუალო ფენებში.

ამასთანავე ფართოდ უნდა იქნენ ჩაბმული პარტიის რიგებში ღარიბი და საშუალო გლეხთა აქტივი და მოჯამაგირენი, განსაკუთრებით მათი ის ნაწილი, რომელიც წამოიზარდა სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ მუშაობის პროცესში.

ასეთი ზომების მიღება უზრუნველყოფს პარტუჯრედების წინაშე მდგომ ამოცანების განხორციელებას.

ნეფარი.

კრიტიკა ლანძღვად არ უნდა იქცეს

(მუშკოოპის უჯრედი)

თვითკრიტიკის ლოზუნგმა ფართო გასაქანი მისცა პარტიული მასის აქტივობას. მაგრამ აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ბიუროები ვერ ხელმძღვანელობს უჯრედის კრებებს, რის გამოც თვითკრიტიკის ლოზუნგი დამახინჯებულ სახეს იღებს. ზოგიერთი ამხანაგები თვითკრიტიკის მაგიერად გამოდიან ინტრიგით. აი მაგალითი: ა.-წ. 29 ივნისს მოწვეული იყო მუშკოოპის კომუჯრედის ღია კრება. სრულ 7 საათზე საღამოს კრება გაიხსნა; მუშა-მოსამსახურეები მრავალი დაესწრო კრებას და მოუთმენლად ელოდება მოხსენების დაწყებას. დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი საკითხი: მუშკოოპის სახალხო კვების სექციის გამგის ამხ. ი. მარკოზოვის მოხსენება სექციის მუშაობის შესახებ. ამხ. მარკოზოვმა მოხსენება დაიწყო დეფექტების აღნიშვნით. შეეხო მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიდენ მუშაობის სწორ მსვლელობას და სხვ.

მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელიც კინაღამ მუშტი კრივამდე მივიდა. ბევრი ყვირილი და შრომა დასჭირდა კომუჯრედის მდივანს ამხ. მახალდიანს იმისათვის, რომ დაეწყნარებია მომხსენებელი მარკოზოვი და მოკამათე გ. [illegible], რომლებმაც კინაღამ ლაზათიანად გალანძღეს ერთმანეთი.

კრებამ ცნობად მიიღო მოხსენება და გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა მომავალი მუშაობისათვის პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება და ამ ორ ამხანაგს შორის მომხდარი ინციდენტის გამორკვევა.

ასეთი ამბები ხშირად ხდება მუშკოოპის კომუჯრედის ღია კრებებზე. ბიურომ უნდა იფიქროს ზომები, რომ თვითკრიტიკა არ იქნეს გამოყენებული პირადი წვრილმანი ინტერესებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ჩვენ ვერავითარ სარგებლობას ვერ მოგვცემს.

ა. დ. მახოხაშვილი.

ახალი კომუჯრედი

სხკომსაბჭოს კომ-უჯრედს ამ ხანებში გამოეყო რამოდენიმე წევრი და შექმნა ახალი უჯრედი № 77. უჯრედი აერთიანებს 45 წევრს, რომელსაც 950-ზე მეტ მუშა-მოსამსახურეს შორის უხდება მუშაობა. ახალმა კომუჯრედმა ერთი თვის განმავლობაში შექმნა კომისიები: ორგ-კომისია, აგიტ-პროპ კომისია, ქალთა შორის მომუშავე კომისია და სხვა.

კომუჯრედის ბიურომ გამოიმუშავა მუშაობის სამთვიური გეგმა, რომელშიაც მთავარი ადგილი დაეთმო:

თვითკრიტიკის ფართოდ გაშლას, კლუბის, კულტ-კუთხეების და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას და ზაფხულის პირობებთან შეგუებას, უჯრედის შემსვლელ დაწესებულებების ხელმძღვანელთა მოხსენების მოსმენას (წინასწარი გამოკვლევით) და სხვა.

კომისიებმა უკვე შეიმუშავეს უჯრედის სამთვიური გეგმიდან გამომდინარე სამუშაო გეგმა.

აგიტ-კომისიამ სხვათა შორის მიზნად დაისახა ხალხებში პერიოდული აკრიფის, როგორც პროფკავშირების, ისე უპარტიოთა თვითმოქმედების შედეგები და აგრეთვე მთელი მუშაობის უფრო [illegible] და დაადგინოს მიზეზები.

შ. შალულლი.

ცენტრალურ კომიტეტში

რადიო აპარატების მუშაობის შესახებ

მაზრებში რადიო - აპარატების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. სამდივნო საპროპაგანდო განყოფილებამ ხელმძღვანელი მისცა ყველა მაზრკომიტეტებს, ამიერკავკასიის ჯამაგირიანი რადიო - ინსტრუქტორის პარტიის ან კომკავშირის წევრობა.

პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ უნდა მოუწყოს მაზრის და ოლქის რადიო-ინსტრუქტორებს ერთ თვიანი კურსები 0 კაცისათვის.

შემდეგ ცხრაწლედის პროგრამაში, რომელიც გახსნილი იქნება მომავალ სამოსწავლო წლიდან, პოლიტგანმანათლებელ განხრით შეტანილ უნდა იქნეს რადიო-ციკლი კვალიფიციური ინსტრუქტორების მოსამზადებლად.

პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ უნდა მოაწესრიგოს რადიო-აპარატებისათვის საჭირო ბატარეების მიწოდების საქმე რისთვისაც დაარსებულ უნდა იქნეს სპეციალური ფონდი მთავრობის სუბსიდიისა ან ადგილობრივი ბიუჯეტის ანარიცხებიდან.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. სამდივნო-საპრ. განყოფილება საჭიროდ სცნობს აგრეთვე მაზრის და ოლქის რადიო - აპარატების შესაკეთებლად გაფართოებულ იქნეს რადიო - მეგობართა საზოგადოებასთან არსებული სპეციალური სახელოსნო, რისთვისაც სათანადო თანხები უნდა გაიღოს პოლიტგანათლების მთავარმმართველობამ.

ჟურნალ „ჩვენი მიღწევები"-ს შესახებ

(მაქსიმ გორკის წერილი)

ჟურნალი „ჩვენი მიღწევები"-ს გამოცემის საჭიროებას შემდეგი მოსაზრებანი გვიკარნახებს:

ამ სტრიქონების დამწერს საბჭოთა კავშირის თვალუწვდენელ სივრცეზე გაფანტულ მასიურ მუშაკებისაგან უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში უფროდაუფრო ხშირად ესმის განცხადებანი, რომელთა საერთო აზრი შემდეგი სიტყვებით გამოიხატება:: უნაყოფოდ ვმუშაობთ, ფუსფუსი დიდია, საქმე კი არა სჩანს.

ჩემის აზრით, ასეთი ხასიათის განცხადებანი შედეგია სინამდვილის მეტად შეზღუდული ცოდნის, იმ შემოქმედებითი მუშაობის ვიწრო და ამიტომ შემცდარი შეფასებისა, რომელსაც საბჭოთა კავშირში ეწეოდნენ და ეწევიან იგივე მუშაკები, რომლებიც სჩივიან „საქმე არა სჩანსო".

ეს ჩივილი მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ დაქანცვის მაჩვენებლად; მეტ წილად იგი გამოხატავს იმ შეუსაბამობას, რომელიც არსებობს აქტიური ადამიანის უდიდეს სურვილსა და იმ შედარებით მცირე საქმეს შორის, რაც უკვე განხორციელებულია. ყველას არა აქვს შეგნებული, რომ მოკლე ხნის—ექვსი წლის—განმავლობაში განხორციელებული „მცირე" პატარა საქმედ მოსჩანს იმ გრანდიოზულ ამოცანასთან შედარებით, რომლის გადაჭრაც დასახული აქვს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას; მაგრამ, არსებითად, ეს „მცირე", როგორც დიადი მიზნისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები,—ახალი სახელმწიფოს უმკვიდრესი საძირკველია, და ძნელი წარმოსადგენია, ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს მისი აფეთქება, ეს მეტად გასაოცარია, თუმცა „შავი" მუშაობა არ უნდა იწვევდეს შენელებულ სულიერ განწყობილებას, მაგრამ ასეთი სულიერი განწყობილება არსებობს და, მე მგონია, იზრდება კიდეც.

ცხადზე-უცხადესია, რომ მის ზრდას ხელს უწყობს მრავალი უაღრესად მნიშვნელოვანი მიზეზი, რომლებიც აძნელებენ შემოქმედების მუშაობის მეტს წარმატებას; მაგალითად, საერთაშორისო ბურჟუაზიის საზიზღარი მტრობა იმ ხალხის მიმართ, რომელსაც სურს მისი საწველ ფურად ყოფნა, ხელს უწყობს ამგვარი განწყობილების ზრდას. მასვე ხელს უწყობენ „ყოფაცხოვრების" პირობები, რომლებშიაც ცხოვრობს და მუშაობს აქტიური საბჭოთა ადამიანი, ცხოვრების მთელი ის წვრილმანი, ყოველდღიური ნაგავი, რომელიც აუცილებელია შეჩვეული, ბევრისათვის საყვარელი ძველი წყობილების დანგრევის დროს, სოციალური ნიადაგის ის მონაგვიანება, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ჰქმნიდა ამა ქვეყნის მეშჩანები.

ძველი მტრის ეს კორიანტელი. ნაცრისფერ ღრუბლად ეფარება ცხოვრებას, ხელს უშლის ახალი სახელმწიფოს ბევრ მშენებელს, რომ ნათლად დაინახონ თავიანთი ვაჟკაცური, გმირული მუშაობაც კი. ბევრია ისეთი ადამიანებიც, რომელსაც მე პროფესიონალურ მაყურებლებს დავარქმევდი. ისინი ცხოვრებას მხოლოდ თვალით უყურებენ, მათთვის ცხოვრება მხოლოდ სეირია და არა შემოქმედება. ასეთი ტიპის ადამიანებად მე ვთვლი „ყოფა-ცხოვრების" ამწერ ლიტერატორებს, რომლებიც ცოტად თუ ბევრად ხალისით და გულმოდგინეთ გვისურათებენ იმას, თუ რა უძლეველია ძველი ყოფა-ცხოვრება და როგორ ითრევს ადამიანს მისი ჭაობი. მათთვის ყოფაცხოვრების მტვერი თითქოს კოსმიურია, ისინი ვერ ხედავენ მის ქსელს იქით ახალ ადამიანს და ვერ ამჩნევენ მის მუშაობას. არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც დიდის სიამოვნებით მოილხენენ დღესასწაულზე. მაგრამ ყოველდღიურ მძიმე მუშაობაში კი მონაწილეობას არ მიიღებენ. არიან ისეთებიც, რომელთა შორის ბევრია მეშჩანინი და ამ მეშჩანინებს დროებით ჩამოუფარებიათ „კომუნისტის" ნიღაბი. ესენიც გულმოდგინეთ აღნიშნავენ აზვირთებული ცხოვრების მოუწყობლობას და უწესრიგობას, ავსებენ შრომის ნათელ დღეს კრიტიკული სიტყვების ნაგვით, შეშფოთებული გოდებით და პანიკური ჩურჩულით. ყოველივე ეს კიდევ უფრო მეტად აყენებს ყოველდღიური ცხოვრების უმსგავსი მტვრის კორიანტელს და თვალს უბნელებს ახალი ცხოვრების მშენებლებს.

ამასვე უნდა დაურთოთ თვითკრიტიკის გამაბრუებელი ქარბუქი. ცხადია, თვითკრიტიკა საჭიროა, მაგრამ იგი ისტერიკად არ უნდა გადაიქცეს, მან წარსული საუკუნის 70-იანი წლების ინტელიგენციის მონაწილეობის ხასიათი არ უნდა მიიღოს. ხანდახან კაცს ეჩვენება, თითქო „თვითკრიტიკა" დაწყებულია არა საქმის წარმატებისათვის, არა იმისათვის, რომ არსებობს მისი სიდიადის რწმენა, არამედ იმის გამო, რომ საეჭვოდ არის მიჩნეული თვით სიწორე საქმის დედაარსისა — ბატონ ემიგრანტებისა და საბჭოთა კავშირის სხვა მტრების სასიხარულოთ „თვითკრიტიკის" კილო ხშირად სავსებით წაავავს ჩვენი დაუძინებელი მტრების კრიტიკას. ჩემის აზრით, თვითკრიტიკაში ვარჯიშობის დროს საჭიროა გვახსოვდეს, რომ თვითკრიტიკას ისმენს საბჭოთა კავშირის მთელი ახალგაზრდობა, და ამასთან არა მარტო ისმენს, არამედ გულმოდგინედ ჰბაძავს კილოს სიმკაცრეს: იგი ითვისებს უფროსი ამხანაგების კილოს და ეს კილო შეაქვს თავის წრეში, შეუწყნარებლის ულმობელობით უსწორდებიან ერთმანეთს; ამას მოსდევს სხვადასხვა წვრილმანი-შეურაცხყოფა, იზრდება წვრილმანი კინკლაობა და ყოველდღიური ცხოვრების ჭუჭყი. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად კიდევ ვიმეორებ: საქმიანი თვითკრიტიკა საჭიროა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ძალიან ძნელია ჰარმონიულად მოვათავსოთ ერთ პიროვნებაში კრიტიკოსი და შემოქმედი, მოქმედი და წინააღმდეგი ძალა.

მხოლოდ ვლადიმერ ლენინი ახერხებდა ამ ორი ძალის შეღუღებას და მათ მუშაობას პარალელურად. მისგან უნდა ვისწავლოთ ფიზიკის კანონების და, საერთოდ, ყოველგვარი ძველი კანონების დარღვევის ასეთი ხელოვნება.

ყოველი ნათქვამი გვიხატავს სურათს, რომელიც ახლახან ერთმა გონიერმა გლეხმა ასეთი სიტყვებით დაახასიათა: „ჭურჭელი წმინდაა, მაგრამ ეშმაკები მიათრევენო"; ლამაზად არის ნათქვამი, მაგრამ სწორედ კი არა. ცნობილია, რომ „ოღონდ ჭაობი იყოს და ეშმაკები თავისთავად ჩნდებიანო"; ჭაობი არის, მისი დაშრობა სწარმოებს, მაგრამ არა ისეთი სისწრაფით, როგორც სასურველია, და ეშმაკები ხმამაღლა ეწევიან კრიტიკას და ფარულად ზეიმობენ. მაგრამ ჭურჭელი მაინც „წმინდაა", რადგან ის პირამდე სავსეა იმ მუშათა კლასის მდიდარი შემოქმედებითი ენერგიით, რომელიც თავისი წრიდან უფრო და უფრო მეტს ნიჭს წარმოშობს. მისი მიღწევები უდავოა. უპირველესი და უმთავრესია: ნებისყოფის აღმძვრელი ატმოსფერა ყოველგვარი სათამაშისა და გატაცებისაც კი, რომელიც ეჩქოვება საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებას, სწრაფად სცვლის მის სახეს და მისი ერების ხასიათს. საბჭოთა კავშირში იზრდება მეურნე, არა მტაცებელი, არამედ შემოქმედი, ახალი ისტორიული ძალა, რომელსაც სურს და შეუძლია კიდეც ააგოს არა პატარა სახლი, არამედ სახელმწიფო თავისთვის, ადამიანი, რომელიც მაგალითი იქნება მთელი ქვეყნის მშრომელთათვის.

ვუბრუნდები ამ წერილის დასაწყისს.

ყოველი აქტიური მუშაკი რევოლიუციისა და კულტურის შემოქმედების პროცესში მთლიანად გართულია თავისი ყოველდღიური საქმით და მისი მხედველობის არე შემოფარგლულია იმ მუშაობით, რომელშიაც ის უშუალოდ მონაწილეობას ღებულობს. საბჭოთა კავშირში წარმოებული მასიური მუშაობის მიმართ ერთეული მუშაკი იმყოფება იმ კალატოზის პოზიციაზე, რომლისთვისაც ყოველთვის საკმაოდ ნათელი არაა იმ შენობის საერთო გეგმა, რომელსაც აგებს ხუროთმოძღვარი — კლასი და პარტია, კლასის ტვინი. ხშირად კალატოზს სავსებით სწორად არა აქვს წარმოდგენილი იმ მიწის მთხრელების, დურგლების, ხუროების და სხვა მუშათა ჯგუფების მუშაობის დროული ხასიათი, მიღწევები და მნიშვნელობა, რომლებიც მის გვერდით აკეთებენ ერთსა და იმავე კლასობრივ საქმეს. არაა ფიზიკური შესაძლებლობა და არც დრო იმისათვის, რომ გაზეთებში გაფანტულ წერილებით სავსებით ნათელი წარმოდგენა იქონიოთ ერთი თვის და ერთი წლის განმავლობაში შრომისა და შემოქმედების ყველა დარგში შესრულებული მუშაობის მსვლელობასა და შედეგებზე.

ჟურნალი მიზნად ისახავს სწორედ ასეთი ზოგადი ანგარიშებისა და მოხსენებების მოცემას, მაგრამ არა მშრალი ციფრებით, არამედ ცოცხალი ფაქტებით, რომლებიც მასიურ მუშაკისთვის გასაგები, მარტივი ენით იქნება აღწერილი. აუცილებლად საჭიროა, რომ ამ მუშაკს ჰქონდეს ზედმიწევნით სრული წარმოდგენა ყოველსავე იმაზე, რაც გაკეთდა, კეთდება და უნდა გაკეთდეს, რათა მის წინ გადაიშალოს მისი ბრძოლისა, მუშაობისა და მიღწევების ნათელი სურათი. საჭიროა, რომ ის გრძნობდეს თავის თავს ამ ერთ-ერთ ცოცხალ ძალად, რომელიც აშენებს ახალ სახელმწიფოს და შეგნებული ჰქონდეს, რომ ამ სახელმწიფოს აშენება შეუძლებელია, თუ ცალკეული ძალები მტკიცედ და მეგობრულად არ შეერთდებიან კოლექტიური შემოქმედებითი ენერგიის ერთ ნაკადში. საჭიროა იგი ხედავდეს, რომ ამ ენერგიის „წმინდა" ჭურჭელი მას და მის ამხანაგებს მიაქვთ და არა „ეშმაკებს".

ჟურნალმა უნდა ასწიოს მისი ძალა, მისცეს მას სიმხნე, აამაღლოს მისი თვითშეფასება, დაანახვოს მას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მისი ყოველდღიური და, პირველი შეხედვით, თითქო წვრილმანი მუშაობა, დაანახოს, რომ ჩვენს ქვეყანაში უკვე აღარ არსებობს „წვრილმანი" საქმე, რომ ყველაფერი რაც აქ კეთდება, კეთდება იმისათვის, რომ ადამიანი ყოველმხრივ უნივერსალურად განთავისუფლდეს ყოველივე იმისაგან, რაც ხელს უშლიდა და უშლის მას შიგნიდან და გარედან გახდეს თავისი ბედისა და თავისი ისტორიის თავისუფალი შემოქმედი.

ჩვენი სინამდვილე მძიმეა, წინააღმდეგობით სავსე და დახლართული,— ყოველივე ეს ასეა. მაგრამ მთელ სინამდვილეს უნდა მიეცეს გმირული ხასიათი,— ჩვენმა სინამდვილემ უკვე სავსებით დაიმსახურა ეს. როგორ შეიძლება სინამდვილისათვის გმირული ხასიათის მიცემა? მხოლოდ სახალხო შრომით, მხოლოდ მუშაობით სისაძაგლისაგან ცხოვრების გასაწმენდათ, მხოლოდ ბრძოლით თავისუფლებისათვის და ბოროტებისა და მონობის წინააღმდეგ. ამ ნიადაგზე, სახელოვან შრომაზეა აგებული ყველა საუცხოვო ლეგენდა და ზღაპარი ყველა ერისა და ეპოქის ჰერკულესებზე და დევ-გმირებზე. „წმინდანებიდანაც" კი, რამდენადაც „წმინდანების ცხოვრება" ხალხურ ელემენტებად და ზღაპრებად იქცა,— ამ „წმინდანებიდანაც" კი ხალხს უყვარს არა ისინი, რომლებიც ამ ქვეყანასა და ცხოვრებას სტოვებდენ „თავისი სულის საცხონებლად", არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც იბრძოდენ ამ ქვეყანაზე ცხოვრებისა და ადამიანებში გამეფებულ ბოროტების წინააღმდეგ.

სინამდვილის შეცვლა შეიძლება მხოლოდ შრომის რევოლიუციონური ძალით; რაც უფრო გონივრულადაა მოწყობილი შრომა, მით უფრო რევოლიუციონურია იგი. ის, რაც საბჭოთა კავშირში კეთდება, სჭარბობს ყველა ზღაპრულ დევ-გმირების საგმირო საქმეებს. იმ უბრალო მუშებისა და გლეხების მუშაობა რომლებიც მძიმე პირობებში ცხოვრობენ, ჭეშმარიტად გმირულია, მაგრამ თვით ამ გმირებს არა აქვთ ეს შეგნებული. ისინი ცუდათ ხედავენ საკუთარ თავს, ამიტომ ნაკლებად აფასებენ ერთმანეთს.

ჩვენს სინამდვილეში განვითარდა და იზრდება ნამდვილი გმირი— მან უნდა იცოდეს ეს, მას ეცოდინება ეს, თუ მის წინ დავდგამთ სარკეს; ასეთი სარკე უნდა იყოს სწორედ ჟურნალი, რომელიც რევოლიუციისა და კულტურის აქტიურ მუშაკს დაანახვებს მის მიღწევებს მეცნიერებისა, ტეხნიკისა, ხელოვნებისა და ყოფა- ცხოვრების დარგში.

მ. გორკი.

გადმოცემულია ტელეგრაფით, მოსკოვი.

პარტგანათლების შედეგები

(სიღნაღის მაზრა)

მიმდინარე სამოსწავლო წელში მოძრავი პოლიტ-სკოლები გაიხსნა უფრო ჩამორჩენილ სოფლებში. სკოლების გახსნას წინ უძღოდა პარტიის, კომკავშირის და უპარტიოთა აქტივის კრება, რის შემდეგაც იდგმებოდა პრაქტიკული ნაბიჯები.

1927-28 სამოსწავლო წელში მუშაობდა, 11 მოძრავი პოლიტსკოლა, სადაც პირველად ჩაირიცხა 338 მსმენელი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით საბოლოოდ გამოშვებულ იქმნა 318 კაცი. ამათში—35 ქალი, 103 კომუნისტი, 117 კომკავშირელი და 98 უპარტიო, საქმიანობის მიხედვით: 4 მუშა, 4 მოჯამაგირე, 224 გლეხი, 7 ხელოსანი და 79 სხვა. საპატიო მიზეზის გამო ვერ დამთავრდა სადგ. გურჯაანის და ს. ბოლქვაძის მოძრავი—სკოლები, სადაც ირიცხებოდა 70-მდე მსმენელი და ჩატარებულ იყო 6-7 საუბარი.

გამოშვებულ სკოლებში პროგრამები ამოიწურა მთლიანად, მეცადინეობა მიმდინარეობდა საუბრების და კითხვა-პასუხის სახით. მსმენელები პრაქტიკულ მუშაობისათვის მიმაგრებული იყვნენ კოოპერატივზე, საბჭოზე და ქოხ-სამკითხველოებზე. მეცადინეობის დროს სწარმოებდა კონსპექტების ჩაწერა და დიაგრამების შედგენა.

სკოლების გამოშვების შემდეგ მოეწყო თვითგანვითარების წრეები, მაგრამ მათი მუშაობა არ იყო მაინც და მაინც დამაკმაყოფილებელი და ატარებდა შემთხვევით ხასიათს.

თითქმის ყველა კომუჯრედებთან დაარსდა აგრეთვე მე-15 პარტყრილობის გადაწყვეტილებათა შემსწავლელი წრეები, რომელთა მეცადინეობა დაიწყო აპრილის თვიდან და დამთავრდება ახლო მომავალში. ამ წრეებში ჩაბმულია კომუნისტების უმრავლესობა და კომკავშირის და უპარტიო გლეხთა აქტივის ნაწილი.

პარტგანათლების ქსელის ხელის შემშლელ მიზეზები მიმდინარე წელს იყო მსმენელების შეურჩევლობა, კავშირის სისუსტე როგორც ცენტრსა, ისე მაზრის ორგანოების მხრივ, [illegible]მინარების და ხელმძღვანელთა თათბირებს მოუწყობლობა, სახელმძღვანელოების დაგვიანებით მიწოდება სკოლებისათვის და სხვ.

გ. ხატიაშვილი

შრომის დაცვის კომისიების საქალაქო კონფერენცია

2 ივლისს საღამოს, მუშათა სასახლეში გაიხსნა შრომის დაცვის კომისიების საქალაქო კონფერენცია. კონფერენციის დღის წესრიგში, დასმული იყო ორი საკითხი:

1) შრომის დაცვის საქმის მდგომარეობა და 2) ამ დარგში 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის გამომუშავება.

როგორ იცავენ შრომის პირობებს წარმოებებში

შრომის პირობების დაცვისა და შრომის დაცვის კომისიების საქმიანობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა პროფსაბჭოს წარმომადგენელი ამხ. ა. ივანოვი.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ ამ რამოდენიმე ხნის წინათ, ჩატარებულ იქნა წარმოებებთან დაარსებული შრომის დაცვის კომისიების საქმიანობის გამოკვლევა, რომელმაც ცხადყო, რომ წელს ყველა წარმოებებში შრომის დაცვის საქმის დიდი გაუმჯობესება ეტყობა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ბევრგან საგრძნობ დეფექტებს აქვს ადგილი. არსებული დეფექტების გამოსასწორებლად, მომხსენებელს საჭიროთ მიაჩნია შეთანხმებული მუშაობის წარმოება. დღემდე პროფკავშირები გართული იყვნენ უმთავრესად ისეთი პროფესიონალური საქმიანობით, როგორიცაა სატარიფო საკითხის მოგვარება, საწარმოო თათბირების მუშაობა, დაწინაურების საქმე და სხვა. ამჟამად პროფკავშირები ნაწილობრივათ განთავისუფლებული არიან ასეთი დიდი და სასწრაფო საქმეებისაგან და ამიტომ გადაწყვეტილია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს შრომის დაცვის საქმის გაუმჯობესებას. ამ მხრივ შრომის კომისარიატის ორგანოებსა და პროფსაბჭოს შორის უკვე მიღწეულია სრული შეთანხმება.

არსებული დეფექტები, მომხსენებლის თქმით, უმთავრესად ადგილობრივი მნიშვნელობას არიან. დეფექტების არსებობა, როგორც ეს გამოკვლევამ დაადასტურა, უმთავრესად შემთხვევაში ნაყოფია ადმინისტრაციის გულგრილობის. ასე მაგალითად, ბევრ წარმოებებში ყურადღება არ ექცევა სადილის დროს მუშების შესვენების საკითხს, ვერ არის მოწესრიგებული სპეცტანსაცმელის მიცემის საქმე, ბევრგან შექმნილია ანტისანიტარული მდგომარეობა, მთელ რიგ წარმოებებში არაა მოწყობილი ტანისამოსის გასახდელი ოთახები პირსაბანები და სხვა.

გაუმჯობესების პერსპექტივები

— როგორი გეგმაა შემუშავებული უახლოესი 5 წლის განმავლობაში შრომის დაცვის გასაუმჯობესებლად?

ამ საკითხის შესახებ შრომის სახ. კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილების გამგემ ამხ. ლ. ელბაქიძემ კონფერენციაზე განაცხადა:

უახლოესი 5 წლის განმავლობაში შრომის დაცვის ორგანოებს ამოცანათ აქვთ დასახული მიაღწიონ წარმოებებში შრომის პირობების ნორმალურ დონემდე აყვანას. ამ მიზნით დაწყებულ მუშაობას უსათუოდ უნდა მიეცეს გეგმის ხასიათი.

უახლოესი 5 წლის განმავლობაში შრომის დაცვის ორგანოების წინადადებით ს. მ. უ. ს. ქვემდებარე წარმოებებში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად უნდა დაიხარჯოს 1.186.126 მანეთი.

დღემდე შრომის დაცვის საქმეს შესაფერის ყურადღებას ვერ აქცევდნენ ლითონის მრეწველობის და სამთო ტრესტები. დანარჩენი ტრესტების წარმოებებში შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო შექმნილი.

კამათი

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 10-ზე მეტმა ორატორმა.

კონფერენციაზე მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნულია შრომის დაცვის კომისიების სუსტი მუშაობა. შრომის დაცვის კომისიებს წინადადება ეძლევათ გააცხოველონ მუშაობა და ხელი შეუწყონ შრომის უწესრიგებისა, სამრეწველო სანიტარიისა, და შრომის დაცვის საქმის გასაჯანსაღებლად დაწყებულ მუშაობას.

ტფილისის კომიტეტში

ც. პარტსკოლის მუშაობის შედეგები

ტფილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა მოისმინა ცენტრალური პარტსკოლის წლიური მუშაობის ანგარიში.

სწავლა-აღზრდის საქმის უკეთ დასაყენებლად მომავალი სამოსწავლო წლისათვის, ტფილისის კომიტეტმა საჭიროდ აღიარა, რომ პარტსკოლამ მეტი ყურადღება მიაქციოს მსმენელთა სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებას, ამასთანავე სკოლაში შესვლის მსურველთ უნდა წარედგინოთ მეტი მოთხოვნილებები.

1928 წ. მიღებულ მსმენელთათვის პარტსკოლა გადავა სამ წლიან კურსზე.

კურსანტებმა პრაქტიკული მუშაობა უნდა დაიწყონ მეორე კურსიდან.

1928 წელში სკოლაში სულ მიღებული იქნება 90 კაცი, ამათში 50 პროც. უნდა შეადგენდენ მუშები.

ფიზკულტურის დღესასწაულის დახურვა

ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაული დახურულდა. გუშინ საღამოს ა.-კ. ქვეითი ჯარის მეთაურთა სკოლაში შედგა დღესასწაულის მონაწილეების საერთო კრება, რომელიც გახსნა ამხ. ს. იაკუბოვმა. თავის სიტყვაში ამხ. იაკუბოვმა აღნიშნა ფიზკულტურის დღესასწაულის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ამიერკავკასიის ფიზკულტურისტების ინტერნაციონალური დაახლოებისათვის.

ამიერ-კავკასიის ცაკის სახელით ამხ. გ. სტურუამ ა.-კ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს გადასცა დროშა და გამოსთქვა რწმენა, რომ ამიერ-კავკასიის მოძმე ერთა ფიზკულტურისტები ღირსეულად წაიღებენ ამ დროშას შემდგომი გამარჯვებისაკენ.

ამხ. ტესტელეცს და კიკნაძეს შემოაქვთ წინადადება, დღესასწაულზე გახათამაშებულ წარმოდგენილი დროშა გადაეცეს ჩეხო-სლოვაკიის ფიზკულტურელთა—მუშებს, რომელთა შეფიც არის: ა.-კ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭო. კრებამ ერთხმად იქნა მიღებული აღნიშნული წინადადება. გადასწყდა აგრეთვე, რომ ა.-კ. ფიზკულტურისტების სახელით გაეგზავნოს ჩეხო-სლოვაკიის ფიზკულტურელთა პროტესტი, პრაღაში 2 ივლისისათვის დანიშნულ მუშათა სპარტაკიადის აკრძალვის გამო.

დღესასწაულის შედეგები კრებაზე არ ყოფილა გამოქვეყნებული, შეჯიბრების მრავალფეროვნობისა და სხვადასხვა სახის სპორტის გამარჯვებულთათვის მრავალნაირი დიპლომების დარიგების გამო.

გამარჯვებულ ფიზკულტურისტთა ჯგუფებისათვის დასარიგებელი დიპლომები გ. დღეცა რესპუბლიკების ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოების მეშვეობით დაწინაურებისათვის დასარიგებლად.

ამის შემდეგ ამხ. ს. იაკუბოვმა დღესასწაული დახურულად გამოაცხადა.

ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

წერილები

ყურადღება ქალაქის კეთილ-მოწყობას.

(წერილი ოზურგეთიდან)

ქალაქ ოზურგეთში აღმშენებლობა საერთოდ წინ მიდის. აშენდა აბრეშუმის ქარხანა, ახალი სახლები, რკინის გზის ახალი სადგური და სხვა, მაგრამ ქალაქის, როგორც შუაგულ ადგილების, აგრეთვე განაპირა უბნების კეთილმოწყობას რატომღაც არ ექცევა არავითარი ყურადღება. მარტო სახლების ან ფაბრიკის აშენება როდი კმარა, საჭიროა მათთან მისასვლელი გზაც.

გურიის პროსპექტი ოზურგეთის მთავარი ქუჩაა, მაგრამ მის შეკეთებაზე ჯერ არავის უფიქრია. ქალაქის ეს ცენტრალური ქუჩა წააგავს სოფლის შარა-გზას. ამაზე უარეს მდგომარეობაშია დანარჩენი ქუჩებიც. რამდენი დროც გადის, იმდენად უარესდება ოზურგეთის ქუჩები. ოზურგეთში ჩამოდის არხების საშუალებით ნატანების წყალი, რაც ძალიან ასუფთავებს ქალაქს სიბინძურისაგან, მაგრამ აღნიშნულ წყალს სიბინძურესთან ერთად მიაქვს ოზურგეთის მთავარი ქუჩა—გურიის პროსპექტიც. ქალაქში ჩამონგრეულია წყლის ნაპირები და ცოტა წვიმის დროს წყლით იფარება მთელი ქუჩები. გაღმა-გამოღმა გასასვლელად ხიდებია საჭირო; მით უმეტეს წვიმიან ღამეს ქალაქში გავლა მეტად სახიფათოა. რადგან ქუჩაში დამდგარ ტბას თან ემატება სიბნელე.

საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, აღმასკომის კომუნალურ განყოფილებამ დროზე უნდა შეაკეთოს ქუჩები.

გლეხი ნ. არსენიშვილი.

ალმასკომის თავმჯდომარე კულაკს ეხმარება

(ყაზბეგის თემი)

ყველასათვის ცხადია, რომ საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად ებრძვის ბიუროკრატიზმს, მოვალეობის უხეშად გამოყენებას და ნათლიმამობას. მიუხედავად ამისა ჩვენ სოფელში მომუშავე ამხანაგები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდენ ამ ბრძოლაში, ზოგჯერ თვით იდენენ ბიუროკრატიზმით და ანგარიშს არ უწევენ არსებულ კანონებს, სწორედ ასეთ „მომუშავეთა“ რიცხვს ეკუთვნის ყაზბეგის თემალმასკომის თავმჯდომარე გიორგი ლუდუშაური.

სოფელ სიონში მცხ. კულაკ ნიკოლა ხარითაშვილის ვაჟი სწავლობს თბილისის მე-8 შრომის სკოლაში. მას უნდა გადაეხადა სწავლის ფული მის მიხედვით თუ რამდენი გადაიხადა მისმა მამამ სას. სამ. გადასახადი, როგორც კულაკს სჩვევია ხარითაშვილი შეეცადა როგორმე თავი დაეძვრინა ხსენებულ გადასახადისაგან. მან მიმართა ალმასკომის თავმჯდომარეს ლუდუშაურს და სთხოვა სიღარიბის მოწმობა. „ივანე ხარითაშვილი არის ულარიბესი გლეხის შვილი და სრულიად თავისუფალია სას. სამ. გადასახადისაგან“. აი ასეთი მოწმობა მიიღო კულაკმა რომელსაც ჰყავს ათასამდე სული ცხვარი და სას. სამ. გადასახადსაც ამის შესაფერისად იხდის. მსგავს მაგალითებს ბლომად იპოვის კაცი ლუდუშაურის „მოღვაწეობაში“. იმედია სათანადო ორგანო დაინტერესდება ამ საქმით.

გახარამბა.

სამეანო გინეკოლოგ. რაზმის მუშაობა

(ოზურგეთის მაზრა)

ჯანსახკომის მიერ გაგზავნილი სამეანო გინეკოლოგიური რაზმი, რომელსაც ხელმძღვანელობს ექიმი ლორთქიფანიძე, ამჟამად მუშაობს ჩოხატაურის რაიონში. რაზმის ჩამოსვლას მოსახლეობა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. რაზმი უწევს ოპერატიულ და სხვა საექიმო დახმარებას ღარიბ გლეხობას სრულიად უფასოდ. უფასოთვე ეძლევა ავადმყოფს მედიკამენტები და შესახვევი მასალა.

დაბა ჩოხატაურიდან რაზმი გადავა საჯავახოში, შემდეგ გაემგზავრება სურებში, ხევში, ხიდისთავში, ბახვში და სილაურში. ამ რაიონების გამოკვლევის შემდეგ რაზმი დაბრუნდება ქ. ოზურგეთში, სადაც ადგილობრივ ტუბ და ვენდისპანსერებთან ერთად გამოიკვლევს ოზურგეთის აბრეშუმის ქარხანაში მომუშავე ქალთა ჯანმრთელობას.

რაზმის მუშაობას დიდ დახმარებას უწევენ ადგილობრივი ექიმები.

ვ. ზაქრაძე.

ჩვენი საკრედიტო ამხანაგობა

(ბანძა, სენაკის მაზრა)

ბანძის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა ემსახურება სამი თემის გლეხობას, რომელიც თავის ირგვლივ აერთიანებს 900-მდე წევრს. ამხ-ბა როგორც თავის წევრებს, ისე არაწევრ სოფლის მეურნე გლეხებს აწვდის როგორც გასასაღებელ, ისე მისაწოდებელ საქონელს საკმაო რაოდენობით. აღსანიშნავია ამხ-ბის მოქმედება თუთის კამპანიის ღირსეულად ჩატარებაში.

ამხანაგობას მომარაგებული აქვს მომავალი წლისათვის ვაზის ნერგები თავის წევრებისათვის, რომელიც უფრო იაფი დაუჯდება თითოეულ წევრს, ვიდრე შორიდან მოტანილი.

წევრი.

სკოლა მიუწვდომელ ალაგასაა

ხობის რაიონი, ზუგდიდის მაზრა

ხობის რაიონი ზუგდიდის მაზრაში შესანიშნავი რაიონია, როგორც კულტურით, ისე სივრცით და მცხოვრებთა რაოდენობით.

ხობიდან 7 ვერსის დაშორებით მდებარეობს მეზობელი სოფელი ხეთა, რომელიც ჩარიცხულია ხობის რაიონში და დასავლეთით რაიონის საზღვარს წარმოადგენს. სადაც არსებობს ხობის რაიონის მცხოვრებთათვის ცხრაწლიანი შრომის სკოლა. ამ სკოლით სრულებით ვერ სარგებლობენ რაიონის მცხოვრებნი, ვინაიდან სკოლა რაიონის ცენტრში არ არის მოთავსებული და ზოგიერთი სოფლებიდან დაშორებულია ათეული კილომეტრით. ამის გამო სკოლიდან დაშორებულ სოფლებს მცხოვრებნი იძულებული ხდებიან თავიანთა შვილები სენაკის ან ფოთის სკოლაში მიაბარონ.

მთელი ხობის რაიონის გლეხობა აღნიშნავს, რომ სკოლა უნდა იყოს მოთავსებული ხობში, როგორც რაიონის ცენტრი და არა ხეთაში. მაგრამ განათლების განყოფილების მიერ ამ საკითხს ჯერ არ ექცევა ყურადღება. უმჯობესია სკოლა გადმოტანილი იქნას ხობში; რითაც მთელი რაიონი ისარგებლებს.

ვ. ხუხია.

არის თუ არა საჭირო ტექნიკუმი

(კულაშის თემი, ქუთ. მაზრა)

კულაშის თემში არსებობს ორი სასწავლებელი: შვიდწლედი და სასოფლო - სამეურნეო ტექნიკუმი. ტექნიკუმს ეკუთვნის კარგი მამული, ვინაიდან მას გადაეცა მიწისმფლობელის მამული (ვ. მიქელაძის ყოფ. ერთ-ეზოში სულ 80 ქცევამდე).

მართალია ტექნიკუმში პირველ ხანებში საკმარისი იყო ადგილობრივი მოწაფეობა, მაგრამ სამოსწავლო წლის ბოლომდე ბევრმა მოწაფემ დასტოვა სასწავლებელი.

მიმდინარე სამოსწავლო წლის დასაწყისში, როდესაც პირველ კურსზე მისაღები გამოცდები უნდა დაწყებულიყო, ტექნიკუმში შემოვიდა სულ სამი თუ ოთხი განცხადება. ამ დროს სხვა ტექნიკუმებში გამოცდები მთავრდებოდა, ჩვენი ტექნიკუმის გამგე კი გაფაციცებით დაეძებდა მოწაფეებს. მან დეპეშებით მიმართა ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის და სხვა ტექნიკუმების გამგეებს, რათა მოევლინებინათ სასწავლებელში შესვლის მსურველები, თუ ასეთები აღმოჩნდებოდენ.

ამ საშუალებით ავად იყო თუ კარგად შეივსო პირველი კურსი, მაგრამ შემდეგ თითქმის მთლიანად სხვა რაიონებიდან მოსული მოწაფეებით. კულაშიდან აქ სულ ორი თუ სამი მოწაფეა. თავისთავად იბადება კითხვა: სად მიდიან ადგილობრივი მოწაფეები? ისინი უმთავრესად ეტანებიან სამტრედიის, ქუთაისის, და სხვა ქალაქების ცხრაწლედებს.

ეს მოვლენა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მას დროზედ უნდა მიექცეს ყურადღება. აქ მიზეზი შეიძლება იყოს ან ის, რომ ხსენებული ტიპის სასწავლებელი არ არის საჭირო, კულაშის რაიონისათვის და მოსახლეობა მას გულგრილად უცქერის, ან თვით სასწავლებელი ვერ სარგებლობს სათანადო ავტორიტეტით ადგილობრივ მცხოვრებლებში. თუ პირველ შემთხვევას აქვს ადგილი, მაშინ საჭიროა ტექნიკუმის ლიკვიდაცია და გადატანა იმ მაზრაში, რომელიც მოწაფეებს აძლევს მას, ხოლო თუ მეორე მიზეზია — იმ შემთხვევაში განათლების განყოფილებამ და კომისარიატმა დროზედ უნდა მიიღონ ღონისძიებები ტექნიკუმის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ღ—თიძე.

მოაწესრიგეთ საფოსტო კავშირი.

(წერილი თიანეთიდან)

თიანეთი წინად სამაზრო ცენტრი იყო და დღეს თუმცა სამაზრო ცენტრად არ ითვლება, მაგრამ აქ არის მრავალი ორგანიზაცია-დაწესებულებები, როგორც მაგალითად: სახალხო სასამართლო, სარაიონო მილიცია, ალმასკომი, კოოპერატივი, ელექტრონის სადგური, საექიმო პუნქტი და სხვა.

ამჟამად აქ არიან ინჟინრები აღმოჩენილ ლიტოგრაფიული ქვის დასამუშავებლად. 4 ივნისს უკვე დაიწყო ქვის დამუშავება. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ამ მნიშვნელოვან ცენტრთან მიმოსვლა ძალზე გაძნელებულია. მიუხედავად იმისა, რომ თიანეთი თბილისიდან დაშორებულია მხოლოდ 74 კილომეტრის მანძილზე, თბილისიდან ფოსტა დადის კვირაში მხოლოდ ორჯერ, ორშაბათობით და პარასკევობით. დასასვენებელ სადგურად მიჩნეულია ცხვარიჭამია, სადაც დღის პირველ საათზე იცვლება ცხენები და მგზავრებს მეორე დღემდის უხდებათ ამ უდაბურ ადგილას ლოდინი და მხოლოდ მეორე დღეს ბრუნდებიან თბილისში და თიანეთში. ეს იწვევს ნაყოფიერ მუშაობის შეფერხებას და აგრეთვე ჟურნალ-გაზეთების თავის დროზე მოუღებლობას.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ აღძრა შუამდგომლობა, რომ მიმოსვლა ყოფილიყო პირდაპირ თიანეთიდან თბილისში და დასასვენებელი სადგური ცხვარიჭამიიდან გადმოეტანათ სოფელ ლულელებში 74 კილომეტრის გავლა თამამად შეიძლება ერთ დღეს და ასე ხდებოდა ეს წინადაც.

ამ საქმის მოგვარებას შეგვპირდა ცენტრალური ფოსტის გამგეობა, მაგრამ დაპირება ჯერ-ჯერობით არ გაგვიმართლდა. იმედია დროზე მოაგვარებენ ამ მნიშვნელოვან საკითხს.

გ. თამაზაშვილი.

ვეზისხევით ექიმბაშებიდან

(რგანის თემი, შორაპნის მაზრა)

არც რგანის თემს აკლია „ხალხის მხსნელი“ ექიმბაშები, მაგრამ ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავია დიდი ხნის სახელგანთქმული სახირი კენჩოშვილი, რომელიც მუდამ დღე დახეტიალობს უბნიდან-უბნამდე და ცარცვავს ლატაკ გლეხობას. თითო პაციენტს სისხლის გამოღებისათვის ახდევინებს სამიდან შვიდ მანეთამდე და ამ ოპერაციას კი ხშირად სისხლის მოწამვლა მოსდევს.

მაისის შუა რიცხვებში ექიმბაშ კენჩოშვილის „ოპერაციით“ სისხლისგან დაიცალა სოფ. რგანში მცხოვრები გლეხი ონისიმე ხვედელიძე, რომელსაც სისხლი მოეწამლა ჟანგიანი დანის ხმარების დროს და ამის გამო საჭირო გახდა ავადმყოფის დაწვენა ქუთაისის სავადმყოფოში.

დ—რია.

რადიო სოფლად

(წერილი რაჭიდან)

მიმდინარე წლის განმავლობაში რაჭის მაზრაში დაიდგა 19 რადიო-მიმღები სადგური. აღნიშნული სადგურების შესაძენად თანხები გაიღო მოსახლეობამ თვითდაბეგვრის სახით. განზრახულია რაჭის მაზრ-პოლიტგან-განყოფილების მიერ კიდევ დაიდგას რადიო-სადგურები გლოლაში, ჯვარისაში, [illegible], წედისში, ბუგეულში და ცახში. რადიო მიმღები სადგურების მუშაობამ ძალზე დააინტერესა გლეხობა. აღრიცხვამ დაგვანახვა, რომ მაზრაში დღეისათვის გვყავს 1.134 მსმენელი. განზრახულია მოკლე ხანში რადიო კვირეულის ჩატარება რადიოფიკაციის გაღრმავების მიზნით.

ქალაქში—სახლი, სოფლად—მამული

(წერილი საგარეჯოდან)

სოფელ გიორგიწმინდის ყოფილი მცხოვრები დათიკო სონიშვილი ამჟამად სცხოვრობს ქ. თბილისში, ხელობით ის ყასაბია და ეწევა ხორცით ვაჭრობას. ამ კულაკს თბილისში კარგი სახლები აქვს, სოფ. გიორგიწმინდაში კი —კარგი ვენახი და ახლად აგებული სახლი. განა დასაშვებია, რომ წამოსულ ვაჭარს და სახლის პატრონს ორ ადგილას ქონდეს მამული?

ამას ყურადღება უნდა მიაქციოს — საგარეჯოს ალმასკომმა, და, სონიშვილს ზედმეტი მამული უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს რომელიმე ღარიბ გლეხს.

სამართლის მაძიებელი.

თათბირი მეძაობასთან ბრძოლის შესახებ

30 ივნისს, საღამოს, ამხ. ფილიპე მახარაძის თავმჯდომარეობით საქართველოს ცაკში შესდგა პირველი გაფართოებული თათბირი მეძაობის წინააღმდეგ მუდმივ და ორგანიზაციული ბრძოლის საკითხებზე.

კრებას შესავალი სიტყვით მიმართა ამხ. ფ. მახარაძემ, რომელმაც განმარტა თათბირის უდიდესი მნიშვნელობა ისეთ მტკივნეულ საკითხში,—როგორიც არის მეძაობასთან ბრძოლა.

ექ. ბერიძის მოხსენება

შემდეგ ვრცელი მოხსენება გააკეთა ჯანმრთელობის კომისარიატის წარმომადგენელმა ექ. ბერიძემ, თავის მოხსენებას მან წაუმძღვარა ისტორიული მიმოხილვა პროსტიტუციის განვითარებისა, დაწყებული უძველესი დროიდან, ვიდრე ჩვენამდის.

მომხსენებელმა აგრეთვე მოიყვანა ბევრ გამოჩენილ მწერლის, მოღვაწის და მკვლევარის აზრი და შეხედულებანი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მეძაობის უმთავრესი მიზეზები უნდა ვეძიოთ საზოგადოების ეკონომიურ ურთიერთობაში და მისი მოსპობა შეიძლება მხოლოდ კაპიტალისტური წესწყობილების დამხობასთან ერთად.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო მეძაობის საკითხს თვით საბჭოთა კავშირში და კრებას გააცნო, თუ რა საშუალებებით სწარმოებს მასთან ბრძოლა ან რა ღონისძიებებია დასახული მომავალში პროსტიტუციასთან წარმატებით საბრძოლველად.

საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში პროსტიტუციის გავრცელების უმთავრეს მიზეზად მომხსენებელს მიაჩნია მტკიცე ოჯახების უქონლობა და განქორწინების ხშირი შემთხვევები. მომხსენებელს ამის დასამტკიცებლად მოყავს ლენინგრადის მაგალითი სადაც სტატისტიკური ცნობებით, 1926 წელს აღრიცხულ ყოფილა 24.000 ქორწინება, ხოლო 16.000 განქორწინება. ამავე ლენინგრადში გასულ წელს ყოველ 4 ქორწინებაზე მოდის 2 განქორწინება.

პროსტიტუციასთან ბრძოლა მთელ საბჭოთა კავშირში სწარმოებს პროფილაქტიური გზით, დისპანსერების საშუალებით და საგანმანათლებლო ღონისძიებებით. განსაკუთრებული ყურადღება აგრეთვე ექცევა ქალების ყოფა-ცხოვრების და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

სტატისტიკური ცნობებით, თბილისში ცხოვრობს 150 მეძავი, მაგრამ ეს რიცხვი მომხსენებელს სწორად არ მიაჩნია. მისი აზრით თბილისში მეძავ ქალთა რიცხვი სჭარბობს 3.000. მეძავნი ავრცელებენ ვენერიულ სენებს, რაც საფრთხეს უქადის მოსახლეობის ჯანმრთელობას მიუხედავად იმისა რომ უკანასკნელ წლებში საქართველოში პროსტიტუციასთან ბრძოლის საქმე წარმატებით მიმდინარეობს, მომხსენებელს აუცილებლად მიაჩნია, ამ ბრძოლის კიდევ უფრო გაძლიერებლად, ჯანმრთელობის კომისარიატთან დაარსებულ იქნეს მეძაობასთან მებრძოლი საუწყებათაშორისო ცენტრალური საბჭო.

მომხსენებელმა აგრეთვე აუცილებელ საჭიროებად სცნო პროსტიტუციასთან ბრძოლა გაძლიერდეს პროფილაქტიური და საკანონმდებლო გზით. საჭიროა შტატების შემცირებაში არ მოყვნენ ქალები, დაარსდეს ქალთა შრომის არტელები, მიღებულ იქნეს ზომები მშრომელ ქალების კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაძლიერდეს კამპანია პროსტიტუციის წინააღმდეგ და სხ. ხოლო ადმინისტრატ. გზით მიღებულ იქნეს ზომები იმათ გასასახლებლად რომლებიც ეწევიან „ცოცხალი საქონლით“ ვაჭრობას და სხ.

ჩვენ ბრძოლა უნდა გავაძლიეროთ,—ამბობს მომხსენებელი,—არა მეძავების, არამედ მეძაობის წინააღმდეგ.

მომხსენებელი მოითხოვს დაჩქარებულ იქნეს ვენერიული ინსტიტუტის გახსნა, სადაც მომზადებული იქნებიან სპეციალისტ-ექიმები პროფილაქტიური გზებით. აგრეთვე საჭირო გაიხსნას პროფილაქტორიები თბილისში, ქუთაისში და ბათუმში.

მომხსენებელს აგრეთვე მიზანშეწონილად მიაჩნია, მოსკოვის მაგალითის მიხედვით, მეძაობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად დაარსებული იქნეს დელეგატ-ქალების რაზმები.

ექ. ერმოლენკოს თანამოხსენება

ექ. ბერიძის შემდეგ თანამოხსენებით გამოვიდა თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების წარმომადგენელი ერმოლენკო. მან კრებას გააცნო ახლახან თბილისის საბჭოს მიერ მიღებული ღონისძიებანი მეძაობასთან საბრძოლველად.

მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ექ. წერეთელმა, თალაკვაძემ, ამხ. ფ. მახარაძემ, ნაზარეტიანმა და შავერდოვამ.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

ამხ. ფ. მახარაძემ, შეეხო რა მოხსენებაში წამოყენებულ ძირითად საკითხებს, აღნიშნა, რომ არც მომხსენებლებს და არც მოკამათეებს არ აღუნიშნავთ პროსტიტუციის მთავარი მიზეზი და მასთან ბრძოლის ხასიათი.

როგორც მომხსენებლებს, ისე კამათში გამოსულებს დაავიწყდათ, რომ პროსტიტუციის გავრცელებაში ხელსაყრელ პირობების გარდა არა ნაკლები ბრალი მიუძღვით მამაკაცებს.

კრებაზე კი ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება გამოიტანოს კაცმა, თითქოს პროსტიტუციის გავრცელებაში მარტო ქალები იყვნენ დამნაშავენი. ეს არ არის სწორი. უმთავრესად მამაკაცებია დამნაშავე, როცა ქალი ადგება გარყვნილების გზას.

სამწუხაროდ დღემდე ძველებურად ქალს უცქერიან როგორც ნივთს. ეს არის ყოვლად დასაგმობი შეხედულება, რომელიც ხელს უწყობს მეძაობას. მეძაობას, გარდა დისპანსერებისა და პროფილაქტიური საშუალებებისა, უნდა ვებრძოლოთ აგრეთვე მამაკაცთა შორის ამ ყოვლად სამარცხვინო შეხედულების აღმოფხვრითაც. დისპანსერები და სხვა ღონისძიებები უძლური აღმოჩნდებიან, თუ მამაკაცი დღეს ერთ ქალს შეირთავს, ხვალ მეორეს, ზეგ კიდევ მესამეს და ყველას სიფილისით დაავადმყოფებს.

ჩვენ უნდა მივიღოთ ადმინისტრატიული ზომებიც ასეთ „ქმრების“ წინააღმდეგ. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ახალი ყოფის, საბჭოთა ცხოვრების შესაქმნელად. მომხსენებლის აზრი, თითქოს საქორწინო კანონი უწყობდეს ხელს პროსტიტუციას, არ არის სწორი. ჩვენ არ შეგვიძლია ავკრძალოთ განქორწინება, მაგრამ როცა განქორწინება ღებულობს ყოვლად საძაგელ, გამხრწნელ სახეს, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მთელი სიმკაცრით არა კანონს, არამედ ამ კანონის ბოროტად გამომყენებლებს.

არც ის არის სწორი, თითქოს მარტო ახალი ორგანიზაციის დაარსება უშველიდეს საქმეს. ჩვენ თითქმის გვაქვს ასეთი სახის ორგანიზაციები. ასეთია ცაკთან არსებული ქალთა ყოფა-ცხოვრების და შრომის პირობების გამაუმჯობესებელი კომისია, მაგრამ ამ კომისიის მუშაობაში სათანადო ორგანიზაციები არ ღებულობენ საჭირო მონაწილეობას. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა არა ახალი ორგანიზაციების მარტო დაარსება, არამედ ამ ორგანიზაციებში მუშაობა. რა თქმა უნდა მე არ ვარ წინააღმდეგი ახალი ორგანიზაციის დაარსების, მაგრამ ვიმეორებ საჭიროა მასში მუშაობა.

კიდევ უფრო საჭიროა და აუცილებელი პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჩავაბათ არა მარტო ორგანიზაციები, არამედ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

დასასრულ ამხ. ფ. მახარაძეს საჭიროდ მიაჩნია თათბირის განმეორებით მოწვევა მეძაობის წინააღმდეგ კონკრეტულ ღონისძიებების შესამუშავებლად.

* * *

კრების დადგენილებით თათბირის გაგრძელება შესდგება ამ დღეებში.

ახალი გამარჯვება აღმშენებლობის ფრონტზე

პირველ ივლისს, ნაშუადღევს პირველ საათზე ხონში მოხდა ახლად აგებულ აბრეშუმის სახვევი ქარხნის გახსნა. ქარხნის საზეიმო გახსნას დაესწრო საქ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე, ს. მ. უ. ს. და ახალმშენებათა კომიტეტის წარმომადგენელი ინჟ. ა. კანდელაკი, აბრეშუმის ტრესტის წარმომადგენელი ამხ. ჩხეიძე, ქუთაისის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. ლვაიჩავა, ქუთაისის და სამტრედიის მუშების წარმომადგენლები და დიდძალი გლეხობა.

მიტინგზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. ფ. მახარაძე, რომელმაც აღნიშნა ქარხნის უაღრესად დიდი მნიშვნელობა მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში და განაცხადა, რომ უკანასკნელი წლიწადი უნდა ჩაითვალოს აღმშენებლობის წარმატებით განვითარების წლიწადათ.

შემდეგი მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ სამტრედიისა და ქუთაისის მუშების წარმომადგენლები, რომლებმაც მოულოცეს ხონის რაიონის გლეხებს ახალი ქარხნის გახსნა. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ს. მ. უ. ს. და ახალმშენებათა კომიტეტის წარმომადგენელი ინჟ. ა. კანდელაკი, რომელმაც აღნიშნა, რომ ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალი აღმშენებლობის განვითარებას, რისთვისაც მიმდინარე წლისათვის გადადებული იყო 7 მილიონ მანეთამდე.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ადგილობრივი გლეხების წარმომადგენლებმა.

7 საათის სამუშაო დღე

საფეიქრო მრეწველობაში

საქ. შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის მომზადებელ კომისიის ცნობით, პირველ რიგში 7 საათის სამუშაო დღე შემოღებული იქნება საფეიქრო მრეწველობაში.

7 საათის სამუშაო დღეზე მიმდინარე წელში გადაყვანილი იქნება თბილისის აბრეშუმის საქსოვი ქარხანა, რომელშიაც 7 საათის სამუშაო დღის შემოღების შემდეგ მუშაობა იწარმოებს სამ ცვლად.

თბილისის მაუდის საქსოვ ფაბრიკაში და ქუთაისის აბრეშუმის ძაფსაღებ ქარხანაში 7 საათის სამუშაო დღე შემოღებული იქნება მათი ამუშავებისთანავე. ამ ქარხნების აგება დამთავრდება 1930 წლის დამლევს.

ამავე წლიდან 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილი იქნება ყველა დანარჩენი აბრეშუმის ძაფ-საღები და ძაფ-საგრეხი ქარხნები.

ამჟამად აბრეშუმის ყველა ქარხნებში 7 საათის სამუშაო დღის შემოღებას ხელს უშლის ნედლი მასალის (პარკის) ნაკლებობა; ამის გამო სამ წყებად მუშაობა შეუძლებელია.

ახლად გახსნილ ოზურგეთისა და ხონის ქარხნებში განზრახული იყო 7 საათის სამუშაო დღე შემოღებული ყოფილიყო მათი ამუშავების დღიდანვე, მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქნა სხვადასხვა ტექნიკურ დაბრკოლებათა და ნედლეულის ბაზრის მოუწყობლობის გამო.

ამიტომ, ამჟამად სწარმოებს სათანადო მუშაობა, რათა საქართველოში არსებული აბრეშუმის ქარხნები გამოუკლებლივ გადაყვანილი იქნენ 1930 წლიდან 7 საათის სამუშაო დღეზე.

ქუთაისის მაუდის საქსოვ ფაბრიკაში 7 საათის სამუშაო დღე შემოღებული იქნება 1929 წლის იანვარში და ამავე ხნიდან მუშაობა იწარმოებს სამ წყებად.

ქუთაისი აღდგენილ [illegible]

„კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა

ლამარა ელენტის გამოწვევით ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: მალხაზ ვარლამისძე მაჭავარიანს, ნათელა და ფასო მესხებს, გივი და ნელი ზალდასტანიშვილებს, უნი სულიაშვილს და ახალსენაკიდან — მერი და პეტია ხარებავებს.

ნათელა ხარებავა.

შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისის ხანძრით დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნოდარ იოსელიანს, (სენაკიდან), ანიკო ჩიქოვანს (თბილისიდან), გივი ელიოშვილს (მარტყოფი); აბაშიდან: ოთარ ჩახავას, მერი ჩიქოვანს, ლევან ქაჯაიას, თინა [illegible] და მურმან თოდუას.

გოგი იოსელიანი.

მე-6-ს ქართ. მსრ. ლეგიონის წითელარმიელთა და მეთაურთა შემადგენლობას ქუთაისის აღსადგენად შემოაქვს 233 მან. და 55 კაპ. და იწვევს იმ ლეგიონებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ გაუღიათ თავისი წვლილი.

მე-6 ლეგიონის სამხკომი ელიაშვილი.

ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი.

გიორგი თავდგირიძე.

ტაბახმელას [illegible] სადგურის მუშა-მოსამსახურეებმა ქუთაისში ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოთ შემოაქვთ ერთი დღის ხელფასი. 120 მან. 96 კაპ.

ფუთური ქადეიშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ბათუმიდან — რეზო გორგაძეს, ფოთიდან — გულიკო ლოლუას, ხუტუ ფანცულაიას, აბაშიდან — ფუცუცია ჩახავას და თბილისიდან ქეთუშა მიქელაძეს, ანიკო თოხაძეს, ქ. კაკალეიშვილს, რეზო მარკოზაშვილს, დოშუშია ვადაჩკორიას, ვალიკო [illegible].

მოწაფე ოთარ შოთაძე.

რკინის გზის მე-2 ქურის თანამშრომლებმა, შემოაქვს ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ ერთი დღის ხელფასი სულ 33 მან. და 10 კაპ.

გუშინ „კომუნისტი“-ს კანტორაში შემოვიდა 891 — 61, სულ წინად შემოსულთან ერთად 19.751 — 40.

კურორტები უზრუნველყოფილია პურით

კურორტების მთავარ სამმართველოში მიღებული ცნობებით, კურორტებისათვის პურის მომარაგების საქმეში ამჟამად შემდეგ მდგომარეობაა:

კურორტი აბასთუმანი, წყალტუბო, შოვი და ახტალა სავსებით უზრუნველყოფილია პურით 1-ლ აგვისტომდე. 5 ივლისამდე ამ კურორტებზე გაიგზავნება პურის ფქვილის ახალი პარტია, რომლის მიღების შემდეგ კურორტები უზრუნველყოფილი იქნება სეზონის ბოლომდე. პურით პირველ რიგში აკმაყოფილებენ სანატორიუმებს, პანსიონატებს და დასასვენებელ სახლებს.

ბორჯომში პურით უზრუნველყოფილი არიან სანატორიუმები, ხოლო კერძო მოაგარაკეთათვის პურის მიწოდების საქმე დავალებული აქვს ადგილობრივ სამომხმარებლო საზოგადოებას. წაღვერში, ცემში და ბაკურიანში პურით მომარაგების საქმე დაკისრებული აქვთ კოოპერატივებს, რომელთაც პურის ფქვილს აწვდის ცეკავშირი. ამ კურორტებზე გახსნილი სანატორიუმები და პანსიონატები უზრუნველყოფილი არიან პურით.

კურორტების პურით მომარაგებას დიდად აბრკოლებს ექსკურსანტების სიმრავლე. მარტო კურორტ შოვში ყოველდღიურად მოდის საშუალოდ 200-მდე ექსკურსანტი. ექსკურსანტების პურით უზრუნველყოფის მიზნით კურორტთა მთავარი სამმართველო ამ დღეებში გზავნის პურის ფქვილის ახალ პარტიას.

პოლიგრაფიული მრეწველობის რეორგანიზაცია

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პოლიგრაფიული მრეწველობის რეორგანიზაციის შესახებ. ამის გამო პოლიგრაფიული მრეწველობის ტრესტს წინადადება მიეცა შეუდგეს მუშაობას ზოგიერთ სტამბების გაერთიანებისათვის. სახკომსაბჭოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა, რომ დაიხურონ შემდეგი სტამბები: წითელი ჯვრის, ცეკავშირის, „კრასნი ვოინის“ და კ. წითელდროშოვანი არმიის. აღნიშნული სტამბებიდან მთელი ახალი მოწყობილობა უნდა გადაეცეს პოლიგრაფიული მრეწველობის ტრესტს, დანარჩენი სტამბების შესავსებად, ხოლო გამოუსადეგარი ქონება გადავა სახელმწიფო ფონდში.

ამასთანავე მიღებულ იქნა დადგენილება, რომ „ზარია ვოსტოკას“ და რკინის გზის სტამბები გადაეცენ პოლიგრაფტრესტს, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გატარებული სტამბების ადმინისტრატიული პერსონალის შემცირება.

პოლიგრაფიული მრეწველობის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილია მოხდეს პოლიგრაფტრესტის საკომერციო და საწარმოო განყოფილებების გადახალისება.

ყველა აღნიშნული ზომების გატარებას შეუდგება ს. მ. უ. საბჭო სახკომსაბჭოში წარდგენილ შუამდგომლობაზე დასტურის მიღების შემდეგ.

ტყიბულის მაღაროები

სამთო მრეწველობის სპეციალური კომისიის თათბირზე, რომელსაც დაესწრნენ ს. მ. უ. ს. განყოფილებათა სპეციალისტებიც—გადაწყვეტილ იქნა, რომ ტყიბულში ახალი მაღაროების გაყვანა აწარმოონ ახალი სისტემით, ე. წ. ჰიდრავლიური ამოშენებით. ეს სისტემა გულისხმობს გაყვანილი მაღაროების კედლების ამოშენებას არა ქვის ან სხვა რაიმე მასალით, არამედ წყლის საშუალებით. მაღაროდან ნახშირის გამოღების შემდეგ ნახშირიდან განთავისუფლებულ ადგილს ამოავსებენ მიწით დიდი სიძლიერით გაშვებული წყლით, რომელიც თავისუფალ ადგილზე მიიტანს ქვიშას და ძლიერი წოლით გაქვავებს მას.

ამგვარად თავიდან იქნება აცილებული მაღაროების ჩამონგრევა და ნახშირის მარაგიც მაქსიმუმამდე იქნება გამოყენებული.

მაღაროების ასეთი წესით გაყვანა პირველად ხდება საბჭოთა კავშირში. ამიტომ სამთო ტრესტმა სათანადო პროექტის შემუშავება მიანდო საკავშირო მინერალოგიისა და მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერულ ძალთა კომისიას. პროექტი უნდა დამზადდეს მომავალ წლის თებერვლისათვის.

მუშაობის წარმოების შესასწავლად გადაწყვეტილია გაიგზავნოს საზღვარგარეთ ორი ინჟინერი, რომლებიც დაათვალიერებენ გერმანიაში (რურში) ასეთივე სისტემით გაყვანილ მაღაროებს.

აბრეშუმის მრეწველობა

ახალი ქარხანა ოზურგეთში

სააქციო საზოგადოება „საქართველოს აბრეშუმი“ დაამთავრა აბრეშუმის ძაფსახვევ ქარხნის მოწყობა ოზურგეთში. გეგმის მიხედვით ქარხანაში იმუშავებს 320 კაცი, მათ შორის 160 მამაკაცი, დანარჩენი ქალი.

ქარხანაში მუშაობა აწარმოებს ორ წყებად. ქარხანა მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით.

ქარხანა ნაწილობრივად უკვე მუშაობს.

პარკის მოსავალი

აბრეშუმის პარკის მოსავლის შეგროვება უკვე დაიწყო მთელს საქართველოში. პარკს მთლიანად იძენს „საქართველოს აბრეშუმი“ საკუთარი აპარატის, სასოფლო სამეურნეო კოოპერაციის ძირითად ქსელის, ცეკავშირის და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ძირითადი სისტემის საშუალებით.

„საქართველოს აბრეშუმი“-ს ცნობით, მოსავალი წელს კარგია. კერძოდ გურიაში დიდი ხანია ასეთი კარგი მოსავალი არ ყოფილა. წინასწარი ვარაუდით მიმდინარე წელს ოზურგეთის მაზრაში დამზადებული იქნება 30—35.0000 ფუთი ნედლი პარკი.

პარკის მოსავალი კარგია აგრეთვე ქუთაისის მაზრაშიც.

ქუთაისი

(ტელეფონით საკუთარ კორესპონდენტისაგან)

აღმშენებლობა

ამჟამად მაზრის სხვადასხვა ადგილას მიმდინარეობს შემდეგი მშენებლობა: დაბა ვანში აგებენ სახალხო სახლს და აგრონომიული სკოლის შენობას; ორივე ჯდება—45.000 მანეთი. ტობანიერის თემში—სკოლას—ჯდება—60.000 მან. მუხიანში—თემალმასკომის შენობას—9828 მან. ბაღდათის თემში, წყალთამუშაში მდ. ხანის წყალზე ხიდს—6000 მან., ზეკარის თემში საექიმო პუნქტების შენობას და აგრეთვე წითელ ხევშიაც.

უკვე აგებულია: ხვირის თემში სახერხი ქარხანა, ხოლო წყალტუბოს თემში სასოფლო-მეურნეობისა და გლეხთა ურთიერთ დახმარების საზოგადოებათა შენობები.

დასასვენებელ სახლებში

ქუთაისის პროფბიურომ 184 მუშა-მოსამსახურე გაგზავნა დასასვენებელ სახლებში.

ნათესების მდგომარეობა

საექსპერტო კომისიის დასკვნით, ნათესების მდგომარეობა ამჟამად მაზრაში ბალების მიხედვით ასეთია: შემოდგომის ხორბალი—2.7 ქერი—3,8,—ბოსტნეული—3,6,— ბალჩეული—3.6;— ვენახი—4.1; ხეხილი—3,0, სათიბი—4,0. თესვა დამთავრდა. დათესილია დასათესი სივრცის 90 პროც. თესვის კამპანიის დაგვიანებისა და მაისის გვალვების გამო 10 პროც. დარჩა დაუთესავი.

პური

ქალაქში პურის ცხობა და მიწოდება ამჟამად მთლიანად ადგილობრივი კოოპერაციის ხელშია. რიონჰესისა და სხვა საქარხნო სამუშაოთა გაფართოების გამო პურის მოთხოვნილება იზრდება და საჭირო ხდება ქუთაისის ხვედრი თორნის გადიდება.

კოოპერაციის მუშაობა

მიმდინარეობს და ჯერ არ დამთავრებულა კოოპერაციის სეპაიო კამპანია. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მუშა-მოსამსახურეთა 100 პროც. იქნება გაერთიანებული კოოპერაციაში. ადგილობრივი კოოპერაცია ქსელის გაფართოების დროს ყურადღებას აქცევს სურსათ-სანოვაგის მიწოდების საქმის დაახლოებას თვით წარმოებებთან. ამ მიზნით უკვე ჩამოყალიბებულია კოოპერატიული ფარდულები რიონჰესისა და ბარიტის ქარხნებთან. ხოლო ასეთი ფარდული ამ დღეებში გაიხსნება კიდევ ვარციხის სახალხო მამულთან.

* * *

შეცდომის გასწორება

ჩვენ მოყვანილი გვქონდა ცნობა გამსახლის უფროსის კეთილაძის სამსახურიდან მოხსნის შესახებ. როგორც გვატყობინებენ ახლა, კეთილაძე განთავისუფლებულია გამსახლის უფროსის თანამდებობიდან თანახმად მისი თხოვნისა და გადაყვანილია ახალ სამუშაოზე.

წარმოების მიერ მიღებულ ეკონომიის დახარჯვის წესი

(შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილება)

მრეწველობაში ეკონომიის რეჟიმის გატარების წასახალისებლად შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ შემუშავებული ინსტრუქცია წარმოების მიერ მიღებულ ეკონომიის დახარჯვის წესის შესახებ.

ინსტრუქციაში აღნიშნულია, რომ ნაწარმის ღირსების გაუფუჭებლად, რაციონალიზაციისა და სხვა ღონისძიებებით მიღებული ეკონომიის 25—50 პროცენტამდე გადადის წარმოების დირექტორის განკარგულებაში. როდესაც ტრესტის გამგეობა ამტკიცებს წარმოების დასკვნით ბალანსს, ამავე დროს უნდა იქნეს დამტკიცებული წარმოების მიერ მიღებული ეკონომიის საერთო რაოდენობა და სისწორით გამოირკვეს ამ ეკონომიის ის ნაწილი, რომელიც დირექტორის განკარგულებაში უნდა გადავიდეს. ეკონომიის დანარჩენი ნაწილი უნდა გადაირიცხოს ტრესტის მოგება-ზარალის ანგარიშში.

წარმოების დირექტორის განკარგულებაში ეკონომიიდან გადარიცხული თანხის არა ნაკლებ 75 პროცენტისა უნდა მოხმარდეს წარმოების რაციონალიზაციას, კერძოდ—გამოგონებათა გამოყენებას, ენერგიის წყაროების გაუმჯობესებას, წარმოების მექანიზაციას და სხვ. დირექტორის განკარგულებაში გადარიცხული თანხის არა უმეტეს 25 პროცენტისა იხარჯება შრომის პირობების გაუმჯობესებაზე და წარმოების მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-ყოფაცხოვრებითი საჭიროებათა დაკმაყოფილებაზე. ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მუშა-მოსამსახურეთა საბინაო პირობების გაუმჯობესება, კულტურულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, სანიტარულ ჰიგიენის წესების დაცვა და სხვ.

დირექტორი, მის განკარგულებაში გადარიცხული ეკონომიის წილს დამოუკიდებლად ხარჯავს ზემო-აღნიშნულ საჭიროებაზე. იმ გარემოებამ, რომ დირექტორის განკარგულებაში გადარიცხული თანხის ნაწილი ხმარდება მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს ამ თანხის შემცირება, რომელიც ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად არის შეტანილი სამრეწველო-საფინანსო გეგმაში.

ზომები საბჭოთა მეურნეობის განსამტკიცებლად

საკავშირო სახკომსაბჭომ წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს მიიღონ გადამწყვეტი ზომები ტრესტებში გაერთიანებულ საბჭოთა მეურნეობების ქსელის განსამტკიცებლად და არ დაუშვან მათი ლიკვიდაცია. ტრესტებში შემავალი საბჭოთა მეურნეობები უფლებრივად გათანასწორებულნი არიან სამრეწველო ტრესტებში შემავალ წარმოებებთან.

მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს და საკავშირო ს. მ. უ. ს. წინადადება მიეცა მოაწყონ კურსები საბჭოთა მეურნეობების გამგებლის მოსამზადებლად და გადასამზადებლად და აგრეთვე მიიღონ ზომები, რათა საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფილი იქნან მუშაკებით, რომლებსაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სას.-სამეურნეო სასწავლებლები და ტექნიკუმები. გარდა ამისა, მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებსა და საკავშირო ს. მ. უ. საბჭოს დაევალა გადაამუშაონ საბჭოთა მეურნეობების განვითარების პერსპექტიული გეგმები და შეუფარდონ იგი სასოფლო მეურნეობის განვითარების საერთო გეგმას.

გეგმების გადამუშავების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საბჭ. მეურნეობების შემოსავლიანობის გადიდება, ახალ საბჭ. მეურნეობების მოწყობა, ღონისძიებები საბჭოთა მეურნეობების მექანიზაციისა, ინდუსტრიალიზაციისა და ელექტროფიკაციისათვის, საბჭოთა მეურნეობის როლის გაძლიერება, როგორც მრეწველობის ნედლეულის ბაზის და სხ. საბჭ. მეურნეობების განვითარების პერსპექტიული გეგმების დამუშავების დროს ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ საბჭ. მეურნეობების განვითარებას, რომლებიც მისდევენ მებამბეობას, მეცხვარეობას, ბრინჯის მოყვანას და სხვა.

მოკავშირე რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს წინადადება მიეცა შეადგინონ საბჭოთა მეურნეობების მიერ სოფლის მოსახლეობისათვის აგრიკულტურული დახმარების აღმოჩენის გეგმები და უკანასკნელნი შეიტანონ საბჭოთა მეურნეობების განვითარების პერსპექტიულ გეგმებში. საბჭოთა მეურნეობების აგრიკულტურული მუშაობა მატერიალურად ანაზღაურებული უნდა იქნეს მოკავშირე რესპუბლიკების მიწათმოქმედების კომისარიატების მიერ. ორგანოებმა, რომლებიც საბჭოთა მეურნეობებს ხელმძღვანელობენ, უნდა მიიღონ ზომები შრომის ორგანიზაციის შესასწავლად საბჭოთა მეურნეობებში, და მისი რაციონალიზაციისათვის და აგრეთვე მეურნეობების მუშათა საბინაო და ყოფა-ცხოვრებითი პირობების გასაუმჯობესებლად.

ვინაიდან საბჭოთა მეურნეობების მიწათმოწყობა და ტყეების მოწყობა მთლიანად არ არის გატარებული, საკავშირო სახკომსაბჭომ წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობებს საბჭოთა მეურნეობების მიწათმოწყობა უმოკლეს ვადაში დაასრულონ.

საბჭოთა კავშირის ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო ბანკს წინადადება მიეცა შეიმუშაოს საბჭოთა მეურნეობებისათვის კრედიტების მიცემის პირობები (მათ საწარმოო თავისებურობასთან შეფარდებით), გააფართოოს გრძელვადიანი კრედიტის სისტემა და აგრეთვე შეამსუბუქოს ძველი დავალიანების დაფარვის პირობები.

მებამბეობის კოოპერაცია

ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის კოოპერატიული სექციის თათბირმა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ფინსახკომის, „სოფლის კავშირის“, ვაჭრობის სახ. კომისარიატის, ა.-კ. მებამბეობის კომიტეტისა და ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის წარმომადგენლებმა და რომელიც შეეხებოდა ბამბის კოოპერაციის საკითხს, ა.- კავკასიაში, დაადგინა—სთხოვოს ა.-კ. სახკომსაბჭოს, რათა მან წინადადება მისცეს ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას, დააჩქაროს მებამბეობის კოოპერაციის გამოკვლევა ამიერ-კავკასიაში იმ ანგარიშით, რომ გამოკვლევა დამთავრდეს არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა.

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტს და ა.-კ. რესპ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს წინადადება მიეცათ—ერთი თვის ვადაში წარუდგინონ ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაწვრილებით დამუშავებული პროექტი მებამბეობის კოოპერაციისათვის გრძელვადიანი კრედიტით იმ ტრაქტორების გადაცემის შესახებ, რომლებიც მათ აქვთ მებამბეობის რაიონებში.

წინადადება მიეცეს ა.-კ. მებამბეობის კომიტეტებს, „სოფლის კავშირს“, „ბამბუკავშირს“ და „აზგოუხლოპს“ —ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას 10 ივლისისათვის წარუდგინონ მოხსენებები მებამბეობის კოოპერაციის მუშაობის შესახებ 1928-29 წ. თესვის კამპანიაში და გეგმა კონკრეტული ღონისძიებებისა მებამბეობის შემდგომი რაციონალიზაციისა და განსაზოგადოების პროცესების გასაძლიერებლად; ამასთან უნდა აღინიშნოს ამ დარგში მიღებული მიღწევები. ამას გარდა წარდგენილ უნდა იქნას მოხსენება ღარიბ გლეხთა კოოპერატიულად შეკავშირებისა და ღარიბ გლეხთა დახმარების სპეციალური ფონდების შექმნის შესახებ და დაწვრილებით დამუშავდეს მოსაზრებანი დასახელებულ ორგანიზაციებისათვის საჭირო იმ გრძელვადიანი სესხების რაოდენობის შესახებ, რომლებიც უნდა მოხმარდენ კაპიტალურ ხარჯებს და საბრუნავი, ძირითადი და სპეციალური კაპიტალების გაძლიერებას.

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტს წინადადება მიეცა წარუდგინოს ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიას მოხსენება თავის კონტრაქტაციის დარგში მებამბეობის კოოპერაციის გამოცდილების შედეგების შესახებ და თავისი გეგმები მებამბეობის კოოპერაციის დასამზადებელი მუშაობის ფინანსებით უზრუნველყოფისა და მისთვის თესლისა და სასუქის მიწოდების შესახებ. (ადს).

საქარის მევენახეობა-მეღვინეობის სკოლაში

(წერილი შორაპნიდან)

ამას წინად სხვებთან ერთად ვეწვიეთ საქარის მევენახეობა-მეღვინეობის სკოლას. ამ დღეს დანიშნული იყო პედსაბჭოს სხდომა, რომელზედაც ირჩეოდა მოწაფეთა გამოცდების შედეგები და საექსკურსიო საკითხები. სხდომაზე ვნახეთ მოწაფეთა წარმომადგენლებსაც, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საკითხების გარჩევაში,—თუ ვინ უნდა გადავიდეს შემდეგ კურსებზე და ვინ დარჩეს. მხარს უჭერენ მოწაფე-ამხანაგებს, რომლებიც წლის განმავლობაში კარგად სწავლობდენ, კოლოქვიუმებზე კი ცოტა მოიკოჭლებს. მოწაფენი მასწავლებლებთან ერთად მსჯელობენ საღად და გამოაქვთ სამართლიანი და სწორი დადგენილებანი.

წყდება საკითხი ექსკურსიის შესახებ. მეორე კურსის მოწაფენი ამ ზაფხულზე ესტუმრებიან აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო მამულებს: წინანდალს, მუკუზანს, ნაფარეულს და წინამძღვრიანთ კარს. ექსკურსანტებს აკლდებათ საგზაო ფული, თუმცა ლიტერები 22-მდე მზათ არის მათთვის. იმედის თვალით გაჰყურებენ ამხ. მ. ტაბატაძეს (შორაპნის მაზრის განათლების განყოფილების გამგეს); არ ეჭვობენ, რომ განათლების განყოფილება არ დააბრკოლებს მათ მცირე თანხის გაუღებლობით.

დასრულდა პედსაბჭოს სხდომა. ვათვალიერებთ სკოლის კარმიდამოს. შევდივართ მოწაფეთა საძინებელ ოთახებში. თვალწინ დგას მთელი პანსიონი, ყველგან სისუფთავე, მორეცხილი იატაკები, სუფთა ლოგინები; მოწაფეებიც სუფთათ არიან ჩაცმულნი. ღია აივანზე გაშლილია სასადილო სუფრა მოწაფეთათვის; ემზადებიან სადილისათვის დიასახლისს შემოაქვს სუფთათ მომზადებული კერძი წვნიანი ხორცით.

შენობას შერჩენია თავისი მდიდრული სილამაზე, ეტყობა ჩამორთმეული უნდა იყოს.

სად არის ეხლა ამ სახლის პატრონი? ვკითხეთ ერთ მასწავლებელს.

აი, ამ მარანში სცხოვრობს, მიპასუხებს ის და მეც იქითკენ მივაპყარი ჩემი თვალები. ოდესღაც ლაღათ შეძლებული აზნაური, რომელიც თითქმის ნახევარ ზესტაფონს ფლობდა, სცხოვრობდა განცხრომით დღეს უჭირო მარანში, მიწის იატაკზე საწნახელთან მოკუნტული და გულში მჯიღებს იცემს.

სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სკოლასთან მაინც და მაინც არც ზოგიერთი გლეხები ყოფილან კარგად განწყობილნი. ისინი თურმე აჭრიდნენ ნერგებს, აოხრებდნენ ხეხილებს და სხვა. ცხადია აქ ალბად მტრულად განწყობილი ზოგი პირების ძველებური გავლენაა გლეხობაზე. მაგრამ თვით სკოლამ მოინადირა გლეხების გული. სკოლა დიდ მარებას უწევს გლეხებს თუ მუშაობაში, თუ ცოდნა-დარიგების მიწოდებაში, რომ მისი მიწა და ვენახი კულტურულად იქნეს დამუშავებული.

საერთოდ მთელი სკოლა საუკეთესო ნიმუშია კომუნალური მეურნეობის, რომელსაც ხელმძღვანელობენ სპეციალური ცოდნით აღჭურვილი აგრონომები. ყოველდღიური მორიგეობა სკოლაში, სიყვარულით და პატივისცემით აღვსილი განწყობილება მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის, სრული შეგნება იმისა, რომ ყველანი ერთ საქმეს ემსახურებიან,—გლეხის მეურნეობის აყვავებას, მისი კულტურული დონის აწევის საქმეს უწყობენ ხელს, ყოველივე ეს ალხენს გლეხის გრძნობებს და სახე გაბრწყინებული სიხარულით უცქერის თავის მომავალს,—მის გვერდში ახლად ჩაყრილ განათლების კერას, ჯერ კიდევ ნორჩს, ფეხაუდგმელს, რომელსაც ის წინად მტრულის თვალით უყურებდა.

საქარის მევენახეობა-მეღვინეობის სკოლა დაბალი ტიპის სამეურნეო სკოლაა ორ წლიანი კურსით. დაარსებულია ის 1927 წელში. პროგრამა შვიდწლედის შრომის სკოლებისაა სპეციალურ სამეურნეო განხრით (მევენახეობა-მეღვინეობა). ამჟამად ორივე კურსზე ირიცხება 37 მოწაფე. სკოლას აქვს 15 ქცევა მიწა, რომელზედაც მოწაფეები აწარმოებენ პრაქტიკულ მუშაობას ვენახში, ბოსტანში, ყანაში და ხეხილის გაშენებაში.

სკოლის პერსპექტივები შემდეგია: სკოლას დასჭირდება შენობების გაფართოება სამეცადინო ოთახებისათვის, კაბინეტებისათვის ქიმიურ და სხვა ცდების საწარმოებლად. სკოლას დასჭირდება აგრეთვე სარდაფიც და რა თქმა უნდა ეხლანდელი შენობა ძლიერ ვიწრო იქნება მომავალში ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულებისათვის, რომელსაც მაზრის შუა გულს იჭერს თავის მნიშვნელობით. მიწის არეც აუცილებლად მოითხოვს გაფართოებას. სკოლას აგრეთვე მოსაწყობი აქვს ხეხილის ბაღი, სანერგე და საჩვენებელი საფუტკრე.

უნდა ითქვას, რომ საქარამ თავისი ცნობილი სანერგით, რომელსაც 25 წლის წინეთ სათავეში ედგა ცნობილი რევოლიუციონერი აგრონომი სტაროსელსკი, ხელმძღვანელობა გაუწია მთელ მხარეს ფილოქსერასთან ბრძოლაში; დღეს საქარის სანერგემ თავისი ასპარეზი აღმოსავლეთ საქართველოში გადაიტანა და იქ ებრძვის ვაზის უსასტიკეს მტერს.

საქარის მევენახეობა-მეღვინეობის სკოლა კი უნდა გახდეს სანიმუშო-საჩვენებელ სკოლათ ვენახების ჯიშის გაუმჯობესების საქმეში და ჩვენი ღვინოების ღირსების ამაღლებაში.

ქ.ქ—ძე.

მეცნიერების მუშაკთა სექციაში

საკავშირო სამეცნიერო აკადემიის წევრი საქართველოდან

მეცნიერების მუშაკთა სექციის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ვ. ბერიძის ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის მომართვის თანახმად საქართველოდან არჩეული უნდა იქნეს კანდიდატი სამეცნიერო აკადემიის წევრად წარმოსადგენად.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა დოც. ს. ყაუხჩიშვილის მოხსენება თბილისის სახელ. უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორ გრიგოლ წერეთლის შესახებ.

მოხსენებათა შემდეგ ბიურომ ერთხმად დაადგინა: თბილისის სახ. უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი და საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის და გერმანიის საარქეოლოგიო ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტი გრიგოლ ფილიმონისძე წერეთელი წამოყენებული იქნეს კანდიდატად საბჭ. კავშირის სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრის თანამდებობაზე, რაც დეპეშით ეცნობოს სამეცნიერო აკადემიის მუდმივ მდივანს აკადემიკოს ოლდენბურგს.

უმაღლეს სასწავლებლების რაციონალიზაცია

მეცნიერების მუშაკთა სექციის ბიუროს უკანასკნელ გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც დაესწრენ სახელმწიფო უნივერსიტეტის და ლენინის სახელობის სახ. პოლიტექნიკუმის ინსტიტუტის პროფესორები და ლექტორები. განათლების სახ. კომისარმა ამხ. კანდელაკმა მოხსენება გააკეთა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლების რაციონალიზაციის შესახებ. კამათის შემდეგ, რომელშიაც დამსწრეთა უმრავლესობამ მიიღო მონაწილეობა, ბიურომ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა ამხ. დ. კანდელაკის მოხსენება სახ. უნივერსიტეტის და სახ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სპეციალური ფაკულტეტების გაერთიანების შესახებ, მეცნიერების მუშაკთა სექციის ბიუროს გაფართოებული სხდომა ფიქრობს, რომ განს. სახ. კომისარიატის პროექტი სახ. უნივერსიტეტთან სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის (რუსული სექტორებით) დაარსების შესახებ სავსებით ეთანხმება უმაღლეს ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო განათლების რაციონალიზაციის და განმტკიცების ინტერესებს. მეცნიერების მუშაკთა სექციის ბიურო თავის მხრივ ფიქრობს, რომ სპეციალური ფაკულტეტების გაერთიანების პრაქტიკულად ჩატარება ახალ სამოსწავლო წლის დასაწყისისათვის სავსებით იქნება უზრუნველყოფილი სექციის წევრების ერთსულოვანი დახმარებით.

განათლების განყოფილებათა ინსტრუქტორების კონფერენცია

კონფერენციის მესამე სხდომაზე 30 ივნისს განხილული და დამტკიცებული იქნა სექციების მიერ შესწორებული ოთხწლიან სკოლების პროგრამები. კონფერენციამ საჭიროთ სცნო, რომ განხილულ პროგრამებს განათლების სახალხო კომისარიატმა დაურთოს მეთოდური ხასიათის განმარტებითი ბარათი.

შემდეგ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი სასკოლო მუშაობის აღრიცხვის შესახებ.

მასწავლებლებს ევალება წინასწარ შეადგინონ მუშაობის გეგმა და აწარმოონ იმის აღრიცხვა, თუ გეგმით განზრახული სამუშაოდან რომელი შესრულდა მთლიანად, რომელი არა და რა მიზეზით. ასეთივე გეგმა უნდა შეიმუშაონ მოწაფეთა ჯგუფებმაც მასწავლებლების დახმარებით და უნდა აწარმოონ მუშაობის აღრიცხვა.

სასკოლო მუშაობის აღრიცხვის წესის შესამუშავებლად გამოყოფილი იქნა სპეციალური კომისია. სხდომის დამთავრების შემდეგ კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალიერეს პირველ საცდელ საჩვენებელ სკოლის სასკოლო ავეჯი და მუზეუმი.

მუშათა ცხოვრება

ცოტა რამ დრამწრეების მუშაობაზე

მუშათა კლუბებში კულტურული მუშაობის სათანადო დონეზე დაყენება, ერთი მთავარი საშუალებათაგანია მუშების საკლუბო მუშაობაში ჩასაბმელად და მათ გასათვითცნობიერებლად. თუ კლუბში სწორად არის დაყენებული კულტურული მუშაობა, ის შემთხვევაში მუშები დაკმაყოფილებული იქნებიან კულტურულად და აქტიურ მონაწილეობასაც მიიღებენ საკლუბო მუშაობაში, მაგრამ თუ კლუბი, კულტურულ მუშაობის დარგში ვერ გასცილებია ვიწრო, კარჩაკეტილ მდგომარეობას, ზედმეტია ლაპარაკი მუშების გათვითცნობიერების შესახებ.

კლუბებში კულტურული მუშაობა ბევრნაირია. თვით კლუბის ყოველი მიმდინარე მუშაობა, ეს იგივე კულტმუშაობაა. მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო ადგილი საკლუბო მუშაობაში, დრამატიულ წრეს უჭირავს. უკანასკნელი კი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს კლუბების წევრთა და საერთოდ მუშათა ფართო მასის კულტურულ მოთხოვნილებას. ამას შესახებ თავის დროზე ბევრი ითქვა და ბევრი დაიწერა, მაგრამ დრამატიული წრეების მუშაობის გადახალისებას და გამოცოცხლებას საშველი მაინც არ დაადგა.

თითქმის ყოველ კლუბთან და ზოგიერთ ცალკე წარმოებებთანაც არსებობს დრამატიული წრეები. უნდა ითქვას, რომ არც ერთგან მათი მუშაობა არაა დამაკმაყოფილებელი. წინად ამ ნაკლის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ დრამატიულ წრეებს არ მოეპოვებოდათ თანამედროვე პიესები. ისინი იძულებული იყვნენ დაედგათ ძველი, დრო მოჭმული დრამები და კომედიები. დღეს მდგომარეობა შეიცვალა. დღეს აუარებელი თანამედროვე პიესები მოგვეპოვება, მაგრამ სამწუხაროდ ამ პიესების უმრავლესობა ჯერ კიდევ გამოუყენებელია. დრამატიული წრეები კვლავ ძველ, უშინაარსო და დრო მოჭმულ პიესებს დგამენ:

ავტოკლუბის დრამატიული წრე ვერ გასცილებია; „კრისტინე“-ს, „ელეონორა“-ს, რაღაც ახალ, მაგრამ ძველზე უარეს უშინაარსო „ლოდა“-ს და სხვა ასეთ მუშების გონების დამჭკნარებელ პიესებს. ასეთივე მდგომარეობაა სხვა მუშათა კლუბებშიაც. ყველაფერი ეს იმით არის გამოწვეული, რომ დრამატიული წრეებს არ ჰყავთ საკმაოდ მომზადებული ხელმძღვანელები. სათანადო ორგანოებმა ამას ყურადღება უნდა მიაქციონ.

მუშა, ახალ ცხოვრების მოტრფიალე, რევოლიუციონური ბრძოლის სურვილით გამსჭვალული, სწავლისა და განათლების შეძენით გატაცებული, ვერ დაკმაყოფილდება ძველი უშინაარსო პიესებით. მას აინტერესებს ახალი ცხოვრება. და ეს ახალი ყოფა-ცხოვრება უნდა აჩვენოს მუშათა კლუბების დრამატიულმა წრეებმა მხატვრული დადგმების საშუალებით. დრამ წრეებმა მუშებს უნდა მიაწოდოს ისეთი მასალა, რომელიც აწევს მათ კულტურულ დონეს და ამავე დროს განამტკიცებს მათში რევოლიუციონურ მისწრაფებებს.

ა. ნ.

ქალთა ექსკურსია მეხუთე სტამბაში

(წერილი დუშეთიდან)

ამას წინად დუშეთის პრა-კურსის სკოლის მოწავე ქალებმა, სამაზრო ქალთა განყოფილების ინსტრუქტორის ამხ. ნინო გვრიტიშვილის და მასწავლებელ ჩოხელის თაოსნობით და ხელმძღვანელობით, მოაწყო ექსკურსია თბილისის სხვადასხვა წარმოებების დასათვალიერებლად.

ექსკურსიამ დაათვალიერა: პროფესიონალური სასწავლებელი, რევოლიუციის მუზეუმი, თუთუნის ქარხანა და პოლიგრაფტრესტის მეხუთე სტამბა. ექსკურსანტებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა სტამბის დათვალიერებამ. სტამბა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის მოწყობილი, მაგრამ ამავე დროს აქ არის ძველი მანქანებიც, რომელმაც საშუალება მისცა ექსკურსანტებს გარკვეულიყვნენ ძველსა და ახალ მანქანებ შორის განსხვავებაში.

გაზ. „კომუნისტი“-ს ერთ ერთმა თანამშრომელმა ექსკურსანტ ქალებს ფართოდ გააცნო როგორც ახალი, ისე ძველი მანქანები და განუმარტა თუ როგორ სდგება და იბეჭდება გაზეთი. ექსკურსანტები დღემდე არ იცნობდნენ გაზეთის წყობის საქმეს. ამ დათვალიერებით და „კომუნისტი“-ს თანამშრომლის განმარტებით კი ისინი გაეცნენ გაზეთის ტექნიკას და საერთოდ ბეჭდვითი საქმის გაუმჯობესებას.

საჭიროა ასეთი ექსკურსიები ხშირად მოეწყოს.

ლიუბა თურქაძე.

ჩვენ მუშკორები

27 ივნისს გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა კრებამ განიხილა ორი ფრიად საყურადღებო საკითხი: ბრძოლა პროსტიტუციის წინააღმდეგ და თბილისის საბჭოს წევრების საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შედეგები.

პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კრებამ მოისმინა ამხ. ნანუაშვილის მოხსენება. მომხსენებელმა მოკლედ გააცნო კრებას პროსტიტუციის მავნებლობა და მოუწოდა ყველას სასტიკი ბრძოლა გამოეცხადონ ამ საშინელ მტერს. მომხსენებლის სიტყვით, მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიუროსთან შექმნილია პროსტიტუციის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია, რომელსაც მუშკორებმა ყოველ მხრივ უნდა გაუწიონ დახმარება და სხვადასხვა ცნობების მიწოდებით ხელი შეუწყონ მის ნაყოფიერ მუშაობას. გარდა ამ აშკარა პროსტიტუციისა, რასაც ადგილი აქვს ქუჩებში, არის შემთხვევები ცოცხალი სხეულით საიდუმლო ვაჭრობასაც. მუშკორებმა სააშკარაოზე უნდა გამოიტანონ ასეთი ადგილები და დროზე აცნობონ პროსტიტუციის წინააღმდეგ მებრძოლ კომისიას.

დასასრულ მომხსენებელმა მიუთითა მუშკორებს მთელ რიგ ღონისძიებებზე პროსტიტუციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

შემდეგ, თბილისის საბჭოს წევრების საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შესახებ ილაპარაკა ამხ. ს. დოლიძემ. ორატორმა გააცნო კრებას საბჭოს წევრების მოგზაურობის მიზანი და აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ყველა ქალაქებში გაცხოველებული აღმშენებლობითი მუშაობა სწარმოებს თბილისის საბჭოს წევრებმა ამ მოგზაურობით ბევრი რამ შეისწავლეს.

მოხსენების შემდეგ მოეწყო ექსკურსია ინდუსტრიალურ ტექნიკუმის გამოფენის დასათვალიერებლად. ტექნიკუმის გამგემ ინჟ. კაკაბაძემ დაწვრილებით გააცნო კრებას ტექნიკუმის მუშაობა და მისცა ყოველგვარი ახსნა-განმარტება ტექნიკუმის საქმიანობის შესახებ.

უნდა ითქვას, რომ ტექნიკუმს საგრძნობი წარმატება ეტყობა გამოფენიდან ნათლად ჩანს, რომ კურსდამთავრებული სტუდენტები გაამართლებენ ყოველივე იმედებს.

ძია-ლევან.

ეკონომიური თათბირი

(თბ. ალმასკომი)

ალმასკომის „უქსი“-ს ეკონომიურ კომისიის გაფართოებულმა თათბირმა, რომელსაც დაესწრნენ როგორც კომისიის წევრები, აგრეთვე ადგილკომის წევრები, მუშა - მოსამსახურეები და ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც, განიხილა კეთილმოწყობ განყოფილების და „უქსი“-ს მომავალი მუშაობის გეგმა. ამ საკითხის შესახებ მოხსენება წაიკითხა ინჟ. [illegible]. მომხსენებლის სიტყვით აღნიშნული განყოფილებები დღემდე უგეგმო მუშაობას აწარმოებდნენ. მათი ნამუშევარი ხშირად უნაყოფო რჩებოდა და სხვ. მომხსენებელი ამას იმით ხსნის, რომ ზოგიერთი პირები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. გარდა ამისა „უქსის“ განყოფილება არ არის დამოუკიდებელი სხვა განყოფილებიდან. ერთი განყოფილების განკარგულება ხელს უშლის მეორე განკარგულების შესრულებას.

აგასიკის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში გამოირკვა: ალმასკომის კეთილმომწყობი განყოფილების უგეგმო მუშაობა, უაღრესად განვითარებული ბიუროკრატიზმი, ზოგიერთ პირების საქმისადმი ძლიერი გულგრილობა, ფულის უმიზნოთ ხარჯვა და სხვა.

მოკამათეებმა სასტიკად გაილაშქრეს უქსისა და კეთილმომწყობ განყოფილების შორის გამეფებულ ბიუროკრატიზმისა და უგეგმო მუშაობის წინააღმდეგ და მოითხოვდენ უქსის ჩამოშორებას კეთილმომწყობ განყოფილებიდან. მუშებმა აღნიშნეს აგრეთვე ზოგიერთი სახლების ნგრევა იმ დროს, როდესაც ზოგიერთ სახლებს პროტექციით ღებავენ და ალამაზებენ.

თათბირმა კამათში აღნიშნული ნაკლი კეთილმომწყობ განყოფილებისა დაადასტურა, და დაადგინა, რათა კეთილმომწყობ განყოფილებიდან გამოყოფილი იქნეს „უქსი“-ს ნაწილი.

ალმასკომის პრეზიდიუმმა უნდა დააჩქაროს თათბირის დადგენილების ცხოვრებაში გატარება.

კოტე გოგიბერიძე.

როგორ მოვიქცეთ

საქონლის სადგურის მოლარეები საერთოდ, და, კერძოდ თბილისის მოლარეები ისე არიან დატვირთული სხვადასხვა სავალდებულო სამუშაოებით, რომ რვა საათის განმავლობაში ძლივს ასწრებენ გააკეთონ ის, რაც აუცილებლად უნდა გააკეთონ. დანარჩენი საქმეებისთვის კი, როგორც არის: ტარიფების გასწორება და სხვადასხვა მიწერ-მოწერაზე პასუხის გაცემა, ვეღარ იცლიან.

ტარიფთა კომიტეტი ისე უხვად უშვებს ტარიფთა კრებულს, რომ ვერ მოასწრებ ერთის წაკითხვას, მას მეორე მოსდევს, მეორეს მესამე და ასე დაუსრულებლად. თითოეულ ამ კრებულებში 15—16 ტარიფთა სახელმძღვანელოებში უნდა შეიტანონ ათასნაირი შესწორება-ცვლილებები, რისთვისაც საკმაოდ დიდი დროა საჭირო. დრო კი მოლარეებს არა აქვთ.

სამსახურში ადრე მოსვლა, ან სამსახურის შემდეგ ზედმეტი დარჩენა კანონით აკრძალულია. აკრძალულია აგრეთვე ტარიფების სახლში წაღება და ან კვირა უქმე დღეებში მოსვლა და მათი გასწორება. ტარიფების გაუსწორებლობა კი იწვევს ათასნაირი გაუგებრობას ამა თუ იმ საქონლის განიხილვის დროს. არა სწორი განიხილვით ხშირია შემთხვევა, როდესაც მოლარეს უხდება თავის ღარიბი ჯიბით დანაკლისის ანაზღაურება. ზარალობს რკ. გზაც. ან და კლიენტს უხდება ზედმეტის გადახდა და შემდეგ კი მისი პრეტენზიული წესით უკან დაბრუნება.

მართალია ტარიფის გასწორება მთლად უყურადღებოდ არ არის მიტოვებული, მაგრამ ისიც მართალია, რომ ასეთი გასწორებას—გასწორებას ვერ უწოდებთ.

იმედია სათანადო ორგანო მიაქცევს ამ მოლარეების ყურადღებას და საქონლის მოლარეებს გამოიყვანს ამ აუტანელ მდგომარეობიდან.

გელათელი.

მუშკორთა წერილებიდან

რად არის განსხვავება? რკინის გზის შეიარაღებული რაზმის ის თანამშრომლები, რომლებიც იცავენ ხიდებს, ჯამაგირს იღებენ 77— მანეთს, ხოლო სადგურებზე მომუშავეებს კი რომლებიც ისეთსავე მოვალეობას ასრულებენ ეძლევათ 60 მან. და 50 კაპ. თვეში. რად არის ჯამაგირებში ასეთი განსხვავება?

ხ. ლ.

გზა რაღად დაგვიკეტეს? ელბაქიძის დაღმართზე ამ დღეებში, ახალი ფულის მანე-ლოტოს სათამაშო გახსნეს. ამაზე არავინ იტყოდა კაცი, რომ ლოტოს გახსნის გამო არ დაეკეტათ ის ბილიკი, რომლითაც უმეტეს შემთხვევაში მუშა—მოსამსახურენი და ღარიბი სტუდენტები დადიოდნენ. ამ ბილიკს ორივე მხრიდან გაუკეთეს კარები და დაადეს დიდი ბოქლომი. ამით საშუალება მოუსპეს ხალხს იაროს მოკლე გზით. ალმასკომო, გზა რაღად დაგვიკეტე?

მგზავრი.

გაგვიხსენით სასადილო. კარლ მარქსის მოედანზე კერძო სასადილოები სოკოსავითაა გაჩენილი. კოოპერატიული სასადილო სრულებით არ არის. ურიგო არ იქნება, რომ რომელიმე კოოპერატიულმა ორგანომ გახსნას აქ ერთი სასადილო.

გარუნი.

სახლის პატრონმა შეგვაწუხა (ქუთაისი). ტროცკის ქ. სახლის პატრონი ვინმე მიხაილოვი მოსვენებას არ აძლევს მდგმურებს. ყოველ დღე ეჩხუბება და აგინებს უშვერი სიტყვებით. ამას წინად თავხედმა სახლის პატრონმა ჯოხით სცემა სოფლიდან ჩამოსულ ერთ გლეხს, რომელიც საქონელს წყალს ასმევდა. ქუთაისის მილიციავ გამოასწორეთ თავხედი სახლის პატრონი.

მეედელი.

ასეთი შეღავათი არ არსებობს. ქუთაისის სარეწაო ნაწილის „დახმარება“-ს სამი წყლის სავაჭრო კიოსკი უკვე მეორე წელია უპატენტოდ ვაჭრობს. ვგონებ ასეთი შეღავათი არ უნდა არსებობდეს. რას იტყვის ამაზე ქუთაისის ალმასკომი?

დავ—უე.

გაგვიხსენით პურის საცხობი. ბრმების სკოლიდან დაწყებული, კახეთის ქუჩის ზევიდან არამიანცის საავადმყოფომდე მხოლოდ ერთი პურის საცხობი არსებობს. ეს კი ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას. მუშკოპო, მოუმატე პურის საცხობი.

მ. ლიახველი.

ნაოსნობა რიონზე

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს ა.-კ. ნავთსადგურების განყოფილებაში აცნობეს, რომ 7 ივლისიდან რიონზე დაიწყება რეგულიარული ნაოსნობა. ამჟამად სწარმოებს სასწრაფო მუშაობა ფოთის ხიდის გასაშლელი ნაწილის მოსაწყობად.

ფოთი, 1 ივლისი. მოვიდა მეორე სამგზავრო გემი მდ. რიონზე სამუშაოდ. ამჟამად რიონზე ნაოსნობის დასაწყებად საკმაო გადასაზიდი საშუალებებია: კატერი „პერვენეც"-ი, ორი დიდი სამგზავრო გემი და ორი ბარჟა.

საბინაო კრიზისის დასაძლევად

სპეციალური საბინაო სასამართლო, რომელსაც დავალებული აქვს სახლების მდგომარეობის გამორკვევა მოუვლელ სახლების ჩამორთმევის მიზნით, გაცხოველებით მუშაობს.

დღემდე საბინაო სასამართლოში შემოსულია 2500 საქმე. აქედან გაირჩა და გადაეგზავნა ცაკს 1000 საქმე, გრძელდება საქმეების შემოსვლა.

სასამართლოს გადაწყვეტილებები სახლების ჩამორთმევის შესახებ ეგზავნება დასამტკიცებლად საქ. ცაკს.

როცა ცაკი დაამტკიცებს გადაწყვეტილებებს, ჩამორთმეულ სახლებს ჩაიბარებს ქალაქის აღმასკომი.

აღმასკომთან გამოყოფილია სპეციალური ცენტრალური საბინაო სამეული, რომელსაც ევალება საცხოვრებელ სივრცის რაციონალური განაწილება უბინაო პირთა მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად.

რამდენიმე ჩამორთმეულ სახლის მოვლა გაერთიანებული იქნება ერთი კომენდანტის ხელში, რომელსაც დანიშნავს აღმასკომი.

როცა დამთავრდება საბინაო სივრცის რაციონალურად განაწილება, ჩამორთმეული სახლები გადაეცემა საბინაო ამხანაგობებს.

საბინაო ამხანაგობები ჩამოყალიბდებიან მსხვილი ორგანიზაციის სახით. ყოველ საბინაო ამხანაგობაში გაერთიანებული უნდა იქნეს 15 — 20 სახლი. ამხანაგობას ეყოლება გამგეობა რომლის თავმჯდომარეს, მდივანს, ბუღალტერს და სხვ. ექნებათ ჯამაგირები. ეს იქნება უკვე მსხვილი სამეურნეო დაწესებულება.

საბინაო სივრცის რაციონალურად განაწილების დროს პირველ რიგში დაკმაყოფილებული იქნებიან ის მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც ნესტიან და უვარგის ბინებში ცხოვრობენ.

განსაკუთრებული ზომები იქნება მიღებული სახლების სასწრაფოდ შესაკეთებლად.

გურჯაანის კეთილმოწყობა

როგორც უკვე გვქონდა გამოქვეყნებული საქართველოს ცაკის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით გადაწყვეტილია სიღნაღ-თელავის მაზრების გაერთიანება. გაერთიანებულ მაზრების ცენტრი იქნება გურჯაანი.

გურჯაანის სამაზრო ცენტრად გამოცხადების გამო გადაწყვეტილია გურჯაანის კეთილმოწყობა მოზრდილ ქალაქის დაგვარად.

გურჯაანის კეთილმოწყობის გეგმის შედგენა დავალებული აქვს თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების მთავარ ინჟინერს ქურდიანს.

გეგმაში გათვალისწინებული იქნება ახალი სწორი ქუჩების გაყვანა, ახალი შენობების აგება, კინო-თეატრის მოწყობა და სხვ. ამჟამად უკვე დაწყებულია ერთი დიდი შენობის აგება.

ამ შენობაში მოთავსებული იქნება გაერთიანებული სამაზრო ორგანოები და პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები. პირველ რიგში იქნება აგრეთვე აგებული შენობა სასოფლო-სამეურნეო და კომუნალურ ბანკების განყოფილებებისათვის და სხვ.

პირველად გურჯაანში სიღნაღიდან და თელავიდან გადატანილი იქნება ისეთი დაწესებულებები, რომლებიც არ იმყოფებიან ადგილობრივ ბიუჯეტზე და არც დიდ შენობებს საჭიროებენ. შემოდგომამდე გურჯაანში გადატანილი იქნება სამაზრო პროფესიონალური ბიურო, სახ. დაზღვევის სამმართველოს განყოფილება და სხვ.

მევენახეობის სპეციალისტთა ექსკურსია

საქართველოში ჩამოვიდა მევენახეობის სპეციალისტთა ექსკურსია, რომელშიაც შედიან ანაპის მევენახეობის საცდელ სადგურის გამგე, ქიმიკოსი ზახაროვა, შავი ზღვის სანაპიროების მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების გამგე და 20 სხვა მეღვინე - სპეციალისტი. მათი ჩამოსვლის მიზანია მევენახეობის და ფილოქსერასთან ბრძოლის საქმის გაცნობა. ექსკურსანტებმა დაათვალიერეს კახეთის საცდელი სადგური და მუკუზანის, ჩუმლაყის და წინანდლის სახალხო მამულები, რის შემდეგაც გაემგზავრენ საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურის დასათვალიერებლად; ექსკურსანტები გაეცნობიან აგრეთვე 30 გლეხთა ვენახებს ზესტაფონის რაიონში. ვინაიდან ფილოქსერა შავი ზღვის ნაპირებზე დიდი ხანი არ არის რაც გაჩნდა, ამიტომ ექსკურსანტებს განსაკუთრებით აინტერესებთ საკითხი, თუ როგორ სწარმოებს ფილოქსერასთან ბრძოლა საქართველოში, სადაც ეს ბრძოლა გასული საუკუნის მეოთხმოცდაათე წლებში დაიწყო.

ქრონიკა

403 მოგება

სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორამ გუშინდლამდე გაანაღდა ინდუსტრიალიზაციის სესხის მესამე ტირაჟის 403 მოგება—23.000 მანეთის რაოდენობით. მოგებათა განაღდება გრძელდება.

სამრეწველო საქონელი ამიერ-კავკასიისათვის

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატში მიღებულ ცნობებით, საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა ამიერ-კავკასიაში მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში სამრეწველო საქონლის შემოტანის გეგმა, გეგმის მიხედვით, ბამბეული მანუფაქტურა შემოტანილი იქნება 300 ვაგონი, შალი და მატყლის ქსოვილები — 750.000 მანეთის, ფეხსაცმელები — 2,500.000 მანეთის და სახურავის რკინა და ცინკა გადაკრული რკინეულობა 295.000 მანეთის.

ახალი მოსავალი

მიწად - მოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობით, აღმოსავლეთ საქართველოში ახალი მოსავლის აღება უკვე დაიწყო.

ქ. თელავის ბაზარზე გამოსულია ახალი ქერი, რომელიც იყიდება 1 მ. 80 კ. ფუთი.

ახალი მოსავლის შემოსვლის გამო ფასები ხორბლეულზე თანდათან ეცემა. ფუთი ხორბალი ამჟამად იყიდება 4 მ. 50 კაპ., რამდენიმე დღის წინად კი იყიდებოდა 5 მან. და 50 კაპ.

ხორბლეულზე ფასები კიდევ უფრო დაეცემა, ვინაიდან აღმოსავლეთ საქართველოში წელს კარგი მოსავალია.

სანაოსნო სადგური

საქართველოს პროფსაბჭომ კულტგანყოფილებას დაავალა მოაწყოს ერთი დიდი სანაოსნო სადგური აჭარისტანში.

მცხეთის სანაოსნო სადგური გადატანილ იქნება აჭარისტანში.

კონკურსი საუკეთესო შენობაზე

მთელ რიგ საკავშირო სამეურნეო ორგანოებს გადაწყვეტილი აქვთ მოაწყონ საკავშირო კონკურსი საუკეთესო შენობაზე. ამშენებელთა კავშირის (საკავშირო) ცეკამ და ინჟენერ-მშენებელთა სექციის (საკავშირო) ცენტრ. ბიურომ გადასწყვიტეს მონაწილეობა მიიღონ ამ კონკურსში, რათა საზოგადოებრივობის ყურადღება მიაპყრან ნაშენობათა ხარისხის გაუმჯობესების საკითხს.

ზედამხედველობის ბიუროების გაუქმება

ვინაიდან მომრიგებელ - საკონფლიქტო ორგანოებისა და სამედიატორო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე ზედამხედველობის ფუნქციები გადაეცა რესპუბლიკანურ შრომის სახ. კომისარიატების სატარიფო-საკონფლიქტო განყოფილებებს, ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა გააუქმოს ზედამხედველობის ბიუროები.

სამალარიო კონფერენცია

20 ივლისს თბილისში გაიხსნება სამალარიო კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მსხვილი სამალარიო სადგურები. კონფერენციის მთავარ საპროგრამო საკითხს წარმოადგენს მალარიასთან ბრძოლის საქმის უნიფიკაცია.

ზედამხედველობა სამთო სამუშაოთა უშიშროებაზე

ზედამხედველობა სამთო სამუშაოთა უშიშროებაზე და აგრეთვე იმ წესების შესრულებაზე, რომლებიც აწესრიგებენ სამთო-მშენებელ სადგურების მუშაობას, საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით დაევალა საკავშირო შრომის კომისარიატის სპეციალურ სამთო-ტექნიკურ ინსპექციას და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს.

პროფკავშირებში

◆ **პლენუმი.** 5 ივლისს შესდგება ფეიქართა კავშირის ცენტრ. გამგეობის პლენუმი.

◆ **ექსკურსია.** პროფსაბჭოს კულტგანყოფილება 7 ივლისს აწყობს სამეცნიერო-საგანმანათლებლო ექსკურსიას გორისა და უფლისციხეში.

◆ **იურიდიული დახმარება.** პროფსაბჭოსთან არსებულმა იურიდიულ რჩევა-დარიგების ბიურომ ივნისის განმავლობაში უფასო იურიდიული დახმარება აღმოუჩინა კავშირის 1921 წევრს.

◆ **პროფმოძრაობის ისტორიის** გამოსაცემად პროფსაბჭომ გადასდო 1000 მანეთი.

◆ **თათბირი.** ოთხშაბათს, 4 ივლისს საღ. 7 ს. მუშათა სასახლის მცირე დარბაზში მოწვეულია ჯგუფკომების, ადგილკომების და პროფრწმუნებულების საერთო - საქალაქო თათბირი.

სოცდაზღვევის კომიტეტში

◆ **ქობულეთის დასასვენებელი სახლი** გაიხსნა 1 ივლისს.

◆ **ახალგაზრდათა ახალშენი.** სოცდაზღვევის კომიტეტი წაღვერში აწყობს ავადმყოფ ახალგაზრდა მუშათა ახალშენს.

სხვადასხვა

◆ **სახელმწიფო ბანკის** ამიერ - კავკასიის კანტორა იზოურგეთში ხსნის თავის საგენტოს.

◆ **საზ. „ჩემო"-ს** ლიკვიდაცია სავსებით დამთავრდა. სალიკვიდაციო კომისია გაუქმებულია 1 ივლისიდან.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები:** სამარკანდიდან — მოდებაძეს, ჩხარიდან — ფანჩულიძეს, მოსკოვიდან — გოგოლაძეს, თელავიდან — მამალაძეს.

ხელოვნება

◆ **პოეზიის და მუსიკის საღამო.** დღეს 5 ივლისს სახ. კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება პოეზიის და მუსიკის საღამო.

◆ **მუშათა ახალ კლუბში.** დღეს გაიმართება კომპ. სპენდიაროვის ხსოვნის აღსანიშნავი სიმფონიური კონცერტი.

ავტომატიური ტელეფონი

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა განიხილა ქალაქის ტელეფონის ქსელის გადახალისების საკითხი.

პრეზიდიუმმა მიიღო ტელეფონის ქსელის გადაკეთების გეგმა, რომლის მიხედვით საკავშირო ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველო ამიერ-კავკასიაში წელს შეუდგება თბილისის სატელეფონო ქსელის გადაკეთება-გადახალისებას და ავტომატიურ ტელეფონის მოწყობას.

ავტომატიურ ტელეფონის მოსაწყობად გადებულია 3.650.000 მან., აქედან არსებულ სადგურების გადაკეთებაზე დაიხარჯება 300.000 მანეთი. ქსელის გადახალისებასა და ხელ-ახლა მოწყობაზე 3.350.000 მან.

საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, ქალაქის სატელეფონო ქსელის გადახალისებაში ნივთიერი მონაწილეობა უნდა მიიღოს თბილისის აღმასკომმა, რომელმაც უნდა გადაიხადოს მთელი თანხის 25 პროც.

ავტომატიური ტელეფონის მოწყობა დამთავრდება 3 წლის განმავლობაში. პრეზიდიუმმა დაადგინა ავტომატიურ ტელეფონის მოსაწყობად 1928—29 წლის ბიუჯეტში შეიტანოს 300.000 მან.

რკინისგზაზე

საქმე მატარებლების დაჯახების შესახებ

ამ დღეებში უბედურ შემთხვევებთან მებრძოლმა საგზაო კომისიამ განიხილა საქმე მატარებლების დაჯახების შესახებ, რომელიც მოხდა მე-808-ე კილომეტრზე. დაჯახებით გამოწვეული ზარალი შეადგენს 18.025 მან. კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ შემთხვევა გამოწვეულია მატარებლის მიერ დახურულ სემაფორის გავლით, რაშიაც ბრალი მიუძღვის სათადარიგო აგენტს იმერაძეს, მეისრე ყურმანოვს, მემანქანე აბდულაევს და მთელ კონდუქტორთა ბრიგადას. კომისიის დადგენილებით ხსენებული პირები დათხოვნილია სამსახურიდან.

სამსახურიდან დათხოვნილი არიან აგრეთვე კონდუქტორები — ოსკინი, კურესი, დილი, გურიევი, ტადელი, კაბიდოვი, ვისოცკი, ლისიცინი და დენისოვი. მეზიარენი—ობნოსოვი, კრავჩინსკი და მატარებლის რევიზორი—ლაკრიენკო.

ძლიერი ქარი

ა.-კ. რკინის გზების სამმართველოს ატყობინებენ, რომ ბაქოს უბანში ამოვარდა ძლიერი ქარი, რის გამო მატარებლების მოძრაობა ვერ სწარმოებს ნორმალურად.

მუდმივი მატარებელი

ა.-კ. რკინის გზების სამმართველოს განკარგულებით კვირაობით თბილისსა და ბორჯომს შორის იწარმოებს მატ. № 17-18 მიმოსვლა. უკანასკნელი გადის თბილისიდან 7 ს. და 50 წუთზე (თბილისის დროით).

დამატებითი მატარებელი

კარაკლისში მიმავალ მოაგარაკეთა რიცხვის არაჩვეულებრივ გადიდების გამო, ა.-კ. რკინის გზის სამმართველოს განკარგულებით ინიშნება დამატებითი მატარებელი № 14-16, რომელიც ივლის თბილის-ლენინაკანს შორის. მატარებლის მიმოსვლა იწარმოებს კვირაში სამჯერ—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. თბილისიდან მატარებელი გადის დილის 3 საათ. და 15 წუთზე.

შემთხვევები

უბედური შემთხვევა

კვირას, 1 ივლისს, 6 წლის ბავშვმა, რომლის ვინაობა გამოურკვეველია, თათრის მოედანზე უცაბედათ ხელი მოჰკიდა ზაჰესის მავთულის ნაწყვეტს, რის გამო უგრძნობლად დაეცა მიწაზე. ბავშვს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს პირველ სავადმყოფოში.

გვამის პოვნა

გუშინ, დილით, მე-7 კომისარიატის ფარგლებში მტკვრის პირას იპოვნეს დამხრჩვალი დედაკაცის გვამი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია.

დაჭრა

გუშინწინ, დილით ალ. ილიასძე ჩიკვაიძემ (მცხ. სანაპიროს ქ. № 18) ორთა-ღელეში ჩხუბის დროს დანით მსუბუქად დასჭრა ლავრენტი მიხეილის ძე ვაზოგაშვილი. ჩიკვაიძე დაპატიმრებულია.

თვითმკვლელობა

კვირას, 1 ივლისს, ალექსი ავსიანიკოვმა (მცხ. ფოთის ქ. № 14) თვითმკვლელობის მიზნით თავის ბინაზე თოკით ჩამოიხრჩო თავი. თვითმკვლელობის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

ქურდების დაპატიმრება

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა: კონსტანტინე ტოგონიძე (მცხ. პეტრიაევის ქ. № 26), ავეტის მარტიროსის ძე საკიანი (მცხ. 19 თებერვლის ქ. № 16), იოსებ იაგორის ძე ტატუნაშვილი და მიხეილ თალარის ძე უთუნოვი, რომლებსაც ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

გაფლანგვა

ახალ-სენაკი, 1 ივლისი. მარტვილის თემაღმასკომში რევიზიამ გამოააშკარავა გაფლანგვა, რომელიც 2.000 მან. აღემატება. დაპატიმრებულია ერთი ფინმუშაკი. სწარმოებს გამოძიება.

თავდასხმა

სოფ. შიხლოში (სიღნაღის მაზრა) მცხოვრებ პავლე ზაქარიასძე ქიმიაშვილს ღამით თავს დაესხა 5 შეიარაღებული ბოროტმოქმედი და სიკვდილის მუქარით წაართვეს 940 მ. ფულად და სხვადასხვა საოჯახო ნივთები. მიღებული ზომებით შეიპყრეს 3 ბოროტმოქმედთაგანი, რომლებიც აღმოჩნდნენ: სოფ. ჭერემში მცხოვრები გიორგი შენგელიძე, სოფ. შამიანში მცხოვ. ვანია ამირაჯიბი და თელავის მაზრის მცხ. მელიტონ კანაშვილი. ნაძარცვი ნივთების ნაწილი აღმოჩენილია.

ჯიბგირობა

გუშინწინ, ღამით გიორგი სიმონიშვილს „ოლკეი-კლუბში" ვიღაც ჯიბგირმა ჯიბიდან ამოაცალა ოქროს საათი და მიიმალა.

ქურდობა

კარის გატეხის საშუალებით გაქურდეს კოოპერატივ „ნადიის" პურის საცხობი (მდებარე საბჭოთა ქ. № 43), წაიღეს 235 მანეთის საქონელი. —გაქურდეს ოლღა კარულის ბინა (საბჭოთა ქ. № 77), წაიღეს 100 მანეთის ნივთები. — გაქურდეს ვარლამ ჯიშკარიანის ბინა (დიდუბის ქ. № 24), წაიღეს 140 მანეთის თეთრეულობა.

ქურდების დაპატიმრება

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა მიკირტიჩ თათეოზისძე ოგანეზოვი და მამედ ქაირიმ-ოღლი.

ხსენებულ პირებს ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

სასამართლო

ჯერ თავს, შემდეგ კი სხვას

კონსტანტინე ნესტორისძე ჯაფარიძე პასუხისმგებელ მუშაკთა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს, როგორც თავისი უფლება-მოვალეობით, ისე ჯამაგირის რაოდენობითაც.

ა. კ. რკინის გზების მთავარ სახელოსნოების კანტორის მთავარი მოანგარიშე, რომლის ხელშია მუშების ნაფლატი, მუშებისათვის დაწესებულ შეღავათების, სესხების, კრედიტების განაწილება და მოწესრიგება—უსათუოდ პასუხისმგებელი პირია.

სამწუხაროდ, თავისი პასუხისმგებლობის გრძნობა მანამდე ვერ შეიგნო ჯაფარიძემ სანამ პასუხისგებაში არ მისცეს სისხლის სამართლის წესით.

როცა მუშებისათვის საავანსო ჩეკები იქნა შემოღებული იმ მიზნით, რომ ხელმოკლეობის დროს მუშებს მისცემოდა მოკლე ვადიანი სესხი, ჯაფარიძემ პირველ ყოვლისა თავისი თავი დააკმაყოფილა და გამოიწერა „ავანსი ჯამაგირის ანგარიშში" 438 მანეთამდე, რომელიც ეხლაც კი, როცა ის გამსახლის კმაყოფაზე იმყოფება მასზე ირიცხება „ჯამაგირის ანგარიშში" (!).

მთავარ სახელოსნოების მუშა-მოსამსახურეებს „ზაკტპო"-მ ნისიად დაუთმო საქონელი.

მთავარ მოანგარიშემ ჯაფარიძემ აქაც პირველ რიგში თავს სცა პატივი და 561 მანეთის საქონელი წაიღო ნისიად.

„ჯერ თავო და თავო, შემდეგ კი სხვას",— ეს იყო ჯაფარიძის მრწამსი.

კაცი რომ შეეჩვევა „კეთილ ცხოვრებას" ველარ შეიკავებს თავს. ერთსა და ორ „გაბედულ" ნაბიჯს მოჰყვება მეორე და მესამე. „გასამართლებელ საბუთებით" გაფლანგული ფული რომ შემოელევა, „გაუმართლებლადაც" წაიხარჯავს.

ასე მოუვიდა ჯაფარიძესაც. როცა „ჯამაგირის ანგარიშში" გატანილი ფული გაუთავდა სხვა თანამშრომლების სახელზე გამოსწერა ავანსი და შეჭამა 254 მანეთი.

ამის შემდეგ კიდევ უფრო გაწუწკდა ჯაფარიძე ერთ დღეს, როცა ჯამაგირებს ურიგებდენ მუშებს, მუშა ფარესიშვილს შეცდომით 42 მანეთი მეტი გადააყოლა ჯაფარიძემ.

მუშამ დააბრუნა ეს თანხა უკანვე. ჯაფარიძემ კი „გამოასწორა შეცდომა" და ეს 42 მანეთი ჯიბეში ჩაიდო.

ამის შემდეგ სიყალბეებზე გადავიდა ჯაფარიძე.

ვინმე ჯავახიძეს, რომელიც არავინ იცის ვინ არის, ჯაფარიძემ ნისიათ გამოუწერა 20 მანეთის საქონელი კოოპერატივიდან. ჯავახიძე გადაასწორა ჯაფარიძედ და საქონელი თვითონ გამოიტანა.

ჯაფარიძე თავის ამხანაგებსაც სცემდა პატივს, მაგრამ, რასაკვირველია, მას შემდეგ რაც თავის თავს დააკმაყოფილებდა.

ეხლაც ითვლება ზოგიერთ თანამშრომლებზე ჯაფარიძის „გულკეთილობით" გამოტანილი დიდძალი ავანსები.

ჯაფარიძეს გაფლანგული აქვს 1400 მანეთი. მას გაასამართლებს თბილისის მაზრის სასამართლო 8 ივლისს.

ზერ.

ვის ჩამოერთვა სახლები

(30 ივნისს გარჩეულ საქმეებიდან)

მაგდანა დავიდოვას (ნიკოლაძის ქ. № 21), ელიზბარ ლარიბოვას (ორჯონიკიძის ქუჩა № 12), მარიამ ჟორჟოლიანს (ფეიერვერკის ქ. № 3), სარნოვსკის (ფეიერვერკის ქ. № 7), ბოლქვაძეს (ბატარეის და გოგოლის ქ. № 9—50), ჩამაჩიანს (ფეიერვერკის ქ. № 23), ანტონ აღნიაშვილს (ნიკოლაძის ქ. № 19), მარიამ ნემსაძეს და სხვებს (შიო მღვიმელის შეს. № 8), გაგოშიძეს, მახათაძეს და მიქაშვილს (მელიქიშვილის ქ. № 19), რაკოვიჩს (კალანდაძის ქ. № 23), აბაზ-ალი-ფაშა-ზადეს (წილკანის ქ. № 7), ნიკოლოზ ჩიტაშვილს (ფასანაურის შეს. № 4), ლევან კობახიძეს (მატერიალური ქ. № 10), მარიამ ტკაჩენკოს (მატერიალური შეს. № 4), სტეპანიანცს (მალაკნის ქუჩა № 23), ციციანოვს და შენს (25 თებერვლის ქ. № 21), ეკატერინე ბოლოშვილს (მელიქიშვილის ქ. № 20), ილია სხირტლაძეს (მელიქიშვილის პირველი ჩიხი № 3), მალუშკინებს (მელიქიშვილის ქ. № 43), ანა უტცის (ფეიერვერკის ქუჩა № 11), აბაზოვს და მანშიაშვილს (ტროცკის ქ. № 30), მარიამ თაქთაქიშვილს (ვარდისუბნის ქუჩა № 5), ვახილ მალაშხიას (დერბენდის შეს. № 4), მნაცაკან მელიქ-ახნაზაროვს (მლეთის შეს. № 12), ანდრო თვალიაშვილს (სარემონტო ქუჩა № 6), მესხიშვილს (გოგებაშვილის ქ. № 3), გრ. ქართველიშვილს (საბჭოთა ქ. № 109), ივანე ფხაკოვს (ტროცკის ქ. № 12), ლეშევიჩებს (პეტრიაშვილის ქ. № 16), სტაჩეევს (ვარდისუბნის ქ. № 11), პროკოპენკოს (ყაზბეგის ქ. № 3), ბარბალე სულხანოვას (საბა—სულხან ორბელიანის ქ. № 15), მარიამ არშიანაშვილს (ერისთავ-ხოშტარიას ქ. № 14), ჩაიგიშტოვს და კუკუჯანოვს (საბა სულხან ორბელიანის ქ. № 7), ნადარეიშვილს (ტროცკის ქუჩა № 24), აკაკი ჩიჩუას (ბესიკის ქ. № 34), სოლომონ ქეიშვილს (ვარდისუბნის ქუჩა № 9), მილახოვებს (ლომინაძის ქ. № 15), ვერა თაზიშვილს (მატერიალური შესახვევი № 6), ილურიძეს და ზაზტაძეს (მელიქიშვილის ქ. № 24), ესტრატოვს და ურიდის (შიო მღვიმელის შეს. № 7), როსტიანცს და ბეზარაშვილს (რუსთაველის პრ. № 39), მამულოვს (გუდაურის შეს. № 10), იაკობ ზრეგვაძეს (კობის ქ. № 3), მიკირტუმოვებს (თონეთის შეს. № 3), ნიკოლოზ ტერტერაშვილს (კალანდაძის ქ. № 25), ილია გოგოლაშვილს (მატერიალური ქ. № 8), ხითაროვს (მელიქიშვილის ქ. № 34), გახპაროვს (მელიქ-შვილის ქ. № 39), პარემუზოვს და ლორთქიფანოვს (საბა-სულხან ორბელიანის ქუჩა № 3), იოსებ ჩიტაშვილს (ნიკოლოზის შეს. № 3), აბესალომ ხევსურიანს (კალანდაძის ქ. № 18), მაჭავარიანს (მატერიალური შეს. № 2), მელიქ-ნუბაროვს (ცეტკინის ქ. № 78), ჩახუნაშვილს და ტორონჯაძეს (ცეტკინის ქ. № 76), ჩილინგაროვს (მელიქიშვილის ქ. № 17) მარიამ სლავინსკაიას (ნიკოლაძის ქ. № 4) ფრიდრიხ გროსს (შიო მღვიმელის ქ. № 8) დავით ხუციშვილს—(ნიკოლაძის ქ. № 9), გაგლაშვილს (კალინინის ქ. № 34), მინას ხულხანოვს (კალინინის ქ. № 9), მჭედლიშვილს (კალინინის ქ. № 1), ნინა და აპოლონ ტყემალაძეებს (ლენინის შეს. № 2), ხოფით ბერძენიშვილს (ვარდისუბნის ქ. № 3), გალუსტოვს (ყაზბეგის ქ. № 11), მღებრიშვილს და გოდერძოვს (ცეტკინის ქ. № 63), იაროველიანცს (ცეტკინის ქ. № 88).

ა.-კავკ. ფიზკულტურის დღესასწაული

დღესასწაულის დამთავრება

კვირას, პირველ ივლისს დამთავრდა ამიერ კავკასიის ფიზკულტურის პირველი დღესასწაული.

ტანვარჯიში

შაბათს, 30 ივნისს, ლენინის სახ. სასპორტო დარბაზში ჩატარდა ა. კ. ფიზკულტუროსნების ცილობა იარაღულ ტანვარჯიშში ინდივიდუალურ პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს და სომხეთის მოვარჯიშეებმა; აზერბეიჯანის ფიზკულტუროსნებმა უარი განაცხადეს მონაწილეობაზე მოუმზადებლობის გამო. იარაღულ ტანვარჯიშში ა. კ. პირველობა აიღო საქართველომ. მეორე ადგილი დაიკავა სომხეთმა. საქართველოს მოვარჯიშეებიდან 1-ლი ადგილი დაიკავა ქ. მეიფარიანმა, მეორე—ყანჩაველმა, ხოლო მესამე—კორსუნსკიმ.

—:—

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში მოთავსებულ ანგარიშში სწერია, რომ საქართველოს და აზერბეიჯანის ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება დამთავრდა 1:0, უნდა იყოს— 6:0 საქართველოს სასარგებლოდ.

ჭადრაკი

ა. კ. მოჭადრაკეთა პირველი ჩემპიონატი

მეშვიდე ტური

გოგლიძე — როსტოვცევი. ჩემპიონატის მეშვიდე ტური აღინიშნა გოგლიძის პირველი დამარცხებით. თეთრებმა დაიწყო წინდაუხედავი შეტევა და მოგების დაჩქარების მიზნით დაკარგა ხარისხი, რამაც როსტოვცევს საშუალება მისცა გადასულიყო იერიშზე. მე-18-ე სვლაზე გოგლიძემ დაუშვა შეცდომა, დაკარგა მოგებულ პაიკი და პარტია წააგო.

ილინ. ჟენევსკი — ტერ-მარტიროსიანი. (ისპანური). ჟენევსკიმ დებიუტშივე მოიპოვა უპირატესობა, მოიგო პაიკი და რამდენიმე სვლის შემდეგ დაამარცხა მოწინააღმდეგე.

აბრამიანი — იმენიტოვი. (ინდიური). იმენიტოვმა კარგათ გაითამაშა პარტია. მაგრამ მე-14-ე სვლაზე პაიკით გააკეთა შემცდარი სვლა და ჩავარდა წასაგებ მდგომარეობაში. აბრამიანმა კარგათ გამოიყენა მოწინააღმდეგის სუსტი პოზიცია, გადავიდა შეტევაზე, მოიგო ორი პაიკი და მასთან ერთად პარტიაც.

მაკაგონოვი — ბადაი (ახალი ინდიური). წმინდა პოზიციური ხასიათი ჰქონდა ამ პარტიას. მაკაგონოვმა მოიგო პაიკი, მაგრამ ვერ შესძლო მისი შენარჩუნება, რამდენიმე სვლის შემდეგ ბადაიმ დაიბრუნა პაიკი და გაათანაბრა მდგომარეობა. პარტია დამთავრდა ყაიმით.

სმოროდსკი — ტალვიკი. პარტია გადადებულია ტალვიკისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

ტოტევიანი — ებრალიძე. (ლაზიერის პაიკების დებიუტი). პასიური თამაშის გამო ტოტევიანი მალე ჩავარდა უიმედო მდგომარეობაში, ებრალიძემ ისარგებლა თავისი პოზიციური უპირატესობით და ჩქარა მოიგო პარტია.

მალუნცევი — კარჩიკიანი. (ინგლისური დებიუტი). მალუნცევმა კარგათ გამოიყენა კარჩიკიანის პოზიციური შეცდომები და მე-22-ე სვლაზე მოწინააღმდეგე აიძულა დანებებულიყო.

სოროკინი — ავეტისოვი. ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო სოროკინისათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

კვირას, 1-ლ ივლისს შესდგა დაუმთავრებელი პარტიების გათამაშება. სოროკინმა წააგო გოგლიძესთან და როსტოვცევთან. მოულოდნელი აღმოჩნდა ებრალიძის მიერ პარტიის მოგება სოროკინისათვის. სოროკინს ბევრათ უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა მოწინააღმდეგეზე. მაგრამ ერთი უხეში შეცდომის გამო პარტია წააგო. ტალვიკმა და როსტოვცევმა წააგეს ჟენევსკისთან. ავეტისოვის და ჟენევსკის პარტია ყაიმით დამთავრდა. ტალვიკმა მოუგო მალუნცევს.

ამრიგად, მდგომარეობა მეშვიდე ტურის შემდეგ ასეთია:

ილინ-ჟენევსკი + 6, მაკაგონოვი, გოგლიძე, და ებრალიძე + 5 ნახ. აბრამიანი + 4 და ერთი დაუმთავრებელი. ბადაი + 4, როსტოვცევი და მალუნცევი + 3 ნახ. სმოროდსკი და ტალვიკი + 3 და თითო დაუმთავრებელი, ავეტისოვი + 3, სოროკინი + 2 ნახ. კარჩიკიანი + 2, იმენიტოვი + 1 ნახ. და ერთი დაუმთავრებელი, ტერ-მარტიროსიანი + ნახ., ტოტევიანი 0.

გ. გოგლიძე.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 3 ივლისი

დღეს, 3 ივლისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო - სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი — განმარტება ქართულ ენაზე.

საგლეხო რადიო გაზეთი.

როგორ ტარდება საშვებულებო კამპანია— მოხს. რუსულ და ქართულ ენებზე.

თავდაცვა-ავიაქიმის საზ-ების კვირეულის ამოცანები — მოხ. ქართულ ენაზე.

სას. სამ. კოოპერაციის ამოცანები — მოხს. რუსულ ენაზე.

ტექნიკური კონსულტაცია.

სამომხმარებლო კოოპერაციის მიღწევები — მოხს. რუსულ ენაზე.

გაზ. „პროლეტარი" — სომხურ ენაზე.

საქ. გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები — რუსულ და ქართულ ენებზე.

ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია— რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

მოხსენებებს შუა—მუსიკალური ნომრები.

მეცნიერება და ტექნიკა

ფოტოგრაფიები ფოლადზე

ამერიკელმა მეცნიერმა ჩარლზ მენროემ აღმოაჩინა წესი ფოტოგრაფიული სურათების გადატანისა ფოლადზე. ეს წესი დამყარებულია ე. წ. „მენროეს ეფექტზე", რომელიც შემდეგში მდგომარეობს: თუ ფოლადის ზედაპირზე დავდებთ ასაფეთქებელ ნივთიერების ნაჭერს (ნიტროგლიცერინს და სხვ.), რომლის ქვედა ნაწილი ჩაღრმავებულია და შემდეგ ავაფეთქებთ მას, ფოლადის ზედაპირზე გაჩნდება ისეთივე სიდიდის და ფორმის ჩაღრმავებული ადგილი, როგორიც ასაფეთქებელი ნივთიერებაზე იყო, ფოლადზე ფოტოგრაფიული სურათების ანაბეჭდების მიღება უფრო რთული საქმეა, თუმცა თვით მეთოდი ანაბეჭდის მიღებისა მარტივია. ფოტოგრაფიას, რომლის გადაღება სურთ ფოლადზე, სდებენ ფოლადის ზედაპირზე. ფოტოგრაფიაზე ზევიდან დებენ ნიტროგლიცერინს და აფეთქებენ. აფეთქების შემდეგ ფოლადზე რჩება ფოტოგრაფიის ანაბეჭდი, რომლის გარკვეულობა დამოკიდებულია ასაფეთქებელი ნივთიერების რაოდენობაზე.

მენროეს აღმოჩენამ დიდი ინტერესი გამოიწვია შეერთებული შტატის სამეცნიერო და საინჟინრო წრეებში. მენროეს აღმოჩენას შეუძლია მთელი რევოლიუცია მოახდინოს სასტამბო ტექნიკაში: გააიაფოს და გაამარტივოს სტამბების პროდუქცია.

ფიზიკური მუშაობა და კუჭის წვენი

ნიუ-იორკის საექიმო ინსტიტუტში მოახდინეს საგულისხმო ცდები იმის გამოსარკვევად, თუ რა გავლენას ახდენს კუნთების მუშაობა კუჭის მოქმედებაზე. ცდები მოახდინეს სტუდენტების ჯგუფზე, რომელიც ორ ნაწილად იქნა გაყოფილი. რეჟიმი და დიეტა ორივე ჯგუფისათვის ერთნაირი იყო იმ განსხვავებით, რომ პირველი ჯგუფი ორი საათით ადრე სადილობამდე ფიზიკურად ვარჯიშობდა, მეორე კი—არა. ყოველდღე ორივე ჯგუფის სტუდენტებს აცლიდნენ კუჭის წვენს. იმ სტუდენტებს, რომლებიც ფიზიკურ ვარჯიშობას ეწეოდნენ, მეტი კუჭის წვენი აღმოაჩნდა. ვიდრე მეორე ჯგუფის სტუდენტებს და მათი კუჭის წვენის შემადგენლობაც უკეთესი აღმოჩნდა: მათ კუჭის წვენში დიდის რაოდენობით იპოვეს მარილის მჟავა—კუჭის წვენის ფრიად მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. საინტერესოა, რომ ამგვარ დადებითი გავლენას კუჭის მოქმედებაზე ახდენს მხოლოდ ფიზიკური მუშაობა. გონებრივი შრომა, რა რიგ ინტენსიური და ხანგრძლივი არ იყოს ის არ იწვევს კუჭის წვენის რაოდენობის გადიდებას. პირიქით, მთელ რიგ შემთხვევებში გაძლიერებული გონებრივი მუშაობის შემდეგ შემჩნეულია კუჭის წვენის რაოდენობის შემცირება და მისი ხარისხის გაუარესება.

ნარევი

„დონარები"

ომის შემდეგ ევროპასა და ამერიკაში ფართოდ გავრცელდა სისხლის გადასხმის პრაქტიკა. სისხლის გადასხმის გავრცელებამ შექმნა ახალი პროფესია—პროფესია „დონარების"— ხალხის, რომელიც თავის სისხლს იძლევა გადასასხმელად. „დონარები" აღრიცხვაზე ჰყავთ აყვანილი სავადმყოფოებში და საჭიროების დროს მათ იწვევენ სისხლის გამოსართმევად. „დონარების მეფედ" ითვლება ნიუ-იორკელი მტვირთავი ტომას კეინი, რომელმაც 1914-დან 1927 წლამდი „დასთმო" 42 კვარტი (კვარტი— 1,13 ლიტრი) ან 4 ვედროზე მეტი თავისი სისხლი, ადამიანის ორგანიზმი საშუალოდ შეიცავს 6 კვარტ სისხლს, ამრიგად 13 წლის განმავლობაში კეინმა დაკარგა 7-ჯერ მეტი სისხლი. ამერიკელი ექიმები დაინტერესა კითხვამ—იქონია, თუ არა რაიმე გავლენა ამდენი სისხლის დაკარგვამ კეინის ჯანმრთელობაზე. აღმოჩნდა, რომ კეინის ჯანმრთელობა მშვენიერია. აიხსნება ეს იმით, რომ კეინი არაჩვეულებრივად ჯანმრთელი ადამიანია, ბევრ დროს ატარებს ღია ჰაერზე და წესიერ ცხოვრებას ეწევა. დონარების უმრავლესობა კი სისხლის რამდენიმე გადასხმის შემდეგ (თითეულ ოპერაციის დროს მათ ართმევენ ნახ.-1 ლიტრ სისხლს) სტოვებს თავის პროფესიას.

არ შეიძლება ითქვას, რომ დონარების პროფესია შემოსავლიანია. ამჟამად ადამიანის სისხლზე შემუშავდა „მტკიცე ფასები"—120-200 მანეთი კვარტი.

საჰარა—ზღვა

ინგლისელმა მეცნიერმა ჯონ ბოლმა შეიმუშავა საჰარის უდაბნოს ზღვად გადაქცევის გეგმა, ბოლი წინადადებას იძლევა ხმელთა შუაზღვიდან დაიწყონ გათხრა 200 კილომეტ. არხის, რომელიც ხმელთაშუა ზღვას შეაერთებს საჰარის უდაბნოს ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილთან, რომელიც ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს. ამგვარად შექმნილი დაფარავს საჰარას უდიდეს ნაწილს, ბოლი ფიქრობს, რომ ზღვის მოწყობა აფრიკის ცენტრში ხელს შეუწყობს ჰავის შერბილებას და გაადიდებს ნალექების რაოდენობას, გარდა ამისა, ხელოვნური ზღვა შექმნის მიმოსვლის მოხერხებულ და იაფ საშუალებას ცენტრალურ აფრიკასთან კავშირის დასამყარებლად.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს, 3 ივლისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: ალექსი გავრიუშენკო, სიმონ ოლაგოვი, ლიუსია პოსდეევოვა და სოფიო ბაბანოვა. **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** ქეთევან კვანტალიანი, იონა შანიძე, ნინო ავალიშვილი, ბიქტორ მგელაძე, ნატალია მანსურაძე, მარიამ დემურიშვილი, ვლადიმერ შხოლვა, პარასკევა დეგოიძე, ნეოფიტე ხიზნიერიძე, ნინო ფალავა, ნატალია სავლუჩინსკაია, მარიამ ციციშვილი, ნატალია ადამოვა, ლიუბა მელიქ აგამალოვა ივანოვასი, ნინო კანჯაძე და მიხეილ გაბუნია.

შავ მუშათა მესამე სექციიდან. ნიკოლოზ ხუროშვილი, ანუშ საპახარიანი, ხაჩატურ სოგომონიანი, ევანე პარემუზოვი, არშაკ ნაზარიანი, სარქის პანაიანცი, დავით დონაძე, სოფიო გალუსტოვა, ოლღა ტაიროვა, გიორგი მაჭავარიანი, პეტრე ნარსია, აზატ სიმონიანცი და მიქიდინ დარტკინი. **მედიკურ მუშაკთა სექციაში.** მიღებულია მოთხოვნილება ქ. ახალციხიდან ერთ ბებია-ქალზე, ჯამაგირი: 80 მ. და უფასო ბინა. საჭიროა თურქული და სომხური ენების კარგათ ცოდნა. თელავის მაზრიდან მიღებულია მოთხოვნილება ერთ ექიმის თანაშემწეზე ჯოყოლის საექიმო პუნქტზე სამუშაოდ.

იურიდიული დახმარება

ანა ხორბალაძეს (გორი), ს. დოესი

კითხვა:

ჩემი ქმრის გარდაცვალების შემდეგ, (გარდაცვალება წინედ), საცხოვრებლად დავრჩი ჩემ მაზლებთან. ამ ბოლო ხანებში მაზლებმა გამომისტუმრეს სახლიდან და მიუხედავად იმისა, რომ გათხოვილი ვარ 15 წელიწადი და ამჟამად მოკლებული ვარ შრომის უნარს, არავითარ წილს, ოჯახიდან არ მაძლევენ. გეკითხებით, რა ნორმა მეკუთვნის ყოფილი ქმრის წილიდან?

პასუხი:

თუ თქვენ და თქვენი გარდაცვალებული ქმარი ცხოვრობდით მაზლებთან ერთად და ეწეოდით სოფლის მეურნეობას, უნდა ირიცხებოდეთ კომლის წევრად. ამ შემთხვევაში კომლის მიწაზე და ქონებაზე თქვენ გაქვთ ისეთივე უფლება, როგორიც სხვა წევრებს; ხოლო თუ თქვენ და თქვენი გარდაცვალებული ქმარი სასოფლო მეურნეობას არ ეწეოდით და მაშასადამე კომლსაც არ წარმოადგენდით ცალკე ან მაზლებთან ერთად და თქვენი ქმრის გარდაცვალების შემდეგ დარჩა მისი პირადი ქონება, იმ შემთხვევაში ქმრის კუთვნილი ქონება უნდა გადმოსულიყო თქვენზე მემკვიდრეობის წესით. როგორც პირველ შემთხვევაში, ისე მეორეში თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ სასამართლოს თქვენი უფლებების დასაცავად.

ვახტანგ კეჟელავას

კითხვა:

ვართ ორი მცირეწლოვანი ძმა—მოსწავლენი და გვყავს გათხოვილი და, რომელიც ჩვენს ოჯახს პატრონობს და ჩვენ გვასწავლის. გვაქვს სახნავ-სათესი მიწა. ორი ქცევა ვენახი 400 ძირი ისიც უვარგისი. ამ მიწას ჩვენ ვერ ვამუშავებთ. სასოფლო სამეურნეო გადასახადი შეგვაწერეს 38 მანეთის რაოდენობით. ჩვენ ეს გავასაჩივრეთ და გადასახადი გაგვინახევრეს. გეკითხებით სწორია თუ არა ეს დაბეგვრა და მოვალეა თუ არა გათხოვილი და, გადაიხადოს ეს გადასახადი?

პასუხი:

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რაოდენობის განსაზღვრა-გამოანგარიშება უნდა იქნეს შეფარდებული მეურნეობასთან, რომელსაც ახასიათებს არა მარტო მიწის რაოდენობა, არამედ სხვადასხვა საქონლის რაოდენობა და აგრეთვე ისიც თუ როგორაა გამოყენებული მიწა და სხ. თქვენი შეკითხვიდან შეუძლებელია გამოვარკვიოთ, მთელი მიწის რაოდენობა ორ ქცევას შეადგენს, თუ 400 ძირი ვენახი სხვა მიწაზეა გაშენებული, რა რაოდენობისაც უნდა იყოს ეს გადასახადი, მისი გადახდა თქვენს გათხოვილს დას ვერ დაეკისრება. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდის მოვალეობა ეკისრება კომლს, რომელშიც თქვენ—ძმები შედიხართ და არა თქვენი და.

ნოე გურიელიძეს

კითხვა:

ვარ ომის ინვალიდი, აყვანილი ვარ აღრიცხვაზე და მიწერილი ინვალიდთა მესამე ჯგუფზე; ვცხოვრობ სოფლად, მიწა მაქვს ორი ქცევა ისიც ცუდი, ვცხოვრობ ჩემი შრომით, შემოსავალი არ მაქვს, შემაწერეს გადასახადი რომლის გადახდის საშუალება არა მაქვს. ამიტომ გადასახადის დასაფარავად სურთ წაიღონ ისეთი ნივთები, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ოჯახისათვის. გეკითხებით, კანონიერია თუ არა ასეთი მოქმედება ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლის?

პასუხი:

თქვენ შეკითხვაში არ არის ცნობა, გყავთ თუ არა თქვენ საქონელი და თუ გყავთ, რა სახის. ამიტომ განსაზღვრა თქვენი შემოსავლისა სასოფლო მეურნეობიდან შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ არ არის აღნიშნული, რა რაოდენობის გადასახადი გაქვთ შეწერილი. რაც შეეხება გადახდევინებას ისეთი საგნებით, რაც ოჯახისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ამის შესახებ არც შეიძლება რაიმე ითქვას, რადგანაც თქვენ მიერ არ არის აღნიშნული თუ რა საგნებია აწერილი. კანონში განსაზღვრულია ის საგნები, რაც თავისუფალია გადახდევინების მოქცევისაგან.

პარტიული კალენდარი

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ ხვალ 4 ივლისს, დილის სრულ 10 საათზე შესდგება თათბირი კომკავშირელთა კულტურული ლაშქრობის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ.

ლენრაიონის მუშა-გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იტყობინება, რომ ხვალ 4 ივლისს, საღამოს 5 საათზე ლენრაიკომის შენობაში მოწვეულია ქალ-ორგანიზატორების და ქალკომისიების თათბირი, დღის წესრიგშია ა. კ. რკინის გზის სამმართველოს, მთავარ სახელოსნოს, დეპოს, სავაგონო ფარეხის, რკინის გზის სავადმყოფოს და ამიერ-კავკასიის ქვეითი ჯარის მეთაურთა სკოლის უჯრედების ქალორგანიზატორების საანგარიშო მოხსენებები და ქალკომისიების მუშაობის გადამსინჯველ კომისიის თანამოხსენება.

თათბირის აუცილებლად უნდა დაესწრონ ყველა იმ უჯრედების მდივნები, რომელთა ქალ-ორგანიზატორების მოხსენებებიც სდგას დღის წესრიგში.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება № 18

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის 1928 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-4 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის 1928 წ. იანვრის 29-ის დადგენილების თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

I

1. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის 1928 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1928 წ. მაისის 1-დან მთელად საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე, აფხაზეთის სოც. საბჭოთა რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭოთა რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებითურთ.

2. 1928 წ. რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის შემოღებამდე აღძრულ საქმეებს ეს კოდექსი შეეფარდება შემდეგი წესით:

ა) საქმეს ისეთი ქმედობის შესახებ, რაც ახალი კოდექსით დანაშაულად არ ჩაითვლება, უკეთუ ეს საქმე ჯერ წინასწარი გამოძიების ან მოკვლევის სტადიაშია,—მოსპობს პროკურატურა თანახმად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 222 მუხლისა;

ბ) საქმეს ამგვარივე ქმედობის შესახებ, უკეთუ იგი უკვე სასამართლოშია შესული, სასამართლო მოსპობს გამწესრიგებელ სხდომაზე;

გ) საქმეს ამგვარივე ქმედობის შესახებ, უკეთუ იგი განხილულია პირველ ინსტანციაში, მოსპობს საკასაციო ინსტანცია გამწესრიგებელ სხდომაზე;

დ) საქმეს ამგვარივე ქმედობის შესახებ, უკეთუ განაჩენი უკვე კანონიერ ძალაშია შესული, სასამართლო გადასინჯავს გამწესრიგებელ სხდომაზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდ. 457 მუხ. მიხედვით, და დაადგენს მსჯავრდადებული განთავისუფლებულ იქნეს განაჩენით გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიების მოხდისაგან;

ე) ისეთი ქმედობის საქმეზე, რაც თუმცა 1928 წ. რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულად ჩაითვლება, ხოლო მსჯავრდადებულისათვის ძველი სისხლის სამართლის კოდექსით შეფარდებული სოციალური დაცვის ღონისძიება აღემატება იმ უმაღლეს საზღვარს, რაც ამ დანაშაულისათვის ახალი კოდექსით არის დაწესებული, ან ძველი კოდექსით შეფარდებული სოციალური დაცვის ღონისძიება უფრო მძიმეა, ვიდრე ამ დანაშაულისათვის ახალი კოდექსით დაწესებული სოციალური დაცვის ღონისძიება,—განაჩენით გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიების ვადის სათანადოთ დაწევა ახალი კოდექსით უწყებული დანაშაულისათვის დაწესებულ უმაღლეს საზღვრამდე ან ამ ღონისძიების შეცვლა ნაკლებად მძიმე ღონისძიებად მოხდება საკასაციო ინსტანციის დადგენილებით იმ შემთხვევაში, უკეთუ განაჩენი კანონიერ ძალაში არ არის შესული, ხოლო სხვა შემთხვევაში— სასამართლოს გამწესრიგებელი სხდომის დადგენილებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 457 მუხლისამებრ.

3. ისეთ საქმეებს, რომელთა გამო ბრალდებული ან მსჯავრდადებული დაპატიმრებულია, 1928 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსი, ამ დადგენილების მე-2 მუხ. წესით შეეფარდებულ უნდა იქნეს ორი კვირის განმავლობაში დღიდან აღნიშნული კოდექსის ოფიციალური ტექსტის ადგილზე მიღებისა.

II.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წ. ნოემბრის 9-ის თარიღისა და მე-17 №-რის დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ს.ს.რ. სისხ. სამართ. კოდექსი, ყველა ცვლილებით და დამატებით, გაუქმებულ იქნეს ამ დადგენილების 1 კარის 1 მუხლში აღნიშნული დღიდან.

III.

წინადადება მიეცეს აფხაზეთის ს.ს.რ.-სა და აჭარისტანის ავტონომიური ს.ს.რ.-ს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოაქვეყნონ ამ დადგენილების 1-ლი კარის 1-ლ მუხლში აღნიშნულ ვადისათვის იმ საკანონმდებლო აქტების სია, რომელთაც ძალა ეკარგებათ საქართველოს ს.ს.რ. 1928 წლის რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსის სამოქმედოთ შემოღების გამო.

ხელს აწ. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—**შ. მათიკაშვილი.**

თბილისი—სასახლე.

დამწუხრებული მშობლები: სილოვან და ეფროსინე, ძმები: კოლია, ტერენტი და კორნელი; დები ქენია, შურა, აპო, სიძე აკაკი რუხაძე აუწყებენ საზოგადოებას ეწერის შვიდწლედის მასწავლებლის დაუვიწყარ

ლიუბა სილოვანის ასულის თხილავას

უდროდ გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდება 4 ივლისს სოფელ ლანირში ნაშუადღევის 3 საათზე. ნ. 1344

თავზარდაცემული მამიდა ოლღა ჯულელი აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს მისი უწყინარი და საიმედო ძმისშვილის აგრონომიული ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტის

ქიკო (გიორგი) კლიმენტის-ძე ჯულელის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება სოფელ სვირში. ნ. 1352

---

7 ივლისს დღის 12 საათზე ლანჩხუთში გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ევგენი კაპიტონის-ძე მგელაძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს დამწუხრებული ცოლი მატრონე და შვილები: ზურაბი, ქეთო, რომანი და თინა მგელაძენი 2911

დღეს და ყოველდღე
კინო-თეატრებში

ეთერი
სეზონის
საუკეთესო სურათი
„ცოლი"
მთავარ როლებში:
ხოვანსკაია,
პოპოვა,
ბატალოვი

საზაფხულო
დარბაზი
სამხატვრო თეატრის დამსახ.
არტისტი ლ. ლეონიდოვი ფილმში
მისი
აღმატებულება

მალე არაჩვეულებრივი ფილმი „УХАБЫ" 1354

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	მხატვრული სურათი	„სურამის ციხე"
საზაფხულო ეთერი	სეზონის საუკეთესო სურათი	„ცოლი" ხოვანსკაიას, პოპოვას და ბატალოვის მონაწილ.
საზაფხულო დარბაზი	მხატვრული ფილმი სამხატვრო თეატრის დამსახ არტისტის ლეონიდოვის მონაწილეობ.	„მისი აღმატებულება"
საზაფხულო პალასი	„თავზე ხელაღებული"	უკანასკნელი 5 და 6 სერია
მინიონი	დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან	„ჩადრი"
პროლეტარი ავლაბარი	„თავზე ხელაღებული"	1 და 2 სერია

0—28

მუშათა ახალი კლუბი კომინტერნის ქუჩა № 5.
დღეს, 3 ივლისს,
დიდი სიმფონიური კონცერტი
სახალხო არტისტის კომპოზიტორის ა. ა. სპენდიაროვის ხსოვნის აღსანიშნავად.
კონცერტს ხელმძღვანელობს ა. შ. მელიქ-ფაშაევი. პროგრამაში: რიმსკი-კორსაკოვი— შეხერეზადა და სპენდიაროვის საუკეთესო ნაწარმოებნი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე
ბაღში კინო. წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
ხვალ 4 ივლისს, კონცერტი საბჭოთა სავაჭრო მუშაკთა კლუბში. ნ. 1345

ქალაქის სასკოლო გამოფენა
ვინაიდან გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია და მნახველთა რიცხვი დღით-დღე მატულობს, განათლების განყოფილებამ გადასწყვიტა
გამოფენა გააგრძელოს 15 ივლისამდე
გამოფენა ღიაა ყოველ დღე შუადღის 12-დან 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7 ნახ. საათამდე. კამოს ქ. № 52. ნ. 1353.

სამტრედიის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი სიმონ ნ. ნამიჩეიშვილი
ამით აცხადებს, რომ 9 ივლისს 1928 წ. დილის 11 საათზე ქ. სამტრედიაში, სამტრედიის „ზაკტპო"-ს საწყობში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქართველ უდინთა საზოგადოების კუთვნილი ტყავებისა, კონიაკებისა, სპირტისა და პაპიროსებისა, დასაკმაყოფილებლად ამიერ-კავკასიის მომხმარებ. საზოგადოება „ზაკტპო"-სი და ყოფ. საზოგადოება „ტრანსპორტისა", თანახმად ბრძანებითი ფურცლისა გაცემულის ქ. თბილისის მე-2 უბნ. სახ. სასამართ.—მიერ 18 ივნისს 1927 წ. № 2150. და 8 ივლისს 1927 წ. № 2323. ქონება ეს შეფასებულია 790 მან. და ამ შეფასებიდან დაიწყება ვაჭრობა.
სრული აწერილობის ნახვა და საქმის ვითარების გაგება შეიძლება აღმასრულებლის კანცელარიაში. ნ. 1351

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8
ქალების: დილით —8—9 საღ.—4—5
მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

მათემატიკის მასწავლებელი
ამზადებს
ქართულ და რუსულ ენაზე
უმაღლეს სასწავლებ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) საშემოდგომო მისაღებ და გამოცდებისათვის, აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 8—1 ს., 2—6 ს. ორ მოწაფეს ვღებულობთ სრულ კმაყოფით 4—1 2892

ლოგოპედი
ტ. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
მისამართი: ქ. ცეტკინის ქუჩა № 132

თმის მკურნალობა
საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნ. გ. კონტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მზადებას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი თ. ზ. ვოგია
ამით აცხადებს, რომ ის 7 ივლისს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 1 ქელიაბოვის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მარიამ აკიმოვას შენობის უფლებას. უძრავ ქონებას: ორსართულიანი სახლი, რომელიც შესდგება 5 ოთახისაგან 1 სამზარეულო და 2 თვალი ნახევრად სარდაფი. დახურულია თუნუქით, შეფასებულია 4000 მანეთად, ს. ტერ-სტეფანოვას და ს. ბაგდასაროვას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის პირველი უბნის სახალხო სასამართლოსაგან 18 მაისს 1926 წ. თარიღით, № 2431 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2904.

გორის უბნის სახალხო სასამართლ. აღმასრულებელი გ. ი. ტლაშაძე
ამით აცხადებს, რომ ის 10 ივლისს 1928 წ. დღის 12 საათზე, ადგილობრივ ქ. გორში, ლენინის ქ. საჯარო ვაჭრობით გაყიდის სერგო გრიაცენკოს ავტომობილის (მარკა „სამბოიმი") ნახევარ უფლებას შეფასებულს 100 მან. სანდრო სამხარაძის და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად, და 11 ივლისს 1928 წ. დღის 12 საათზე, ადგილობრივ ქ. გორში, აკაკი წერეთლის ქ. დუქანში საჯარო ვაჭრობით გაყიდის გიორგი ნიკოგოსოვის მოძრავ ქონებას. 18 ფუთ აქულა ბრინჯს და 150 ფ. თეთრ დაფქულ მარილს შეფასებულს სულ 280 მ. ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს ვალის დასაკმაყოფილებლად. ნ. 1350

გორის უბნის სახალხო სასამართლ. აღმასრულებელი გ. ი. ტლაშაძე
ამით აცხადებს, რომ ის 10 ივლისს 1928 წ. დღის 12 საათზე, ადგილობრივ ქ. გორში, მესამე სამოსწავლო ქუჩა № 8 საჯარო ვაჭრობით გაყიდის იოსებ რაჟდენის ძე კაცლავაშვილის ერთ სართულიან ქვიტკირის სახლს ორი ოთახით და ორი სამზარეულოთი შეფასებულს 200 მან. ანტონ გაგლოევის და სხვ. ვალის დასაკმაყოფილებლად. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარუდგინოს სასამ. აღმასრულებელს ცნობები მოთხოვ. სისხსამ. საპროც. კოდ. 311 და 312 მუხ. ნ. 1350

მიხეილ ზედგენიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყურლანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ექიმი
დარეჯან ე.
თაყაიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე.
მისამართი: ვარაცხის ქ. (ყოფ. სემიონოვის) № 16. 21—1

დაიკარგა:— დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 1830, ტრამვაის უფასო წლიური ბილეთი № 1861 და კომკავშირის მანდატი № 3669 ხარიტონ ზაქარეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2910

დაიკარგა: პატენტი № 940 იაკობ ბერიძეს სახელზე, ჩ. გ. 2909

დაიკარგა: სამხედრო საარიცხო ბარათი ფ. № 4 და 100%-ნი სამგზავრო ლიტერი ვასილ ღამბაშიძეს სახელზე, ჩ. გ. 2907

დაიკარგა: ქ. პ. საკანდიდატო ბარათი № 19673 გაცემული ლენინის რაიკომის მიერ და კავშირის წიგნაკი ივანე სევასტის-ძე დოლიძის სახელზე, ჩ. გ. 2908

დაიკარგა: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი 865 და პირადობის მოწმობა № 10262 გაცემული შორაპნის მაზრის მილიციის მიერ დავით მიხეილის-ძე ბიბილაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2906

დაიკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 36137 ლავრენტი ჯიქიას სახელზე, ჩ. გ. 2900

დაიკარგა პირადობის მოწმობა და მუშკოოპის საწევრო წიგნაკი როსტომ ასათიანი სულთანოვის სახელზე, ჩ. გ. 2901

დაიკარგა: სამხედრო მისაწერი წიგნაკი № 81, და № 3, გრიგოლ ესებუას სახელზე, ჩ. გ. 2902

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი № 145174 გ. კალანდაძეს სახელზე, ჩ. გ. 2902

დაიკარგა: ატესტატი, მოცემული ქუთაისის საეპარქიო სასწავლებლიდან რიფ იმე დარახველიძეს სახელზე, ჩ. გ. 2905

დაიკარგა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების მოწმობა ფორმა № 4, ალექსანდრე მიქაძის სახელზე, ჩ. გ. 2903

მთავლიტი № 904.
პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68.